

J 3366
2

ბაკაღინე

ანუ

„სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“
გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო

შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.

დამატებით

მე-IX—X საუკუნის „სამეცნიერო კრისტომატიდამ“ ამოღებულ
„სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა“

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21

1891

ვთხოვთ

იმ პირთ, რომელნიც წინეთ-საცევით სარგებლობენ, მოერიდონ წიგნიდან ფურცლების ამოღუეჯას, ყლის გაფუქებას და ფურცლებზე თავიანთი შენიშვნების წერას. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ წიგნები ქალაქის წიგნთსაცუვისა საზოგადო საკუთრებაა, რაიც ავალდებს ფრთხილად მოეკაონ ამ წიგნებს.

აღკაღბინე

ანუ

„სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ

დამატებით

მე-IX—X საუკუნის „სამეცნიერო ქრისტომატიიდან“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა“

—••••—

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21

1891

Дозволено цензур. Тифлисъ, 12 Августа 1891 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კარი პირველი.

I

თამამად თქმული ლექსები.—ამ ლექსების გადა-
ლახვა და სიტყვის ბანზედ აგდება.—ედს-ს ჯერ ფარეიდე-
სად და მერე ვირს ანუ ფირსად წაკითხვა:—საარაკო ჯან-
შვილი და მისი *нос.мужской списокъ*.—ქართველები
უნიკონი არ ყოფილან.—კავკასია საქართველოა და სა-
ქართველო კავკასია.—საწყალი კრებული შატბერდისა
სხვაა და გამოჩენილი კრებული შატბერდისა სხვა.—კაცია
და გუნება. გვ. 22.

II

პირობის სიგელი, შედგენილი და დამტკიცებუ-
ლი მრავალის ბეჭდითა და სასტიკ საფიკრით.—ბერაის
ნაშრომი, ორად გახეული.—ნიმუშები ზოგიერთ წაქცე-
ულ და დაძველებულ სიტყვების აღდგენისა.—ძილია, თუ
სიფხიზლე. გვ. 32

III

შატბერდის კრებულის შედარება ვარიანტებთან.—
ქართლის ცხოვრება, საბინინი, მარიამ დედოფლის ვარი-

II

ანტი და შატბერდის კრებული ერთს ამბობენ და მოკამათეს წიგნები-კი სხვას.—ქართლის ცხოვრება და მოკამათე ერთს ამბობენ და შატბერდის კრებული სხვას. . გვ. 35

IV

ტექსტის გადმოწერის დროს დედნიდამ გამოტოვებული ანუ შეცვლილი სიტყვებ-ფრაზები და მერე ამ გამოტოვებულების აღგილას გაკეთებული შენიშვნები, რომ აქ და აქ ამა და ამ ვარიანტში ასრეთი სიტყვა-ფრაზა არისო, ე. ი. ისეც ის, რაც თვით დედანწივეა.-
არევა ტექსტისა და სხ. გვ. 42

V

გრძელი წინასიტყვაობა.—„მხასვით შემოსილი“ ეკკლესია და ენის ნიმუშები.—რეიზა-მიზაები.—ეს დავითი „აქეს“ სახეში.—სუმბატის ისტორიას ბადალი არა „ყავს“.—სხვა-და-სხვა წმ. ნინო.—და სხ. გვ. 46

VI

უღი მდივანი და კარგი საქმე.—მკითხველ, არ აურიო დიდს ლუწლით დამიწყვიეს.—მაგალითები, რომ აზრითა-კი შეიძლებოდა ტექსტის ზოგიერთი ადგილების აღდგენა.—არც ამერიკა და არც ოზურგეთი.—აღილო გრდემლი კელსა თვსსა და შემუსრნა საჰნი ფიქალნი, სამად შეკრულნი.—ფიცი მწამს და ბოლო მაკვირეებს.—თაეის როლიდამ გამოსლვა და ბაგრატიონის როლში ჩადგომა.—*Mania grandiosissima*. გვ. 61

აღდგენილის აღდგენა

ქ ა რ ი მ ე ო რ ა ე .

VII

აღდგენილის აღდგენა ანუ რიგსა და წესზედ და-
წყობილი სრული სრელი შეცდომათა და გამოტოვე-
ბულ სიტყვა-ფრაზათა.—შესწავება.—შენიშნვა. — მაგა-
ლითები, რომ შატბერდის კრებულის მოქცევაჲ ქართ-
ლისაჲ-ს ხელ-აზლა დაბეჭდვა საჭიროა აუცილებლად.—
მცირე დასკვნა. გვ. 88

დამატება:

მწკაღობა IX—X საუკუნისა

- ა) სამკურნალო ტრაქტატი, გვ. 117
ბ) სასწავლო წიგნი, გვ. 134
და გ) ქარაგმიან სიტყვების ახსნა, 134

ყველა შეცდომათა

- მდინარი (დაბეჭდ.)—მდიდარი (უნდა იყოს), გვ. 18
 წაუკითხავიო—წაუკითხავთო, გვ. 24
 ქარ—ქრ, გვ. 25
 მიეშურნეს—მიეშუნეს, გვ. 28
 კახეთა: დადგა—კახეთა: და დადგა, გვ. 63
 იქმნეს—იქმნის, გვ. 95
 რი ¹¹)—რი ³), გვ. 98
 გკლი—გოკლი, გვ. 102
 დალაკათვ—დალაკათოვ, გვ. 103
 გოკლსა—გოკლსა, გვ. 104
 ყლი ¹¹)—ყლი ¹⁶), გვ.
 შეშაგრდის—შემაგრდის?, გვ. 113
 წწყლთაჲ—წწყლთაჲ ⁵⁰), გვ. 123
 ყრმანი ⁵⁴)—ყრმანი ⁵¹), გვ. 124
 წწყლისაჲ ⁵⁰)—წწყლისაჲ, გვ. 123
 დაზო—დალო, გვ. 128
 ქლამელ—ქლამვლ, გვ. 129
 მათ ზა—მათ აზა ⁶⁵), გვ. 129
 15 ყი ყოველი—15 ყლი ყოველი, გვ. 135

აღვაღბინა!

კარი პირველი.

I

თამამად თქმული ლექსები.—ამ ლექსების გადალახვა და სიტყვის ბანზედ აგდება.—ედს-ს ჯერ ფარვიდესად და მერე ვირს ანუ ფირსად წაკითხვა.—საარაკო ჯანაშეილი და მისი *но-с.уажной список*-ი.—ქართველები უნიკონი არ ყოფილან.—კავკასია საქართველოა და საქართველო კავკასია.—საწყალი კრებული შატბერდისა სხვა და გამოჩენილი კრებული შატბერდისა სხვა.—კაცია და გუნება.

„ივერიის“ № 127-ში ჩვენ დავბეჭდეთ წერილი „საყურადღებო საგანი.“ რადგან დღეს ჩვენში, სამწუხაროდ ჩვენდა, სიტყვის შებრუნება ვისთვისმე და ნაკლის ჩვენება მისს რომელიმე ნამუშევარში, შეუნდობელ დანაშაულობად აღიარებულთა, ამიტომ წინასწარვე, ჩვენს ზემორე აღნიშნულს წერილში, ბოდიში მოვიხადეთ და ისე შევეუდექით აღნუსხვას იმ შეცდომათა, რომელნიც შევნიშნეთ მე-IX—X საუკუნის ქრისტომატიიდან გადმოწერილ წიგნებში— „სამი ისტორიული ხრონიკა“ და „წმ. ნინოს ცხოვრება.“ აქვე ვსთქვით, რომ დაბეჭდილ წიგნებში შე-

ცდომა იმდენია და ისეთია, რომ მკითხველი ჰკვირობს და ვერ წარმოუდგენია, თუ ამ წიგნების ავტორი, რომელიც წინასიტყვაობაში გვპირდება ტექსტის უცვლელად გადმოწერას, როგორ ვერ ამჩნევს ამ შეცდომებსაო. ამ სიტყვებს მოვაცოლეთ მრავალ შეცდომათაგან ამოღებული და ხელდახელ ჩამოთვლილი იგი შეცდომანი—სულ 27-მდე და, საზოგადოდ, მიხედვისაშეზღვევ წიგნების ყველა ნაკლულეფანებათა, ასე დავასკვნით ჩვენი აზრი: „წიგნაკები სავსეა მრავალგვარ შეცდომებით, რომელთაგან ზოგი დაუდევრობის ნაყოფია, ზოგი გაუგებრობისა და ზოგიც, უკაცრავად-კი ნუ ვიქნები, მტკნარის უმეტრებისა.“

ყველას უნდა ეფიქრა, რომ ამ გვარ ლექსების მთქმელს ალბად რაიმე დიდი და ხელ-მოსაქიდი საფუძველი აქვს, რომ ასე თამამად ლაპარაკობსო, და ჩვენც გვეგონა, რომ ძველი ტექსტის გადმომწერიც სწორედ ამავე თვალსაზრისით შეხედავდა ამ საგანს და თვითონვე აღმოაჩინდა თავის ნაშრომის ყველა ნაკლს და განუზიარებდა მკითხველებს ბოდის მოხდით. მაგრამ ჩვენ აქაც მოვტყუვდით. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც ზედ დაადესო: ჩვენი მოკამათეს პასუხიც სწორედ ასეთი გამოდგა. პასუხმა ერთი-ორად დაგვიმტკიცა ისევ ის, რაც ჩვენა ვსთქვით ჩვენს პირველ წერილში. წინად გვეგონა, რომ გადმომწერს ზოგიერთი შეცდომა გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობისაგან მოსვლიაო, ახლა-კი, თვით ცხარ სიფხიზლე—სიფრთხილემთა ად-

მოჩნდა, რომ მას, მართლაც, არა სცოდნია ზოგი წესი და კანონი ძველის ხელის კითხვისა. განვმარტოთ ჩვენი სიტყვა.

შეცდომათა შორის, ჩვენს წერილში, აღვნიშნეთ ერთი სიტყვა, რომელიც დედანში ვიდრემდის-ად სწერია და ბ. გადმომწერს-კი იგივე სიტყვა ფარვიდეს-ად გადმოუწერია. პასუხში იგი ამას ასე განმარტავს: „დედანში ეს სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი და შეგვიძლია ვრს-ად მივიღოთ და შეგვიძლია ფრს. პირველ შემთხვევაში უნდა წაიკითხოთ ჰიდრემდის ისე, როგორც ჯანაშვილი კითხულობს, მეორე შემთხვევაში ფარვიდეს ისე, როგორც მე ვკითხულობ“ (იხ. „ივერია“ № 138).

უკაცრავად. თუნდაც დედანში მართლაც წერებულ იყო „ვრს“, როგორც მოკამათე ამტკიცებს, მაინც ჯანაშვილი ქარაგმას ვრს ჰიდრემდის-ად არ წაიკითხავდა. არ წაიკითხავდა იმიტომ, რომ ქარაგმიდამ ვრს მუდამ გამოვა ანუ ვარის, ანუ ვაროს, ვერას, ვირს, ვერს და არას დროს ჰიდრემდის; აგრეთვე თუნდაც ყოფილიყო ფრს, მაინც ფარვიდეს-ი არასგზით არ გამოვიდოდა, არამედ ფურს, ფერს, ფარას, ფარს, ფაროს და სხვ. დედანში სწერია ვრს და ეს კი მუდამ იკითხება ჰიდრემდის-ად. თუ აქ ვ-ს მაგიერ მართლაც ყოფილიყო ფ, მაშინაც ფდს-საგან ფარვიდეს-ი კი არ გამოვიდოდა, არამედ ფრადს, ფედოს, ფედოს, ფუდას და სხ. სიტყვა ფარვიდეს-ი კი ქარაგმით ასე დაიწერება: ფარვიდეს, ან ფარვიდეს და ან ფარვიდეს.

ახლა იკითხოს კაცმა: ბ. მოკამათეს რათ უნებებია დედნის ჯღის შეცვლა კრის-ით? მაგრამ ამას ნუ იკითხავთ. მოპასუხეს ამ გვარ გრებთა და გრავნილთა შემწეობით ჰსურვებია არა ქეშმარიტების აღდგენა და მისმიერ გამოცეპულ წივნების სახელის დაცვა, არამედ დამტკიცება, რომ ჯანაშვილი თავისის „ბოროტის განზრახვითა“ და „მოსამზადებელ კლასელის სიბრძნით“ თვით მზესაც-კი ლაფს შესტყორცნისო. მოკამათეს პასუხს „ივერიაში“ უჭერია სწორედ რვა სვეტი და ამ რვა სვეტთაგან საკამათო საგანზედ ლაპარაკობს მხოლოდ ერთში და დანარჩენში-კი ამტკიცებს, როგორი ბოროტია ჯანაშვილი, როგორი დაღრეჯა სკოდნია, რა შურითა და მტრობით უყურებს ბ. მოკამათეს წარმატებას სამეცნიერო სარბიელზე, რა მკვიდრი ჯაღოს წრე არტყია ამ საცოდავ კაცს, რომელიც ამ წრიდამ ველარ გამოსულა, ასე რომ ჯანაშვილი ჯანაშვილად დარჩება აწ და უკუნისამდეო და სხ. და სხ.

ესთქვათ, რომ ყოველივე ჩამოთვლილი მარგალიტები თვით მზეზედაც უნათლესი ქეშმარიტებაა. განა ყოველივე ეს ოღნავ მაინც შეეხება საკამათო საგანს? განა საბაასო საგანს ოღნავ მაინც ძრას აქნევენებს? სარომელო ანუ გამოსარკვევი საკითხი დღეს ვილაც გლახაკი ჯანაშვილი და იმისი ბიბლიოგრაფიულ-პოპულიარული ნაცოდინარ ნაჯღაბნი-კი არ არის, არამედ იგი სანუკარი ამბავია ყველა ქართველისათვის, თუ როგორ ჯღის გამოცემული მე-IX—

X საუკუნის საეროებო ძეგლი. მე ვსთქვი, ეს ძეგლი ღირსეულად არ არის გამოცემული, არამედ მრავალის შეცდომებითაო. აქ აშკარაა, მოპასუხეს ან უნდა უარეყო ჩვენი სიტყვა, ან თვითონვე შეესწორებინა ის შეცდომები, რომელთა გამო იგი საეროებო ძეგლი სრულიად დამახინჯებულია და გარყვნილი. მაგრამ, ვიმეორებ, მოპასუხე ასე არ მოიქცა. სულ 4—5 შეცდომა მომსვლიაო, ასე ბრძანა და მერე მოჰყვა და ჯანაშვილის უღირსებათა ჩამოთვლას მონდომა თვისი გრძელი წერილის $\frac{7}{8}$ -დი, რომ მკითხველისათვის გზაკვალი დაებნია და ყურადღება სხვა, უმნიშვნელო, საგნისათვის მიეპყრობინა.

მესამე თუ მეოთხე გზობის იბეჭდება „დროებასა“ და „ივერიაში“ ჩვენი ПОСЛУЖНОЙ СПИСОКЪ-ი. ამ სპისოკში დატყვევით ჩამოთვლილია ყველაფერი: ჯანაშვილი აკადემიის პრეზიდენტი, ბულგარის მცვეთელი, ბოროტია, შურიანია, პირველი საუკუნის ძეგლს მე-XVIII-სად სთვლის და მე-XVIII-ისას I-ისად, დაღრეჯა იცის, უშიშრად უჯავრდება მთელს კრებულს საზოგადოებისას*), არშინის სიგრძე ასოებს, მზის სიბრწყინვალით გაშუქიანებულებს, ვერ არჩევს, ჯერ იძახის უკეთესი წამკითხველთაგანია და მერე უმეცარიაო, ერთის სიტყვით—ჯანაშვილი დღემდის ჯა-

*) ეს ფრაზა მოკამათეს არ ეკუთვნის. აქ, სხვისა-მიერ ჩამახილი, ამოძახილია. ამ ცილის წამებასა და კვირზედ მოვილპარაკებთ შემდეგში, ოდესმე.

ნაშვილზედ მალლა ვერ აიწიაოდა, თუ რამ საყურად-
ღებო კითხვა აღიძრა ჩვენს ისტორიაში, ჯანაშვილი
აღარავის აღარ ახსოვსო და სხვ. მაგრამ ეს რაა?
ერთმა *ошровергатель*-მა არა თუ ჩვენ, ჩვენი ცოლ-
შვილიც-კი გაურია თავის პოლემიკაში და დაცინ-
ვით მოიხსენია (იხ. „ივერია“ 1887 წ. № 241,
243).

მუდამ საზიზღრად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია კა-
ციის კერძო ცხოვრებაში შესვლა და იქ ხელის ფა-
თური. ვინ რას აქნევს თუ პეტრე ანუ პავლე დღემში
რამდენჯერ გაივლ-გამოივლის ბულვარსა თუ ბაღში.
ბარემ ისიც სთქვით, თუ ვინ რასა სკამ-სემს, კვი-
რაში რამდენჯერ იცვლის პერანგს და სხ. ვამბობ, ეს
და სხვაც ამისთანა ვისთვის რა საჭიროა. საზოგადო
ასპარეზზე გამოსული კაცი ფასდება მარტო იმით,
რასაც იგი, თვისის შეძლებისა და ძალ-ღონისა და-
გვარად, შესძენს საერთო საღაროს. საწყაო ეს შე-
ნაძენია და ამ შენაძენის ავ-კარგვიანობაზე ლაპარაკი
ყველას შეუძლიან თამამად და აშკარად.

მიხედვისამებრ ამგვარ თვალსაზრისისა შესახებ
საზოგადო მუშაკისა, რა გინდ იგი მუშაკი სუსტი და
მცონარე იყოს, არავის ნება არა აქვს მისი ნა-
მუშაკარი აბუჩად აიგდოს მსოფლოდ მისის ცხოვრების
წერილმანობის აღნუსხვით. რაკი იგი გამოდის სა-
ზოგადო ასპარეზზედ სამოქმედოდ, ამ მოქმედებისა
და ნამოქმედარისა დაგვარად უნდა კიდევ დაფასდეს.
ამიტომაც, რა-კი ჩვენი *послужной список*-

ის დამბეჭდავები არას ღროს არ გასცილდნენ ჩვენი ცხოვრების კერძობის ჩამოთვლას და ჩვენი სულგულის ვითარების ჩხრეკას, ვიმეორებ, ამიტომაც არც ერთს პასუხი არ გავეცით და სულ ყველაფერი დავიდუმეთ. მართლაც, ძალიანაც რომ გინდოდეს, ძნელია ვისმე დაუმტკიცო, რომ არც შურიანი ხარ, არც ბოროტი, არც ავი.

დღესაც, როგორც კვლავ, სრულიად დავიდუმებდი და ჩაილულის წყალს გავატანდი ჩემი მოკამათის წერილის ამ ПОСЛУЖНОЙ СПИСОКЪ-ს, თუ ბ. მოკამათეს თვითონვე არ მოეცა ჩვენთვის ჟანსის მსგავსნი გრეხნი, რომელთა შემწეობით ორიოდ სიტყვას მაინც ვიტყვით ჩვენი თავის დასაცავადა და გასამართლებლად.

თუნდ მოვიყვანოთ მოწმად წევრნი იმ საპატიო კრებულისა, რომლის თითოეულ წარმომადგენელს, ვითომ, ჩვენ დაველრეჯოდით, არა, თქვენი ჭირიმეთ, მე ამომირჩიეთ მდივნადაო და ვათქმევინოთ, როდის ვის დაველრიჯეთ, არა თუ დაველრიჯეთ, არამედ ჟინ როდის თქალთაჯ-ვი ჟნახეთ, გარდა მოპასუხისა და ორ სხვა წევრისა, რომელნიც (ეს სამნი) ჩვენი ამორჩევის ირი წუთის წინაღ შემთხვევით შეგვხდნენ ბანკის დარბაზში. წერა-კითხვის გამგეობას სულ ორის სიტყვით მივმართეთ: „უკეთუ შესაძლებელად სცნოთ, გთხოვთ, მე გამამწესოთ მდივნადა“. თუ ამის მეტი ვისთვისმე რამ გვითქვამ, არა თუ მართო ვე-

შუღარები, არამედ მოვითხოვ, გამოაცხადოს *). ძნელია იმგვარ ზკაცთან საქმის დაქერა, რომელიც ამისთანა ქვენა და უკადრისს რამეებს ეპოტინება თავის-თავის გასამართლებლად და თავის მიერ გარყვნილ და დამახინჯებულ საეროვნო ძეგლის სახელის დასაცვავად.

ან მოვილოთ კიდევ ის მაგალითი, რომ შარშან ვილაცასთვის უკეთესი წამკითხველთაგანია გვითქვამ და დღეს, ვითომ, ამის წინააღმდეგს ვამბობთ. ბ. მოპასუხეს ვერ გაუგია, რომ უკეთესი წამკითხველთაგანი ჯერ კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ იგი შემცდარია ყველაფერშიო. შეიძლება იყოს სულ ხუთი, ჩათლახი აბა რა საკადრისია, უხეირო მკითხველი ძველი ხელისა, ხოლო ამ ხუთში ერთი დანარჩენებზე უკეთესად ჰკითხულობდეს და ამ უკეთესს დიდი შეცდომები მოუვიდეს რომელიმე წიგნის გადმოწერის დროს. აქ საკიეინებელი რა არის, ან გაუგებარი. ესევე გარემოება, რომ შარშან მომიწონია მოპასუხის კითხვა და მიქია იგი, აგრეთვე ამტკიცებს იმას, რომ შური და მტრობა შორს არის ჩვენგან, რომ ჩვენც, საცა საჭიროა და ღირს, შეგვძლებია კაცის დაფასება და მოწონება. სიამაყე და მტრობა რომ გამეფებულიყო ჩვენ სულ-გულში, რაღად ვიკადრებდი

*) როგორ მოულოდნელად მოხდა ჯანაშვილის მღივნად არჩევა, ეკითხოს გამგეობის წევრს პატივცემულ გ. ნ. იოსელიანს.

და რაღად მივიტანდი მოკამათესთან საინგილოდგან ჩამოტანილ ძნელად წასაკითხავ წარწერას და რაღად ვეტყოდი, აბა თქვენ ამას როგორ წაიკითხავთო.

ახალ ПОСЛУЖНОЙ СПИСОКЪ-ის დანარჩენ ნაწილებს უყურადღებოდ ვსტოვებ, რადგან იგი, ჩვენ დაუმტკიცებლადაც, გაბერილი და უმეცართავან ტაშის დასამსახურებლად დაწერილი ტყუილებია. მე-XVIII საუკუნის ძეგლს 1-სად, რაღა თქმა უნდა, ვერ დავსახავდი, რადგან დიდი ხანია ცნობილი, რომ ქართველების ქორონიკონიანი ნაწერი მე-VII—VIII საუკუნეზედ აღრე აღარ უწევს. თუ მაინცა და მაინც ამისთანა შეცდომას მიჩქინებს ბ. მოკამათე, დიდ სიბრძევედ და დიდ უმეცარებად ჩაითვლი და კი მადლობასაც გადაიქუსდი გაფრთხილებისათვის. მაგრამ ამას, რასაკვირველია, ვერ მიჩვენებს და ვერც დამიმტკიცებს. ეს იმ სიგრძეზედ გაჭიმული ტყუილია, ვითარცა წერილი და გათხუზული ასოების ნახევარ ალაბის სიგრძედ დასახვა და მერე კიჟინი, რომ ასეთი დევი ასოებიც, რომელსაც მოსამზადებელი კლასელიც-კი ჩააბუღებულვდა, ჯანამვილს ვერ ამოუკითხავსო. ის-კი ავიწყდება მოპასუხეს, რომ ჩვენი წერილი იყო დაბეჭდილი გაზეთში და სრულიად არა ჰქონდა სამეცნიერო ხასიათი. გაზეთში ბევრი წყალწასალები ამბები იბეჭდება. გაზეთი სწრაფ მუშაობას ითხოვს და ამ გვარ ხასიათის გამო ამ გვარს გამოცემაში, ხშირად, ნაწერი ირევა და მახინჯდება. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი,

რომ ინგილოს მაგიერ გაზეთში ინგლისელი დაბეჭდილა თვით ჩვენსავე წერილებში, ან 90,000 მაგიერ 80,000 და სხ. თუ არა გჯერათ ჩვენი ნათქვამი, თუნდ აიღეთ ივერიის ის №-რი, რომელშიაც აგრე სასტიკად გვირისხდებით და ჰავლაბრულ ლექსებით გვამკობთ. ამ თქვენ წერილში სწორედ-ის მაგიერ დაბეჭდილია სტორედ, ვახტანგის მაგიერ ვიხტანგ, ჯანაშვილის მაგიერ ჯანიშვილი, წარწერანის მაგიერ წართწარი, ანნას მაგიერ ანნნა და სხ.

ან აიღეთ პაწიკელა თქვენი წერილი 1890 წ. ივერიის № 29-ში „აღწერა წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა“, რომელშიაც, დედანთან შედარებით, 60-მდე შეცდომაა. მაგალითები: ლოცვა საოხართა სიზმართა (დედანშია: საოცართა), დასაბამითგანნი იყენეს (დედანში: დასაბამითგანნი წყლნი იყენეს), ქორონიკონსა სუბ (სად გინახავთ ასრეთი ქორონიკონი: ს=200, უ=400, ბ=2. რა გამოვიდა? დედანში-კია ს უ ბ, რომელიც შეადგენს 292 წელს), იკლებენ ლამენი (დედანშია: იწყობენ), ანაკრები ზ (დედანშია: ანაკრები ლ), გულმცხარე (დედანშია: გულმწუხარე) და სხ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ამისთანა მასალას განა დაერქმის იგეთი დიდი სახელი, ვითარცა „აღწერა წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა“.

ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი რომ დაე-ბეჭდეთ, ჩვენ მაშინათვე შევნიშნეთ ზოგი-ერთი კორექტურული შეცდომა და, რადგან ცალკე დაბეჭდვა

გესურდა, ამიტომ აღარ გავასწორეთ გაზეთის ნაბეჭდი. მზითვის წიგნი დაწერილია უქარამოთ, მხედრულის ხელით და, როგორც თქვენ ბრძანებთ, აღლის სიგრძე ასოებით. მაშასადამე, თქვენ რომ ბეჭდი იფიცოთ, მაინც არავინ დაიჯერებს, რომ გარკვეული ხელი ჩვენ ვერ გავვერჩიოს და ამის გამო მზითვის წიგნის ტექსტში შეცდომები შეპარულიყოს. მზითვის წიგნის ბეჭდვის დროს ჩვენი მიზანი ის-კი არ იყო, რომ გამოგვიდებოდით ტექსტის აღდგენას, არამედ უფრო ამ წიგნში მოხსენებულ ზოგიერთ პირთა გაცნობა მკითხველთათვის. ტექსტის მეცნიერულად შესწავლა და გამოცემა რომ გვდომებოდა, მაშინ ჩვენ ასრე მოვიქცევოდით უსათუოდ. მოვიწვევდი დ. ბაქრაძეს, რომელმაც ეს წიგნი მხოლოდ ერთის დღით გვათხოვა, ან შარშანდელ უკეთესს წამკითხველთაგანს, ან გ. წერეთელს, ან თ. ჟორდანიას, გიგა ყიფშიძეს და სხვათა-და-სხვათა, ან და ესენიც თუ არ მომეშველებოდნენ, სხვა მოსამზადებელ კლასელს მაინც მოვიწვევდი და ვსთხოვდი გაუგებარ ადგილების ახსნას. ასრე, სხვების დახმარებით, რომ აღვადგენდი დედნის ტექსტს, შემდეგ წერა-კ. გამგეობას ვსთხოვდი თითო გროშობით შეგროვილ ფულს აღდგენილ და გაპატოსნებულ მზითვის წიგნის დასაბეჭდად. თუ-კი სხვების დახმარებითაც ტექსტს მაინცა და მაინც ვერ აღვადგენდი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, სრულიად ხელს ავიღებდი ამ წიგნის რედაქტორობისაგან და აღარც დავბეჭდავდი,

რომ, ერთი მეცნიერისავეთ, საზოგადოება შეცდომაში არ შეგვეყვანა და მოციქულები მეტოქელებად არ წაგვეკითხებინა, ან საწინებელი საწინებეფათასად, ან პირველი პირიკუად თუ ტირაკუად, ან მქადაგებელნო სამქადაგებელისა-დ და სხ.

ვიმეორებ, წყალ-წასალები ამბები არ შეედრება იმას, რასაც ჰქვიან „მე-IX—X საუკუნის ისტორია“ და მისი ტექსტის მართლად, სისწორით და უცვლელად გადმოწერა და გამოქვეყნება. აკი მიტომაც, რომ ჯანაშვილი მართო წყალ-წასალებ ამბებით ერთობა, „როდესაც საყურადღებო რამე კითხვა იქნება ისტორიის თუ არხელოვების შესახებ, მაშინ ჯანაშვილი აღარაღვის აღარ ახსოვს“ და მოკამათეს მიანდომენ ხოლმე იმისთანა პირველ ხარისხოვან ძეგლის გამოქვეყნებას, როგორიც არის შატბერდის კრებული. ნუ თუ ეს ძეგლი, იქ მაინც, საცა ცხადად და მარგალიტებივით სხედს ასოები, არ უნდა დაცულიყო, მიქელისა არ იყოს, სისწორითა სიშინისათა? ნუ თუ აქ მკოდნე კაცი, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე გაკირების დღეს, ქორონიკონს ჰვ (5500 წ. ქრისტემდე) წაიკითხავდა ჰრ-დ (5100 წ.) და მერე წინასიტყვაობაში, თავისივე შეცდომისაგამო, უმეცრებას შესწამებდა და გაუწყრებოდა დედნის ავტორს! ან გამოსტოვებდა ცხადად და ნათლად დაწერილ მრავალ სიტყვა-ფრაზას, დააკლებდა ანუ შესცვლიდა ასოებს და მერე ამისთანა ადგილებს примѣчаніе-ბს გაუკეთებდა და მოსთქვამდა: ჰაჰ,

ხალხნო, კაცნო, აქ ქართლის ცხოვრება, თუ სხვა-
ვარიანტი, ამა და ამ სიტყვას, თუ ფრაზას, თუ ასოს,
უმეტებსო, ე. ი. იმასვე, რაც ამ მეცნიერ კაცს თვი-
თონვე დაუკლია და შეუცვლია! და ყველა ამის შემ-
დეგ ამისთანა კაცი თავის წინასიტყვაობაში კიდევ
დაიკვებებდა, არა ერთგან, არამედ მრავალგან, ვი-
თარმედ „მართლ წერა დედნისა სასტიკად არის
დაცულიო“.

კიდევ ვიმეორებთ, პირველ წერილში (საყურა-
დღებო საგანი) ჩვენი მიზანი იყო გამოგვეწვია თვი-
თონვე აღმადგენელი, რათა მას საკუთარის ხელით
აღენიშნა მის მიერვე დაკლებული და მის მიერვე
არეული ადგილები ტექსტისა. რახან მან ეს არ
ისურვა და სიტყვა ბანზედ ააგდო და ჩვენ პი-
რადობას მოახმარა მთელი თვისი მკვერმეტყველო-
ბა, ამიტომაც იძულებული ვარ მევე ვიტვირთო ეს
ძნელი და თავსატეხი საქმე. ვიტვირთო იმიტომ-კი
არა, რომ, მართლაც, ბოროტი რამ განზრახვა მქონ-
დეს, არამედ იმიტომ, რომ ყოველ მამულიშვილი-
სათვის და ყოველი კაცისათვის, საზოგადოდ, სანუ-
კარია ხელთ-იქონიოს შეუბღალავი და შეუმწიკლე-
ლი ნაჭირნახულევი თვისთა ნეტარ-ხსენებულ მამა-
პაპათა, მეტადრე იმისთანა ნაჭირნახულევი, რო-
მელიც მკვდრეთით აღადგენს ქართველთა ერის სა-
ხელ-გატეხილ დიდ მათიანეს.

აი ამიტომაც, პირველ წერილში ჩვენ შევნიშნეთ,
რომ არათუ მარტო მოქცევაჲ ქართლისაჲ-ის აღმოჩენა

თვალსაჩინო მოვლენაა, არამედ თვით ის ამბავიც, რომ მე-IX—X საუკუნეში ქართულს ენაზე ყოფილა შედგენილი სისტემატიური ქრისტომატია, აწმატბერდის კრებულად წოდებულიო.

ამაზედ ბ. მოკამათემ დაგვცინა: „საწყალი შატბერდის კრებული! რა ნახა ამ კრებულში ისეთი, რომ ასე გაკადნიერდა ჯანაშვილი? ან რა ასაღი აზრია, რომ ბერძნული ანბანი ფინიკიურიდამ გადმოიღესო“. როგორა ვსთქვათ, რომ ამას მოკამათე გულწრფელად ამბობს და ასრე ამცირებს კრებულის მნიშვნელობას. არა. კრებულის დიდი მნიშვნელობა მოკამათემ, თუმცა აგი არ წაუკითხავს მას, მაინც გაგონითაც კარგა იცის, მაგრამ აქაც კეშმარიტებას ჰგრებს მხოლოდ თავის თავის გასამართლებლად და თავის უღირს მობაასეს დასამცირებლად.

რალა თქმა უნდა, ხსენებული ხელნაწერი ბრწყინვალე ცისკარია ჩვენს, აქამომდე ბინდით მოცულს, არე მარეზედ. იგი აშკარა და შეურყეველი პასუხია იმისთანა პირთათვის, ვითარნიც იყვნენ ანუ არიან: სენკოვსკი, სმირონოვი, ბრანბეუსი, შავროვი და მრ. სხვანი, რომელნიც, გუშინ თუ გუშინწინ, ამტკიცებდნენ, რომ ქართველნი მე XI—XII საუკუნემდე არცკი არსებობდნენო, რომ ამ ერს არაფერი საბუთი არ დაუტოვებია იმისი, თუ იგი მეთე საუკუნეზედაც აღრე არსებულაო. ეს ქართველი ერი უნიკო, სწავლისა და ხელოვნების შეუფერებელ-შეუთვისებელი ერიაო; მათი ისტორია იხანხლება

მარტო მე XVIII საუკუნეში; ან და: ქართველს არც კი ჰქონია უნარი საკუთარი ერის ისტორიის შედგენისა და იგი მათთვის დაუწერია სომხის უმეცარ ბერსაო (პატკანოვი) და სხ.-და-სხ.

დღეს-კი ვხედავთ, რომ ქართველი კაცი, მართლაც, არც უნიჭო ყოფილა, არც თავისი ისტორიის უმეცარი და არც სწავლა-განათლების მოძულე. მისთვის ფრიად საჭირო ყოფილა ის ამბავი, თუ როგორ იწარმოვა ფინიკიურმა ანბანმა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მკურნალობას ცხოვრებაში *), თუ რა გვარია ან სად იპოება ძვირფასი ქვები, ან რა ზნე-ხასიათისანი არიან ფრინველნი და მხეცნი, თუ რა ნიჭნი აქვს ადამიანს, ან რა არის აღთქმული ერის ისტორია, აგრეთვე ისტორია სპარსთა, პტოლომეოზებისა, რომაელთა, ან რას მოგვასწავებს მეფე დავითის მემკვიდრე დაწერილი საგალობლები. და ასრე სხვა წერილები. მოკამათე ყველა ამას ეძახის უმნიშვნელობას და უკიჟინებს „აქ რა არის, რომ ცნობილი არ იყოს. კითხვა ის-კი არ არის, რაც დღეს ცნობილია, არამედ ის გარემოება, რომ თვით მათე საუკუნეში ჩვენებს ჰქონიათ სამეცნიერო ტრაქტატები სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნებზე, რასაკვირველია, შესაფერად მაშინდელ დრო-ჟამისა. ერთის სიტყვით, დიდ მნი-

*) ამ სამკურნალო ტრაქტატს, „შატბერდის“ სამეცნიერო ქრისტომატიიდან ამოღებულს, ამ წიგნის ბოლოში ვებუქდავთ, სახელწოდებით „მწერლობა მე IX-X საუკუნისა“ და აგრეთვე იქიდანვე ამოღებულს „სასწავლო სახელმძღვანელოსა“.

შენელობიანად იმიტომ-კი არა ვსთვლით ხსენებულ კრებულს, რომ მასში მოყვანილი ყველა წერილები მართლაც უცხო და უცნობი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ყველა იგინი დაწერილნი, ანუ განმარტებულნი, ანუ თარგმნილნი არიან მე IX-X საუკუნეში „ენითა ქართულითაჲთა“. იგი კრებული აშკარად გვიმტკიცებს, რა მდინარი, ძლიერი და განვითარებული ყოფილა ჩვენი დედა-ენა მეთვე საუკუნეშივე. აგრეთვე გვიმტკიცებს იმასაც, რომ ის ერი, რომელსაც ულაპარაკნია და უწერია „ენითა ქართულითაჲთა“, მე IX-X საუკუნეზედაც ადრე ყოფილა ერი კულტურული და ადრევე ამ დროისა თვისი ენა დაუმუშავებია მიხედვისამებრ ძველი დროის კულტურა-ცივილიზაციისა და მეცნიერება-ღვთისმეტყველებისა.

ასრე განსჭვრეტს ჩვენი თვალ-საზრისი ამ მოვლენას და ამიტომაც შესანიშნავ ძეგლად ჰხადის შატბერდის კრებულს.

არც საკაცებრიო, საზოგადო, მნიშვნელობას არის მოკლებული იგი კრებული, როგორც ეს ჰგონია ჩვენს მოკამათეს. მრავალ მაგალითთაგან დღეს მხოლოდ ერთს დავასახელებ.

კრებულში რამდენიმე ალაგას ტექსტში შეგვხვდება სიტყვა „კაკასია“. მეცნიერებაში მტკიცედ იყო დამყარებული ესრეთი აზრი, რომ, ვითომ, ეს სიტყვა (კაკასია) ადგილობრივმა ერმა არ იცოდა მე XVIII საუკუნემდე და დღეს კაკასიად წოდებულ ქვეყანას ამ დრომდე არასოდეს არ იხსენიებ-

დნენ ამ სახელითაო. „ქართლოსის ძმა კავკასოსი დასახლდა ჩრდილო კავკასიაშიო“ არავის ზღაპრადაც არა ჰყოფნიდა. და ამტკიცებდნენ, რომ ეს სიტყვა გარედან არის შემოტანილი და ვახტანგის მიერ ქართლის ცხოვრებაში ჩაკერებულიო (Устарь, Древская. о Кавк.). ეხლა-კი ჩვენი კრებული არა თუ არღვევს ამ აზრს, არამედ თვით საქართველას უწოდს კავკასიად, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კავკასიას უწოდს საქართველად.

„ვნებანი იგი ქართლისანი, მატურნი კერპნი ცეცხლითა დაწუნ და ნაცარი მათი შეასუ მათ ვინ მათ ეგლოვდის და ესე ამცენ შეილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი მწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან“. სხვა ადგილას კავკასია იწოდება ჩრდილოდ და ჩრდილო-კი საქართველად. „მოხედა ღმერთმან წყალობითა ქვეყანასა ამას დავიწყებულსა (ლაპარაკია წმ. ნინოს შემოსლვაზე ქართლს) ჩრდილო-სასა კავკასიათა“. „სადაჲ არს ჩრდილოდ იგი ქუეყანაჲ ანუ სადაჲ არს სამოსელი იგი ოფლისა ჩუენისა“... სამოსელსა მისსა ზედა წილ-ითხინეს და წილით ჰხუდა ჩრდილოთა-მცსეთელთა კუართი იგი ოფლისა ივსოასი“. ამ ქვეყანას ჩრდილოდ სამართლიანად ერქუა, ვინაიდგან „მთანი დაეფარნეს ნისლსა და ველნი არმურსა ცთომისა და უმეცრებისასა. და იყო ქუეყანაჲ ესე ჩრდილო მზისაგან სიმართლისა ძისა ღუთისა მოხილვისათჳს და ცნობისა. ვითარცა სახელი ერქუა სამართლად ჩრდილოდ“,

ამ საყურადღებო ამბავს მხარს აძლევს აგრეთვე მოწმობა ისტორიკოსის სუმბატისა, რომლის ნაწერი თავდება ბაგრატ მე IV-ის (1027-1072) ამბების თხრობით. ეს მე XI საუკუნისა, თუ ამაზე ადრე დროის ისტორიკოსი სწერს: *) „გარდაიცვალა: ესე: გურგენ: მეფეთ მეფე:... ქორონიკონსა: სკს (1008): და დაუტევა: ძე: ესე თჳსი: ბაგრატ: აფხაზთა მეფე: კურატპალატი: დიდი: და ეუფლა: ტაოს: მამულსა თჳსსა: და დაიპყრა: ყოველი: კავკასია: თჳთმპყრობლობითა: ჯიქეთიდგან: ვიდრე გორანგეთამდე: ხოლო: აღარბადაგნ: და შარვანი: მოხარკე: ყო: სომხითისა: კელმწიფებითა... მეგობრად: და ერთგულყო: (სპარსნი) სიბრძნითა: და ძლიერებითა: თჳსითა: უფროს: სახლეულთა: თჳსთასა: და რამეთუ: ბერძენთ: მეფესაცა: შიში: აქუნდა: ამის: ყოველადვე:

სახელმწიფოს ერთობისა და ძლიერებისათვის ამ მეფეს არც თვისნი ნათესავნი შეუწყნარებია:

და ამან: ბაგრატ: კულატპალატმან: მოიყუანა: კლარჯნი: კელმწიფენი: სუმბატ: და: გურგენ: ძენი: ბაგრატ: არტანუჯელისანი: თჳსნი მამის დისწულნი: დარბაზობად: მის წინაშე: ციხესა შინა: ფანასკერტისასა: და: მუნ: შინა: შეიპყრნა: იგინი: და აღიხუნა: ქუეყანანი: და ციხენი: მათნი: და იგინი პატიმარყუნა: ციხესა შიგა: თმოგვისასა: და მუნ:...

*) იხ. მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის 301-302 გვ. ეს წიგნი ეკუთვნის წერა-კ. საზოვად. და აღნიშნულია № 30-ით.

გარდაიცვალა: სუმბატ: არტანუჯელი: ქორანიკონ-
სა: სლა (1011 წ.)*).

რომ მართლაც ესრეთი ჩვენება და მოწმობა
ჩვენი ქრონიკებისა ცარიელი სიტყვა არ არის, სჩანს
იმ გარემოებიდამაც, რომ საჩენჩოში დღესაც არის
ეკკლესია, რომლის ქართულ წარწერაში ბაქრაძეს
ამოუკითხავს 830 თუ, კარგა აღარ მახსოვს, 930
წელი. ამ წარწერაში იხსენიება აგრეთვე ადგილობ-
რივი ერისთავი.

დიალ, ამ გვარი საინტერესო და დასამწყსელო-
ბითნი ცნობანი შეიძლება ამოპკრიბოს კაცმა ჩვენი
კრებულიდამ. და ამის შესახებ ჩვენ-კი გვეუბნებიან,
რა არის ისეთი ამ კრებულში, რომ დღეს ცნობი-
ლი არ იყოსო, რა ახალი აზრიაო, რომ ბერძნული
ანბანი ფინიკიურიდამ არის წარმოებულიო და სხ.
ვიმეორებთ, ამისთანა ამბებს ჩვენ დიდ მნიშვნელო-
ბისად ვსთვლით. სხვებისთვის შეიძლება ყველა ეს და
თვით ისეთი წიგნის აღმოჩენა, რომელიც ქრისტო-
მატიურად არის შედგენილი მე IX-X საუკუნეში,
სულ მცირე მნიშვნელობისა იყოს. კაცია და გუნე-
ბა. De gustibus non disputandum.

*) თვით მოსე ქორენელი, კაღანკანტავაწი და სხ. მცხე-
თას სთვლიან დიდებულ ქალაქად მთელ ის ჩრდილოესა.

II

პირობის სიგელი, შედგენილი და დამტკიცებული მრავალის ბეჭდითა და სასტიკ საფიცრით.—ბერაის ნაშრომი, ორად გახეული.—ნიმუშები ზოგიერთ წაქცეულ და დაძველებულ სიტყვების აღდგენისა.—ძილია, თუ სიფხიზლე.

„სასოჯადოდ მართლწერა დედნისა სასტიკად არის დაცული“ (წინასიტყვაობა წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. II). „აქ და ყოველგან სსკა ამ გვარ შემთსკვაში (დედნის ტექსტის გადმოწერაზედაა ლაპარაკი) ვიცავთ დედნის მართლწერას (წინასიტ. სამი ისტორიული ხრონიკისა“, გვ. III.). „დედნის მართლწერის დაცვა სსკით მიგვასთა (!) მისთვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილოლოგიური მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საყურადღებო წყაროსი“ (წინასიტყ. გვ. 85).

ამ პირობის სიგელის დამწერისაგან მკითხველს ნება აქვს მართლაც მოითხოვოს ყოველის ქემშარიტებითა და სისწორით გადმოწერილი პირი ძველი დედნისა. თუ რაბამ დიდად აფასებს მართლწერის დაცვას დედნის პირის გადმოწერი, ეს სჩანს იკიდგან, რომ იგი თვით უმანკო და მცირე მნიშვნელოვან ასოების დაცვასაც გვპირდება. „პირველ სამ გვერდზე უე“-ს მაგიერ სიტყვებში ჩუენ, თქუენ და სხვა შეცთომით არის ნახმარი „უტ“ (წმ. ნინოს ცხოვ. წინასიტყ., გვ. II). კარგი და პატიოსანი. მაშ სამ

გვერდს ქვემოთ ჩუენ, თქუენ მაინც სისწორით უნდა იყოს დაწერილი.

არც სხვა ასოებს სტოვებს უყურადღებოდ ჩვენს მოკამათე და ტექსტის აღმადგენელი. სუბმატის ისტორია იწყობა სიტყვებით: „ცხოვრება და უწყება“. ტექსტის აღმადგენელი იქვე შენიშნავს, რომ თეიმურაზის ვარიანტში ეს სიტყვები ასრე სწერიაო: „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ“. აგრეთვე, თუ ტექსტში შეხვდა სიტყვა „სადათ“, იქვე დაუყოვნებლივ შენიშნავს: ეს სიტყვა ამა და ამ ვარიანტში ასრე სწერიაო: „სადით“. რალა თქმა უნდა, თუ, ვსთქვათ, ენოქი რომელიმე ვარიანტში ენუჭად დაწერილია, არც ამას სტოვებს აღუნიშვნელად. ამგვარად წიგნაკების ფურცლები აღვსილა примѣчаніе-ბით: მოვიდა; მაგიერ მივიდა სწერიაო, აბრამის მაგიერ აბრამ, რობუამის მაგიერ რობუამ, მოსთარის მაგიერ მუსთარ, იოაკიმის მაგიერ იოაკიმ, გუარამის მაგიერ გუარამ, კადის მაგიერ კად, კამბეჩანის მაგიერ კამბეჩანი და სხ. აგრეთვე რომელიმე სიტყვა, თუ ტექსტში არ აღმოჩნდა, ან ტექსტში აღმოჩნდა და ვარიანტებში არა, ამასაც იმავ წამს ჩანიშნავს. ამ გვარ примѣчаніе-ბით გაჭედლილია მოკამათეს მიერ გამოცემულ წიგნების ფურცლები. ხშირად მთელს გვერდზე ორი ან ერთი სტრიქონი ტექსტია და დანარჩენი-კი შენიშვნები.

საზოგადოდ, ბ. მოკამათე არა თუ რომელიმე სიტყვის შეცვლას ან გამოტოვებას, არამედ გინდ

ერთი ასოს მეორეთი შეცვლასაც დიდ და შეუნდობელ ცოდვად სთვლის. ამ გვარ შემცვლელებს, გინდ მათ ეცხოვროთ მეთავე საუკუნეში, უმეცრებადა და ტექსტის გამრყვნელებად ჰხადის. აქ, რაღა ბაასი უნდა, რომ მოკამათეს პირით, ამ შემთხვევაში, თვით ქემზარიტება და მეცნიერება ლაღადებს. მართლაც, ეს უშკის მადიერ, რომ ეს უბეთა წაიკითხო, ან იქნისის მადიერ იანქასი, ან სოჯაის მადიერ სოჯასი, ან მოციქულის მადიერ მეტოქელი, ან ზაიქულის მადიერ ზაიქუა და სხვაც ამ გვარად, -ეს ვისთვის რა მოსაწონია და რაღა მეცნიერულია.

„ხუცურში ძრიელ წაგავთ ერთი ერთმანეთს ასონი ბ და შ, ა და ძ, ხ და ტ, გ და რ“ (წინასიტყ. გვ. 106). ამისთვისაო უმეტეს კაცებს მადიერად ჯუანშერისა, არშაკისა, შაბურისა და სხ. წაუკითხვიო: ჯუანბერ, არბაკ, ბაბურ, ან და მადიერად სიტყვებისა: დაძ, რაძ, ვაძ—დაა, რაა, ვაა და სხ. (იქვე).

ამიტომაცა: „ქართლის ცხოვრებიდან (?) აღდგენა სუმბატის ისტორიისა და მისი ვარიანტათ ხმარება მიუცილებელ საჭიროთ მიგვაჩთა (?), რადგანაც მარიამ დედოფლის ვარიანტის ტექსტი გარყვნილია უმეტესის გადამწერისაგან. ის შეცთომები, რომელნიც წარმოსდგებიან ხუცური ასოების ერთი ერთმანეთის მსგავსებით და პატივ ქვეშ მყოფი სიტყვების უკიდო კითხვით, ხშირია მარიამის ვარიანტში. ამას გარდა მარიამის ვარიანტში აქ იქ გამოშვე-

ბულია ზოგიერთი ფრაზები და სიტყვები, რომელთა გამოშვებით ტექსტი გაუგებარა ხდება“. (გამოწერილია სიტყვა-სიტყვით. იხ. „სამი ისტორიული ხრონიკის“ წინასიტყ. გვ. 106-107).

აკი ზემოთ ვსთქვი, რომ მოკამათეს პირით თვით მეცნიერება ღალატებსო. განსვენებული დ. ბაქრაძეც ამავე სიტყვებით: უმეცარი, გამაყსული, გაუგებარი და სხ. იხსენიებს იმ უწინდელ უეც მწერლებს, სწორედ იმავე შეცთომებისათვის, რომლებსაც ჩამოსთვლის ჩვენი მოკამათე (იხ. „პატკანოვი და ქართლის ცხოვრება“).

ახლა, ამისთანა პროგრამითა და ფარ-ხმლით აღქურვილ კაცს, ვნახოთ, თვითონ როგორ გადმოუწერია ტექსტი. გავყვეთ კვალ და კვალ და დავთვალოთ: რამდენი ასო შეუცვლია და რამდენი ასო გამოუტოვებია, რამდენი სიტყვა შეუცვლია და რამდენი სიტყვა გამოუტოვებია, რამდენი ფსაღა შეუცვლია და რამდენი ფრაზა გამოუტოვებია, რამდენი ჰესიოდი, თვალ-ნათლად დაწერილი, ვერც-კი შეუნიშნავს, რამდენი, არა თუ საფილოლოგო, არამედ საგრამატიკო, ბორძიკი მოსვლია და სხ.

აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრისტომატიასი ერთს განუყოფელ მოთხრობას წარმოადგენს. ქრისტომატიის შემადგენელს მოჰყავს ჯერ „საზოგადო მიმოხილვა“ საქართველოს ისტორიისა არამიდგან მე V-IV საუკ. ქარ. წინ ვიდრე აშოტ კურატპალატის

(786-826) ძმის გვარამის დრომდე. ეს შეადგენს I თავს ქართლის მოქცევისას. შემდეგ ამისა მოჰყვება აგრეთვე მცირე „შესავალი“ წმ. ნინოს ისტორიისა და ამას-კი მიჰყვება თვით „ცხოვრება წმ. ნინოსი“. და „წერილი“ და „ანდერძი“ მირიან მეფისა.

ჩვენს მოკამათეს ეს ერთეული ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორად გაუყვია. „საზოგადო მიმოხილვა“ „სამ ისტორიულ ხრონიკაში“ დაუბეჭდია სახელ წოდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და დანარჩენი გამოუცია ცალკე და ამ გამოცემაში „შესავალი“ წმ. ნინოს ცხოვრებისა უსახელოდ დარჩენია.

ჩვენის მოსაზრებით-კი დედნის რიგი და დაწყობილობა არ უნდა შეცვლილიყო თუნდ ერთი იოტითაც, რადგან, როგორც ვსთქვი, „საზოგადო მიმოხილვა“, ცალკე დაბეჭდილი, არ არის ისეთი შინაარსისა, რომ მას ეწოდოს მოქცევაჲ ქართლისაჲ. არამედ „საზოგადო მიმოხილვაცა“, „შესავალიცა“ და „წმ. ნინოს ცხოვრებაც“ ერთი მეორეს ავსებს, ერთი მეორეს ხსნის და ამისგამო, და მხოლოდ ამისგამო, ძველს მწერალსაც თავის მოთხრობისათვის უწოდებია არა სხვა სახელი, არამედ მოქცევაჲ ქართლისაჲ.

ამიტომაც ჩვენც ჯერ პირველად ბ. მოკამათეს მიერ ორად გაყოფილ და ცალკე-ცალკე დაბეჭდილ მოქცევაჲ ქართლისაჲ-დამ და სუმბატისა და მესხურ დავითნის ქრონიკიდამ ამოვიღებთ რაოდენიმე მაგალითს მის მიერ აღდგენილ სიტყვებ-ფრაზებისას

და დანარჩენს მოვიხსენიებთ ცალკე „აღდგენილის
აღდგენას სრელში“, რომ მკითხველს შეეძლოს თა-
ვის ხელთ მყოფი წიგნები შეასწოროს.

ა) მოქცევაჲ ქართლისაჲ

წყალისა (დაბეჰდილის გვ. 18)—წყლისა (დე-
დნის გვ. 438); კტოეთა (19)—კტოეთას (439); ამი-
ერ (26)—იმიერ (441); მიიცვალა (27)—მოიცვალა
(442); მიაბხვა (29)—მიაბთხვა (442); იქაფთან (31)
—აქაფთან (443); ამის (33)—მის (444); ეკლესია-
სა (36)—ეკლესიათა (445); რომელნი (38)—რომელ
(446); ჰინდოვის (2)—ჰინდოეთს (448); მიღებად
(4)—მოღებად (448); მისცეს (5)—მოსცეს (450);
მყენა (5)—მყენა (450); ქრისტეჲ (5)—ქრისტეს
(450); დამღუარნა (8)—დამაღუარნა (451); ყოველთ
(9)—ყოველი (453); შეიშუნეს (10)—შეიშურვეს
(454); წილი (10)—წილით (454); ჯუარი მე (13)
—მე ჯუარი (456); კელთა (13)—კელსა (456);
ურიცხვ (20)—ერი ურიცხვ (458); ჰრქუა (21)—
მრქუა (459); მიემართჲ (16)—მიეიმართჲ (462); სმე-
ნით (29)—სმენილი (465); წელნი ჰრ (30)—წელ-
ნი ჰვ (465); აქუნდეს (30)—უჩნდეს (465); გარდა-
მოვიდა (43)—გარდამოვარდა (474); საკურველი (44)
—საძირკუელი (475); ძალისა (46)—ძალითა (446);
ლოცვიდა (46)—ილოცვიდა (476); მიებარდნა (44)
—მიებლარდნა (578); სამოთხესა (47)—სიმაღლესა
(478); იყო (47)—იწყო (479); ვხედავ (52)—ჰხე-
დავ (481); მიწენილ (55)—მიფენილ (483); ღი-

დებული (60)—დებული (487); რომელი (63)—რომელი (489); ზატიკისა (63)—ზატიკის ზატიკსა (490); ჟამისა (64)—ამისა (490); მოწვევულ (65)—მიწვევულ (491); დღეულითგან (66)—დიღეულითგან (492); სულსა აწ (67)—სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, აწ (493); ამინ (67) ამენ (493); პირ-იცვა (68)—პირველ (493); მომიშორო (65)—მომიბოძო და სხ.-და-სხ.

კმარა. ბოლომდის კიდევ კარგა მანძილია და მთელს წიგნში-კი სამასზედაც მეტი შეცდომაა (იხ. აღდგენილის აღდგენას სრულში).

ბ) სუმბატის ისტორია.

შვა (დაბეჭდ. გვ. 21)—შუა (დენის გვ. 294); სხვანი (43)—სხუანი (295); გურამ (44)—გუარამ (295); ციხისა (47)—ციხესა (296); ბართლომე (49)—ბართლომე (296); ვარაზბაქურ (50)—ვარაზბაკურ (296); კელმწიფობასა (56)—კელმწიფობს (298); გარდაიცვალა გურამ მამფალი (58)—გ... გ... მამეფელი (299); შეკრიბა (58)—შეიკრიბა (299); მამფალი (59)—მამეფელი (200); სახლეველთა (66)—სახლეულთა (301); მოუდგა (69)—მიუდგა (301); მზაკუარნი არა მიეშუნეს (71)—მზაკუარნი იგი აწნა-ჟანა არა მიეშურნეს (303); მოსრულ (72)—მისრულ (303); რომელნიმე (73)—რომელნი (303); კურატპალატისანი (73)—კულატპალატისა (303); ქორონიკონსა სიზ (73)—ქ-სა სმზ (303)...

აქაც წერტილი დავსვათ. ამას გარდა კიდევ ბევრია სხვაც.

გ) მესხური დავითნის ქრონიკა.

იანვარსა (დაბექდ. გვ. 81)—იენისსა (დედნ. გვ. 9); ოდიშის (81)—ოდიშს (9); შახთამაზ (82)—შათამაზ (9); პატრონმან (82)—ქ: პატრანმან (9); ლ.-მოყვარულთა (82)—ლ.-მოყვარეთა (10); ოთხ-შაბათსა ჟამსა (83)—ოთხშაბათსა, პირველსა ჟამსა (11); უკანდელი (83)—უკანანდელი (11); აღმალღებულის (85) აღმატებულისა (12); სასუფეველთასა წმიდათასა (65)—სასუფეველსა ცათასა (13); ქორონიკონსა სჯა (86)—ქ-სა სჯ (14); მივიდა (87)—მოვიდა (14); აიკიდეს (89)—აჰკიდეს (15); ალაფი, და (91)—ალაფი გამოვიღეთ და (17); კოკოლა (93)—კოკოლას (18) იქეთ (95)—აქეთ (18); წავიდა (96)—წავიდა ბატონი (18); ერუბნელი (98)—ერუშნელი (91); გამოაქცია (99)—გამოიქცა (22); შარმანზე (102)—შარვანზე (22); კარი (107)—კარი (26).

შეცდომა კიდევ ბლომათ არის (იხ. ქვემოთ).

დ) წინასიტყვაობანი.

კელ-წავყოფ (დაბექ. გვ. XI)—კელვჰყოფ *) (გვ. 576); ვიცნა (XI)—ეცნა (516); სასყიდლოთ (XI)—სასყიდელი; ბრალობად (XI)—ბრალობაჲ

*) კელის წაყოფა მურაბის ქოთანში შეიძლება და კელყოფა წიგნის წერა-თარგმნასა და კევილ საქმის კეთებაში.

(516); (საწნეხეფათასა) გვ. XII—საწნელთასა (516); ვითარცა იგი მეტოქელთა (XII)—ვითარცა იგი მოციქულთა (516); გვედრები სიწმინდესა შენსა (XIII)—ვევედრები... (576); ელოძენოსად (XIII)—ელოძენოსად; ძმაო (XIV)—მამაო; იყო (XIV)—იყოს; უძღურებთა წმიდათა (CXXVIII)—იძულებთა წმიდათა (7).

სხვაც ბევრია (იხ. ქვემოთ).

ხოლო აქ მოვიყვანოთ აგრეთვე ის პერიოდი, რომლის კაჰანებაც არ არის მოკამათეს წიგნში და რომელსაც იგი ოთხ-ხუთ წინადადებას ეძახის და რომელიც პირველ წერილში ჩვენ, ვითომ, იმიტომ სტრიქონ-სტრიქონად დავბეჭდეთ, რომ ბევრად გვეჩვენებინა და ამიტომ ბოროტი განზრახვა შეგვეწყაშა. დავთვალათ, თუ მართლაც 4—5 წინადადებაა.

და ნინო შთავიდა კხოეთა	—1
და დადგა კაწარეთს:	და —2
მონათლნა კხოელნი	და
სოჯნი ერითურთ მათით:	—3—4
და გარდავიდა კახეთა:	—5
და დადგა ქცელ დაბას:	და —6
მოიყვანნა კაცნი მთავ	—7
არნი: და მონათლნა	—8

აქედგან სჩანს, რომ თუნდ გაყოლებით დაგვეწერა, მაინც არა 4—5 წინადადება გამოვიდოდა, არამედ იმდენივე, რამდენიც სტრიქონია. დალოცვილ ბერაის თითქო წინასწარ უგრძობნია, რომ შენი-

სტრიქონები და წინადადებანი მეტ-ნაკლები არ იყოს, თორემ ჯანაშვილს მე-XIX საუკუნეში მახეში გააბამენო და ბოროტებას დასწამებენო. დიდება შენდა, უფალო.

ახლა ვიკითხოთ: ეს როგორი სასტიკი დაცვაა დედნის მართლ წერისა? განა ეს 4—5 შეცდომაა? კაცი, რომელიც სხვას უსწორებს: აბრაამი-კი არა, აბრაამი უნდაო, ბ-სი და შ-ს შემრევენელებს არ ინდობს და გამრყენელებს, უმეცარს, უვიცს ეძახის და ესრეთი კაცი თვითონ რაღასა სჩადის? მომიბოძო-ს მომიშორო-დ სწერსა, ერუშნელს ერუბნელად, იძულებითს უძღურებითად, მოციქულებს მეტოქელებად და სხ.

ნეტავი, ეს ძილია, თუ სიფხიზლე. სადღაა მეცნიერებისათვის სასტიკად მართლ-წერის დაცვა? ან სადაური ენა გვესმის? იქნება ქაჯეთსა ვართ? იქნება ხელახლა ბაბილონისებური ენათა შერევნა იწყობა!

მგონი, ამასა ჰქვიან სხვის თვალში წვილსა ჰხედაეს და თავის თვალში ღირეს ვერაო. ეჰ, მახლას, რაღა!

III

შატბერდის კრებულის შედარება ვარიანტებთან.—
ქართლის ცხოვრება, საბინინი, მარიამ დედოფლის
ვარიანტი და შატბერდის კრებული ერთს ამბობენ
და მოკამათეს წიგნები-კი სხვას.—ქართლის ცხოვ-
რება და მოკამათე ერთს ამბობენ და შატბერდის კრე-
ბული სხვას.

წინასიტყვაობაში მოკამათე გვპირდება, რომ დე-
დნის ტექსტის ალსადგენად იგი დედანს შეადარებს
სხვა-და-სხვა ვარიანტებს, ვითარცა: ქართლის ცხოვ-
რება, საბინინის „სამოთხე“, შიო მღვიმის მამათა
ცხოვრება, მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრ-
ება“, რომელშიაც მისი სიტყვით „სოგი ესთი სი-
ტყვა გაწყნია ჟქეწარის გადაწყნისაგან“ (გვ. I-XI).
ჰხედავთ, ჩვენი მოკამათე რა სასტიკად ეპყრობა
ძველ გადმომწერთ მხოლოდ სოგი ესთი სიტყვე-
ბის გარყვნისათვის. ესეც უნდა დავიხსოვოთ ჩვენ.

ახლა ვნახოთ, როგორ შეუდარებია მოკამათეს
ვარიანტები დედანთან და როგორ აღუდგენია ტე-
ქსტი. ხოლო აქ შევნიშნავ, რომ მე დღეს ხელად
მაქვს მხოლოდ მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვ-
რება“, საბინინის „სამოთხე“, დაბეჭდილი „ქარ-
თლის ცხოვრება“. აი ამათ შევადაროთ.

მოკამათე	ქართ. ცხოვრება	დედანი
მიღებად	მოღებად	მოღებად
პიხალინისასა	პიტალანისასა	პიტალანისასა
ქრისტს	ქრისტეს	ქრისტსს
პატრეარქსა	პატრიაქსა	პატრეაქსა
ყოველთ	ყოველი	ყოველი
ცხოვრებაჲ	ცხოვრებაჲ	ცხოვრებაჲ
შეიშუნეს	შეიშურვეს	შეიშურვეს
არტაკრად	ანტაკარად	ანტაკრად
წილი	წილითა	წილით
სადაჲ	სადა	სადა
ლუთისა	უფლისა	ოფლისა
სომხითსა	სომხითისა	სომხითისა
კელთა	ხელსა	კელსა
მოგუებსა	მოგება	მოგუებასა
გამოვიდოდა უ-	გამოსლოუა ერისა	გამოვიდოდა
რიცხვ	ურიცხვისა	ერი ურიცხვ
მთანნი იგი	მთანნი იგი	მთანნი იგი
მრავალთა ძალი-	მრავლითა ძალი-	მრავლითა ძალი-
თა შენთა	თა შენითა	თა შენითა
საუფლის	სოფლის	სუფლის
აქუნდეს	უჩნდეს	უჩნდეს
დღეულითგან	დღეულითგან	დღეულითგან

მაშასადამე, ქართლის ცხოვრებაში უფრო უკეთ ყოფილა ტექსტი აღდგენილი, მინამ მოკამათეს მიერ დაბეჭდილშია.

ეხლა პირუკულმა მაგალითები:

მოკამათე	ქართ. ცხ.	დედანი
მისცა	მისცა	მოსცა
სამკუდრო	სამკუდრო	სამკუდროჲ

;

უკუნისამდე იესო თაყუანისცემად დედოფალი მან ჰრქუა ქუათა ხუარასნეული იყო, სულითა უკეთურითა მნებავს ვრიდო საკურველი ჯაქვ	უკუნისამდე იესო თაყუანისცემად დედოფალი მან ჰრქუა ქუათა ხვარსნელი იყო, სულითა უკე- თურითა მნებავს ვრიდო საკურველი ჯაქვ	ოკუნისამდე ივსო თავყუანისცემად დედოფალი მან მრქუა ქვათა ხუარა სნეულ- იყო სულითა უკეთურითა მინებს ვჰრიდო საძირკუელი ქაქვ
---	---	---

გკითხავთ: დედნის გადმომწერს განა დედანში-
კი ჩაუხედნია?

მოკამათე	საბიბინი	დედასა
ხუარასნეული იყო, სულითა უკეთურითა იყო სრბად, მკვირცლ მოსლუად ხოლო ჰაბუკმან მიყო კელი სუეტსა მას და... აღა- მალლა და წა- რიდო სიმო- თსესა ცათასა	ხუარაჲ სნეულ- იყო სულითა უკეთურითა (გვ. 138) იწყო მეფემან სრბით მისლვა ხოლო ჰაბუკმან მას მიჰყო ხე- ლი სუეტსა და აღამალლა სიმადლესა ში- ნა ზე ჰაერთა	ხუარა სნეულ- იყო სულითა უკეთურითა იწყო სრბად მკვირცხლ მოსლვად. ხოლო ჰაბუკმან მას მიყო კელი სუეტსა მას ღ... აღამალ- ლა და წარი- დო სიმადლეს- სა ცათასა

მოისტველებდიან	მოისტულე- დიან (გვ. 78).	მოისტულე- დიან
----------------	-----------------------------	-------------------

მაშასადამე, აქაც, ზოგიერთთაგან დაწუნებული, საბინინი უფრო უახლოვდება დედანს, მინამ ამ დედნის აღმადგენელი.

მოკამათო	პარამ დედოფ. კარახტი	დედანი.
მიღებად (4)	მოღებად (96)	მოღებად
თქუნისა (5)	თქუნისასა	თქუნისასა
მოსცეს (5)	მოსცეს (97)	მოსცეს
ქრისტს (5)	ქრისტეს (97)	ქრისტსს

ამისთანა მაგალითები ამ სამივე ვარიანტში ბევრია. —

IV

ტექსტის გადმოწერის დროს დედნიდამ გამოტოვებული ან შეცვლილი სიტყვებ-ფრაზები და მერე ამ გამოტოვებულების ადგილას გაკეთებული შენიშვნები, რომ აქა და აქ ამა და ამ ვარიანტში ასრეთი სიტყვა-ფრაზა არისო, ე. ი. ისევ ის, რაც თვით დედანშივეა.-არევა ტექსტისა და სხ.

ზემოთ ვსთქვით, რომ შენიშვნებში ავტორი, ვარიანტების შემწეობით, აღნიშნავს სულ მცირე და აზრის უწინებელ განსხვავებასაცაია. ვნახოთ, ესეც როგორ შეუსრულებია.

53 გვერდზე მოკამათეს დაუბეჭდია სიტყვა არ-

დანუჯი და მერე ამ სიტყვისთვის გაუკეთებია примѣ-
чание, რომ ქართლის ცხოვრებაში ეს სიტყვა სწე-
რია ასრეო: „არტანუჯი“. გაეშინჯეთ დედანი და
იქაც აღმოჩნდა არტანუჯი და არა არდანუჯი (დედნის
გვ. 297 ბ). примѣчание-ბის გასაქრელებლად დედ-
ნის გარყვნა?! ღმერთო, შეგვიბრალებ.

გვ. 69 დაუბეჭდია „მიუდგა“, რომელსაც ქარ-
თლის ცხოვრებით მიუდგად ასწორებს. დედანში
აგრეთვე მიუდგა სწერია (დედნის გვ. 308).

გვ. 71 დაუბეჭდია „მზაკუარნი არა მიეშუნეს“
და აქ примѣчание გაუკეთებია, რომ ამ ადგილს
ქართლის ცხოვრებაში ასრე ვკითხულობთო: „მზაკუარ-
ნი იგი ზხნაჟრნი არა მიეშუნეს“-ო. დედანში აგრეთვე
იგი ზხნაჟრნი გამოტოვებული არ არის (დედნის გვ.
303 ბ).

გვ. 87 იმავე დაუბეჭდია და ამავედ ასწორებს
ქართ. ცხოვრებით. დედანში აგრეთვე იმავე სწერია.

გვ. 89 აიკიდეს უბეჭდია და აქკიდეს-ად ასწო-
რებს. დედანში სწორედ აქკიდეს არის.

გვ. 113 წარკიდეს უბეჭდია და წავიდეს-ად
ასწორებს. დედანშიაც წაკიდეს-ია.

გვ. 86 დაუბეჭდია ქორონიკონი სჲა (261 წ.) და
მერე შენიშნავს, რომ ამ წელს მომხდარ ამბავს ვა-
რიანტები არ იხსენიებენო. ახლა ვიკითხოთ, ვარიან-
ტები როგორ მოიხსენიებენ, როდესაც თვით დედა-
ნი იხსენიებს არა სჲა (261) ქორონიკონსა, არამედ
სჲ (260)-სა (იხ. დედნის გვ. 14).

შენიშნ. ამ დედნის (მესხური დავითნი) ქორონიკონები სათითაოდ განხილულია დ. ბაქრაძისაგან და ციფრებით აღნიშნული იქვე დედანში მისის ლამაზი ხელით. აქაც ქორონიკონს ს.ა.-ს გვერდზე განსვენებულს მოუწერია 1572 წ. მართლაც ქ-ნი ს.ა. (260) შეადგენს სწორედ 1572 წელს, ამიტომ რომ 1312-|-260 = 1572. საიდგანდა გამოიყვანა ჩვენმა გადმომწერმა ქ-ნი ს.ა. (261), ღმერთმა უწყის.

მაგრამ ეს ცოტაა. ამ ქ-ნს ს.ა. დედანში მიჰყვება ტექსტის ჩვეულებრივ ხელით დაწერილი ოთხი სტრიქონი და ამის შემდეგ იწყობა ის ამბავი, რომელიც მოკამათეს დაბეჭდილში მიჰყვება სიტყვებს: „ქ-სა ს.ა.დ...“ (გვ. 86). მაგრამ ჩვენს მოკამათეს ეს ოთხი სტრიქონი ქ-ნის ს.ა.-სთვის-კი არ მიუყვლება, არამედ ქ-ნ ს.ა.დ.-ის ორი სტრიქონის შემდეგ მიუყვლება. ასე რომ კაცი იბნევა და ვერ გაუგია ვერაფერი.


მაგრამ მართა ეს არ არის პირველი მაგალითი ტექსტის არევისა. მთელი საათი უნდება კაცი იმას, თუ დედნის რომელი სტრიქონები რომელ ადგილას დაუბეჭდია ბ. აღმადგენელს. კარგი იქნებოდა აქ თვით ტექსტის რიგით მოგვეყვანა ყველა ასეთი ადგილები, მაგრამ ბევრია და შორს გასტანს. ამიტომ საჩუბით მანინ კუჩუკებთ მკითხველს ერთ ამ გვარ ადგილს.

ბ ქკსა სჰზ (1559)

გ _____

დ _____

ქკსა სჰ (1572)



ამ „ღმერთზე ჰქილია“-ს დედანში მიჰყვება ტექსტი, რომელიც იწყობა ასრე: „ეგრეთვე სახელოვანისა...“ (დაბეჭდ. გვ. 85, დედნისა 12).

*) ა მეორე სტრიქონი დედნის ბოლოდგან (გვ. 11)

ბ იმავე გვერდის შუა სტრიქონი

გ ბ-ს შემდეგი სტრიქონი

დ გ-ს შემდეგი

ე ა-ს შემდეგი

ვ მე 12-ე გვერდზე გადასული ნაწერი.

ყველა ეს სტრიქონები ბ. მოკამათეს დაუბეჭდია თავის წიგნის მე 82-83 გვერდზედ ამ რიგად: ჯერ სტრიქონი „ა“, მერე ბ, გ, დ, ე, ვ.

ხოლო მოკამათეს მიერ დაბეჭდილში-კი სიტყვებს „ღმერთზე ჰკილია“ მიჰყვება: „ქ. მეფისა მკნი-სა...“ (დაბეჭდ. გვ.-84, დედნისა 10).

მაშასადამე აღმადგენელს ზოგი ადგილები (ალაპები) გამოუტოვებია და დაუბეჭდია ჯერ ქრონიკული ცნობები და ასე ჩასულა დედნის მე 12-ე გვერდის შუამდე და მერე ისევ დაბრუნებულა მეთავე გვერდზე, რომ ორიოდე ალაპი ამოსწეროს და შემდეგ ისევ მე 12-ე გვერდიდამ განაგრძოს ქრონიკა ბოლომდე.

ახლა ვიკითხოთ: თუ ალაპების გამო შეშალა დედნის ტექსტის რიგი და ქრონიკულ ცნობებს გამოეკიდა, ბარემ მე 12-ე გვერდიდამ ნულარ დაბრუნდებოდა, რადგან იმის შემდეგაც სულ ქრონიკა მიჰყვება, და ბოლომდის ჩაიტანდა და მერე ბოლოს მოიყვანდა ზემოთ გამოტოვებულ ალაპებს.

ან და: თუ ქორონიკონის რიგს გამოეკიდა, ბარემ ამ ქორონიკონებს ნუ აურევდა და „მესხურ დავითნის ქრონიკის“ მწერალს სასაცილო მდგომარეობაში ნუ ჩააყენებდა: ჯერ პატრონს მზეჭაბუკს ნუ მოაკლევინებდა სჲ წელსა (1572) და ამის შემდეგ ბატონის არჩილის ვაჟს ჰერეკლეს ნუ დააბადინებდა ქორონიკონსა სმზ (1559 წელი) და მერე ისევ ნუ გადაასკუპებდა იმავ ქორონიკონს სჲ-ზედ და ნუ აშობინებდა ბატონის ვახტანგის ვაჟს ბაგრატს (იხ. მოკამათეს დაბეჭდილი „სამი ისტ. ხრონ“ გვ. 82 83).

კიდევ ერთი სიტყვა. „მესხური დავითნის ქრონ-

კის“ არშიებზე სწერია: „საბა“ (გვ. 9), „ზაქარია“ (გვ. 14).

ჩვენს აღმადგენელს ეს „საბა“, რომელიც, ჩემის აზრით, ზაქარიასთან ერთად, არის ამ ქრონიკისა და თვით დავითნის მწერალი, შიგ ტექსტში მოუქცევია და „პატრონძს იანქოს“ ამბავი საბასთვის მიუწერია.

ქრონიკის მე 9 გვერდზე თხრობა იწყობა სიტყვით „დაიბადა“ („ღ“ ასომთავრულია ყველგან):
დაიბადა თამარ აწყვერს აპრილსა იმ...

დაიბადა აწყვერს პატრონი იანქო თთვესა აპრილსა კთ...

დაიბადნეს ღასილი და ბექაი...

მეორე სტრიქონის დასაწყისის პირდაპირ არშიაზე წარწერილია „საბა“ და ამიტომ აღმადგენელს ეს მეორე სტრიქონი ასრე დაუბეჭდია: „საბა დაიბადა აწყვერს, პატრონი იანქო თთვესა აპრილსა კთ...“ თუ აქ საბას დაბადებაზე ყოფილიყო ლაპარაკი, მაშინ მეორე წინადადებას ცალკე შესმენილი უნდა ჰქონოდა. „პატრონი იანქო თთვესა აპრილსა კთ, დღესა ხუთშაბათსა, დღისით, ჟამსა მეექვსესა, ზ მთუარისასა, ქკ-სა სნა“. აქ უნებურად იბადება კითხვა: ამ ქორონიკონსა, ამ დღესა მთუარისასა, ამ ჟამსა დღისასა, ამ რიცხვსა თთვისასა პატრონს იანქოს რა მოუვიდა, რა დაემართა? რასაკვირველია დაიბადა. ამ დროს საბა ალბად ზორბა ვაჟაკი იყო და ამ იანქოს დაბადებისა და სხვა ამბებს სწერდა.

სანიმუშოდ იმისა, თუ როგორ უღლუწნია მოკამათეს აქვე მოვიყვან ერთ ადგილს მისის დაბეჭდილისას. ავიღოთ თუნდ 87 გვერდი, საცა 10 სტრიქონი ტექსტია და დანარჩენი примѣчаніе-ბი.

„შასთამაზ (შაჰთამაზ) *)... ჰაიდარ-მირდას (მირზას)... ბატონობაჲ (ბატონობა) მოინდომეს. ჯარბაზმა (ჯარგაზმა)...** ოიმახი (ოიმატი) *** იყო... მიუკდეს (მოუხდენ), ჰაიდარ-მირდა (მირზა) ****)... ისმაილ-მირდას (მირზას)...***** და იმავე (ამავე) ქ-სა და იმავე (ამავე) *****) მაისსა და სხ.

ბატონებო, ეს ხუმრობაა, თუ რა არის? მარტო შვიდ სტრიქონში (სამი ისტ. ხრონიკის გვ. 87) ამდენი წარღვნაა. ვისთვის და რისთვის „უღლუწნია“ ჩვენს მოკამათეს: თავის თავის სასიამოვნოდ, ჩვენ-

*) ფრჩხილებში მოგვეყვან მოკამათეს დაბეჭდილი *იჟუმანიე*-ბი. ზევით ვნახეთ, რომ მოკამათეს „შათამაზის“ მაგიერ შეცთომით დაბეჭდა „შახთამაზ“ და ახლა შასთამაზისა და შაჰთამაზის განსხვავებას აღუნიშნავს სხვას.

**) ეს მოკამათეს მიერ ჯარგაზად გასწორებული სიტყვა დედანშიაც ჯარგაზად სწერია (იხ. გვ. 14)

***) აქ საჭირო იყო ბ. რედაქტორს აეხსნა, თუ რომელი ამათგან მართალია. მაგრამ ამისთანა ცნობებს ბ. მოკამათის წიგნებში ვერ ვპოუბთ. დედანშიაც ოიმახი-ა.

****) დედანში სწერია აიდარ-მირდა (გვ. 14).

*****) დედანშია ისმიელ-მირზას, (გვ. 14)

*****) დედანში აგრეთვე ორთავე შემთხვევაში სწერია „აპა-ვე“ (გვ. 14).

თვის თავბრუ დასასხმელად თავის მეცნიერებით, ტექსტის აღსადგენად, თუ მის დასაბნელებლად?

V

გრძელი წინასიტყვაობა.—„მხასვით შემოსილი“
ეკლესია და ენის ნიმუშები.—რეიზა-მიზაები.—ეს
დავითი „აქეს“ სახეში.—სუმბატის ისტორიას ბა-
დალი არა „ყავს“.—სხვა-და-სხვა წმ. ნინო.—და სხ.

ჩვენს მოკამათეს, ეტყობა, ისიც სწყენია, რომ მის წინასიტყვაობას „დაუსრულებელი“ ვუწოდეთ. განვმარტოთ ეს სიტყვა, თუ ტყუილია.

„სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ წინასიტყვაობაში სულ 208 რომაულ ნიშნებით აღნიშნული პაგინაციაა, ე. ი. გვერდი.

ამ უშველებელს სივრცეზე ან ახალი ტექსტი უკვე ცნობილთან შედარებულია პარალელური ადგილების ჩვენებით, ან განმარტებულია რომელიმე ძველი სიტყვა, ან გაუგებარი ადგილები ახსნილია, ან მოკლედ და, შედარებით უკვე ცნობილ ვარიანტებთან, მოთხრობილია მთელი შინაარსი ახლად აღმოჩენილი ქრონიკისა? თქვენ არ მომიკვდეთ. ყველა ამის მაგიერ ტექსტის აღმადგენელი ალგიწერთ „შატბერდის კრებულის“ წერილების დასაწყისსა და ბოლოს (ესა და ეს წერილი ასე იწყობა და ასე თავდება), ალგიწერთ იტრიის ეკლესიის სიგრძე-სიგანესიმაღლეს, მოგითხრობთ თავის „გასულ ზაფხულის“

მოგზაურობას სურამის არემარეში, და იქ მხასვით (?!) შემოსილ ტაძრის „ვერშოკით“ გაზომილ სიმაღლეს გიჩვენებთ, არ დაივიწყებს იმასაც, თუ ავალოვმა (გიორგი მეფის ელჩთაგანია, გარსევან ქავეჭავაძის ამხანაგი) როგორ იმოგზაურა იერუსალიმს, ამის შემდეგ გაიპობთ ომან მდივანბეგის მოთხრობას შესახებ ერეკლე მეფის ერევანზე გალაშქრებისა და დაგიტკიცებთ, რომ „ომანი ნამეტარს (!) აზვიადებს ფაქტებს“, შემდეგ დაწვრილებით აგიხსნით, თუ „ზასტავკებიან“ ხელნაწერებსა და ხატ-ჯვრებს რა გვარი წარწერები აქვთ, რამდენი ვერშოკ-სანტიმეტრისანი არიან, ყოველ პაგინაციაზე ხელნაწერისა რამდენი სტრიქონია დატეული, ტექსტი შავი მელნით არის დაწერილი, თუ წითელით, ლუკას სახარების დასაწყისსა და ბოლო „სტიხთაც“ არ დაივიწყებს, აგრეთვე მოგიყვანთ ანუკა ბატონიშვილის ქორწილის ამბავს ზედმიწევნით, მერმე აგიხსნით შატბერდის, პარხალის ღ ხანძოეთის ტაძრებს გ. ყაზბეგისა ღ დ. ბაქრაძეს წიგნებიდამ ღ წარმოგიდგენთ მთელ ტრაქტატსაც თვის მიერ უმართლოდ ამოწერილ ქრონიკისას კრ (5100) მაგიერად ქვ-სი (5500) ღ აქვე ცოტა არ იყოს გაჰკიცხავს ძველ მწერალს ამ გვარ შეუფერებელ ქორონიკონის ჩვენებისათვის, შემოგფიცავთ იმასაც, რომ მართლ წერა დედნისავე დაეცევით, რადგან „საქიროთ მიგვაჩითა (!) მისთვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილოლოგიური მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საყურადღებო წყაროსი“ (გვ. 85), და სიტყვებით: „და-

ამტკიცე“, „აღვადგინე თვით წაშლილი ადგილები“, „მე გავარჩიე“, „მე გამოვიცან“-ით გააქრელებს ალაგასა და ულაგოს... და ასრე და ამ სახით ხიფხივით მივიყვანთ წინასიტყვაობათა ბოლო 208 გვერდამდე.

ამდენ არეულ-დარეულ მასალაში შეიძლება ზოგირამ მაინც მართლა დაემტკიცებინოს, მაგრამ ეს დამტკიცებულები მრავალფეროვან, ერთმანერთის მიუდგომელ-მიუკარებელ საგანთა სიმძიმეს დაუჩრდილავს და დაუფარია. მეწინასიტყვავე ერთხელ მაინც არ დაფიქრდება და არ შეეკითხება თავის თავს: არა, შენ კარგო ჩემო თავო, ამდენსა რომ ვწერ, მერე რაო? ეს ჩემი მოგზაურობის ამბავი, ან ანუკა ბატონიშვილის გათხოვების ისტორია, ან ერეკლე მეფის გალაშქრების თბრობა, ან იტრიის ეკკლესიის აღწერა ლ სხ.— ყველა ეს შეიძლება მშვენიერი მასალა იყოს, მაგრამ მე IX-X საუკუნის ქრონიკას რომ არ ეკერებო? ეს ჩემი წიგნები პლიუშკინის სალარო ხომ არ არის, ამდენი ნაქრებითა ლ კარკატნებით რომ ვამსებო?

აი ამიტომაც, ამ ძნელად მოსანელებელ წინასიტყვაობას „დაუსრულებელი“ ვუწოდეთ.

ეს წინასიტყვაობა, სწორე გითხრათ, ჩვენ არ მოგვეწონა ენის მხრივაც.

მაგალითები:

ეკკლესია ოთხკუთხედია, სიგძე აქეს 27 ადლი, განი (განი თუ სიგანე) 19 ადლი და 6 ვერშოკი (თუ გოჯი?)... კედლები მხასვით (თუ ხავსით) ყოფილა შემოსილი (ლამაზადაც შეიმოსებოდა).

„მაშინ“ (თუ მაშინ). „კარნიზებსაც“ (ქართულად როგორღა). „გამეთთა“ (თუ გამეთდა). „კიდენებზე ვერცხლის არშია აქეს“ (ეს კიდუნებზე რა სიტყვაა). „მშვენიერ ნახელავ ზასტავკებს“ (ნახელავი და ზასტავკები); „ეს დავითი აქის სახეში ჩვენ სახარების წერილსაც, გვ. 54 (აქეს თუ ჰყავს). „მანდა მაინც“ (მაინც მანდა თუ აქა. მაინცა და მაინც, ასრე იხმარება ქართულად). „როგორ მოქცეულა ზემო ქალაში ეს სახარება“ (ალბად ჰკვიანად იქცეოდა). „მეტყებს შით“ გვ. 77 (არ გვესმის, გადმოთარგმნეთ ქართულად). „ნანდილ“ (ასრე იწერებოდა მეათე საუკუნეში და ეხლა სწერენ ნაშდჳილ). „მომხთარს“ (მომხდარს). „ალმოჩთეს“ (ალმოჩნდეს). „ამაგების ასაწერათ აეტარს უსარგებლებია იმ თქმულეზანით სხვა-და-სხვა ნინოს (ნინო ერთი ვიციით და არა სხვა-და-სხვა) თანამედროვე პირთა, რომელნიც“ (უსარგებლებია ფული, ჰკუა, ხოლო უსარგებლნია წიგნით, ჰკუით, თქმულეზანით). „სუმბატის ისტორიას ბადალი არა უაქის ძველ ხრონიკებში“ გვ. 109 (ქართულად ამ გვარ შემთხვევაში იტყვიან აქის. ხოლო ყავს, რომელიც ცოტა ნაკლებ ყვაესა-ა ჰგავს, სხვა ადგილას ითქმის „ჰყავს“-ად). „შთამომავლობიზა დაუკავშირებია“ გვ. 109. (ეს ბიზა თუ ზა რა არის? გადმოთარგმნეთ ქართულად). „რეთიც უფრო (ქართულად სთქვით). „თავდაპირველი ტექსტიზა“ (გვ. 112). „ცხოვრებიზა მიუმატებია“ (გვ. 113). „ბოდიშს ვიხთით“ (ვიხდით). „ალმოჩთა“ (ალმოჩნდა).

„ყველა ნინოს ცხოვრებაში“ (ნინოს ყველა ცხოვრებაში).

ესეც გვეყოფა ხილად. ყველა მხასკებს, სამქადაგებებს და რეიზა-მიზებს ქვემოთ ჩამოვსთვლით. ხოლო აქ შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი სიტყვები კორექტურული შეცდომა არ არის, რადგან უმეტესი მათგან ყოველგან ისრე იხმარება მოკამათესაგან, როგორც აქ აღნიშნულია.

VI

ცუდი მდევანი და კარგი საქმე.—მკითხველ ო, არ აურიო დიდის ლუწლით დამიწყვიეს.—მაგალითები, რომ აზრითაც-კი შიძლებოდა ტექსტის ზოგიერთი ადგილების აღდგენა.—არც ამერიკა და არც ოზურგეთი.—აღიღო გრდემლი კელსა თვსსა და შემუსრნა სამნი ფიქალნი, სამად შეკრულნი.—ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს.—თავის როლიდამ გამოსლვა და ბაგრატიონის როლში ჩადგომა.—

Mania grandiosissima.

აქ უკანასკნელი წერტილი უნდა დაგვესვა და თავისუფლად ამოგვესუნთქა ამდენ ვაი-ვაგლახის შემდეგ. მაგრამ ერთმა გარემოებამ კიდევ ხელი შეგვიშალა.

მოკამათე მიბრძანებს, რომ როგორ გაბედო და წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა დაიწუნეო. ამით ხომ ამ საზოგადოებას დიდი ზარალი მოუვაო,

რადგან ჩემის რედაქტორობით ნაღვაწი და მის მიერ გამოცემული წიგნები აღარ გაიყიდებაო და მით ზარალი მოუვა ამ საზოგადოებასაო. საცა შენი მოვალეობა იყო, რომ გეზრუნა ამ საზოგადოების სახსართა გაძრიელებისათვის, იქ შენვე ხელს უცარავო. ამის მორაღი ანუ ზნეობრივი მხარე: მაშასადამე, ჯანაშვილი მავნებელი მდივანია წერა-კითხვის საზოგადოებისა და განშორებულ უნდა იქმნას, რაც შეიძლება მალე.

თქვენ უთქმელადაც, ბატონო, იმ საღმთო მოვალეობას, რომელსაც ჰქვიან მდივნობა წერა-კითხვის საზოგადოებისა, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, მე ბოდინის მოხდით (თუ, რასაკვირველია, ბოდინის მოხდა საჭირო იქნება) თავი უნდა დავანებო მალე დროში. როგორც ამ ექვსს თთვეში დავრწმუნდი, ჩემი ძალ-ღონე ძრიელ მცირე ყოფილა ამ საქმის გასაძლოლად.

რაც შეეხება იმ მხარეს კითხვისას, რომ წიგნების დაწუნებით წერა-კითხვას შეუმცირდება შემოსავალიო, ეს-კი მეტის მეტია. წერა-კითხვის საზოგადოების სახელს მე გარყენილად და არეულ-დარეულად გამოცემულ წიგნებს ვერ შევეუკავშირებ. თუ იტყვიო, სწორედ ჩემი მოვალეობა იყო, როგორც ამ საზოგადოების მდივნისა, დროზედ მეთქვა ის, რის დაგვიანებასაც შეეძლო ერთ წუთსა და ერთ მეყს მაინც მცირეოდენი უსიამოვნება დაებადა ამ საზოგადოების თავმდგომთა შორის. წერა-კით

ხვას იმიტომ „წერა-კითხვა“ ჰქვია, რომ მხოლოდ წერა-კითხვა გაავრცელოს საქართველოში და არა „მხასვით შემოსილი“ წაგნები. ესაო და წერა-კითხვა ორ კაპიკსა, თუ ორ მანათს იზარალებსო, როგორ ვსთქვა, რომ შავი თეთრიაო, უმეტრული მეცნიერულიაო, დაუდევრობა გულდადებააო, ყორანი ბუღბულიაო. რაგინდ დიდად ვაფასებდე ვისმე, რაგინდ დიდი პატივი მქონდეს წერა-კითხვის საზოგადოებისა, მაინც ქეშმარიტებას მევერ დავხლანქავ. გრეხნი და გრაგნილნი ყოველ შემთხვევასა და გარემოებაში ლარად და ლიანდაგად ვერ მეჩვენება. გრეხთა და გრაგნილთ ერთ წამსაც ვერ მივმართავ, რომ გაქირებიდამ გამოვიდე. ცუდად აღსრულებული საქმის სახელი მუდამ ცუდია. ცუდს საქმეს კარგი არ ეთქმის. ცუდი ბევრიც რომ ავრცელო, ისევ ბევრ ცუდს გაავრცელებ. ცუდის გავრცელებით აღებული სასყიდელი, ისევ ცუდია. ცუდის გასწორება ჩვენ ვალად ვიდეთ. გვეუბნებიან, ეგ აზარალებს ამა-და-ამ საზოგადოებასაო. შეიძლება აზარალოს ერთს, ხოლო ასარგებლებს ათასს. ეს რატომ არ გესმისთ. ისინი, როემლთაც აქვთ თქვენნი წიგნები, ახლა მაინც მოციქულების მაგიერ მეტოქელებს არ წაიკითხავენ, ან სიმალლის მაგიერ სამოთხეს, ან პირველის მაგიერ პირიკვას, ან იძულების მაგიერ უძლურებას, დებულის მაგიერ დიდებულს, 5500 მაგიერ 5100. რომელი ჩამოგითვალოთ. ამას გარდა, არც იმ საზოგადოებას, რომელსაც უთითებთ, მოუფა ზარა-

ლი, რადგან გარყვნილი წიგნების მაგიერ გასწორებულიები გაეყიდება და, მაშასადამე, როგორც მისი წესდება მოითხოვს, მარტო ქეშმარიტი ცნობები გავრცელდება მისის წმინდა სახელით. ეს სიწმინდავე ხომ მისი საღმთო მოვალეობაა.

დღეს რომ საზოგადოების სარგებლობისათვის თავს იდებთ, მაშ სად იყავით მაშინ, როდესაც „სამი ისტორიული ხრონიკის“ უდას აწერდით: „გადაბეჭდვა და გადათარგმნა აკრძალულია“. რომელი კანონის ძალით აღკრძალულია? ვინ მოგცათ ნება მე IX-X საუკუნის ძეგლის აღკრძალვისა! იოანე ბერაჟს მარტო თქვენთვის ხომ არ უშრომნია, რომ ჰირსკლასი მაგიერ ჰაინიჯა თუ ტირაცუა დასწეროთ და მერე ბრძანოთ „აღკრძალულია“. ტირაცუა თუ პირიცუა დავწერე და არა გქონდეთ ნება „პირველი“ წაიკითხოთო. მრავალი სტრიქონები გამოვტოვე და არამცა და არამც ეს გამოტოვებულები აღარ ჩაუმატოთ ჩემ აღდგენილ წიგნებშიო. აღკრძალვა ძრიელ ჰყვარებია ჩვენს მოკამათეს. წერა-კითხვის ბიბლიოტეკაში ერთი წიგნია (№ 427), რომლის სათაურს აწერია მოკამათეს ხელითა და ხელმოწერით: „მკითხველო, არ აურიო, დიდის ღვაწლით დამიწყვიცეს (სახელი და გვარი)“. რა უღვაწნია? მდიენის მთვარელიშვილის ხელით მოწერილი „ისტორიული წერილები“-სთვის ციფირებით პაგინაციები აღუნიშნავს! მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ მოკამათეს აღუკრძალავს მანც კრონიკების გამოცემა. ამისთვის, პირიქით, მადლო-

ბელნიც უნდა ვიყვნეთ, რადგან უამისოდ ვაჲ თუ მოკამათეს ხვეწნა „მკითხველნო, ნუ აურევთ, დიდის ღვაწლით დამიწყვიესო“ არ შაგვესმინა, აგველო კალამი და სიტყვა სიტყვით გადაგეთარგმნა მოკამათეს ნაღვაწი ღ ალდგენილი ტექსტი. ან იქნება ჩვენს რომელიმე პროფესორს ან მსწავლულს, მაგ. მორფილს, რომელსაც მოკამათემ დიდის ზეიმით წარუგზავნა თვისი ნაღვაწი ღ დაწყობილი, ან სხვას ვისმე, სიტყვა სიტყვით გადაელო უცხო ენაზე ღ ამ გაღაღებულში, მაგალითებრ, შემდეგი ფრაზებიც მოექცია:

- 1) ვითარ ჰინდოვის თუ
- 2) ესე შვიშუნეს
- 3) გარდავიდეს ქრისტეს მოსლვადმდე წელნი
კრ (5100)
- 4) ხუარასნეული იყო, სულითა უკეთურითა
- 5) იყო სრბად
- 6) შეეკმენით ჩვენ ჯვარი მღღელთა მათ
- 7) ვითარცა იგი მეტოქელთა (მტქლთა) წმინდათა უფლისა თანა ისაღილეს კიდესა ტბისა მის ტიბერიისასა
- 8) წმ. ნინოჲ პირიცვა
- 9) ფსალმუნნი რომელნი დაწერნა კალამმან ღვთისამან, და სულისა მიერ წმიდისა
- 10) ტანსა ეცუა ჯაჰკ ოქროჲსა
- 11) დაბარდნა
და სხ.

გაღამთარგმნელი ბოლოს რამ მივიღოდა, უნე-

ბლიედ დაეკითხებოდა თავის თავს: რა ღირსებისაა ეს მასალა? და პასუხს თვითონვე იტყოდა: ხშირად უმეცრულიაო.

აბა რაღა ჩიჩინი უნდაო, რომ „ჰინდოვის“-ი უმეცრისაგან გარყვნილი სიტყვააო. ქართლის ცხოვრებასა და სხვა ვარიანტებში ამ სიტყვის მაგიერ სწერია „უცხო“, მაშასადამეო, რაგინდარა კაციც კი მიხვდებოდა, რომ მეათე საუკუნის მწერალს ამ ჰინდოვისით ალბად ეს უცხოობა უნდოდა აღენიშნა წმ. ნინოსიო და ალბად აქ ჰინდოვისის მაგიერ დედანში ეწერა „ჰინდოეთს თუ“-ო (მართლა დედანში ასეა).

ან ეს შეიშენეს, რა არისო? აქ ქართლის ცხოვრებაში შეიშურვეს სწერიაო და ამიტომაც შეიშურვესი შეიშუნესად გაურყვნია ვიღაც ბერაჟსაო. (ძველი ღროის ბერაისაც შეიშურვეს-ი აქვს).

ან საიდან გადმოწერა ბერაჟმა დასაბამიდგან ქრისტეს მოსლვადმდე წელნი ჰრ? ალბად რ-ს მაგიერ იყო ფ-ო და ბერაჟმა თვისის ბერობის გამო ეს ვერ გაარჩია და რ-დ გამოიყვანაო. *)

ან ეს „ხვარასნეული იყო, სულითა უკეთური-თა“ რა არისო? საბინინს დაუბეჭდია „ხუარაჟ სნეუ-

*) ეხლა-კი მესმის, თუ არისტო ქუთათელაძე, ამ სამი-ოდე თთვის წინად, რად ემღუროდა ბერაის და რად ბრძანებდა, რომ ახალ ნაპოვნ ქრონიკაში ქორონიკონები მსოფლიოდ ცნობილ ქორონიკონებს არ ეთანხმებო.

ლიყო სულითა უკეთურითა“ და ეს მართალიუნდა იყოსო.

ან „იყო სრბად“ ვისი გასაგები წინადადებააო.
„იწყო სრბად“ თუ იყო დედანშიო.

ან საღ და რომელ სახარებაში ამოიკითხა ბერაჲმა, რომ მეტოქელთა (მტკლთა) ქრისტესთან ისა-დილესო. ჩვენ მოციქულებისა და ქრისტეს სადილობა ერთად „კიდესა ტბისა მის ტიბერიასასა“ ვიცით და მეტოქელებისა-კი არსად შეგვხვედრიაო. აქაც, რადგან ხუცური ტ და ც ჰგვანან ერთმანერთს, ამიტომ, ალბად, ბერაჲმა ვერ გაარჩია ეს ასოები და მოციქულების მაგიერ მეტოქელები გამოატყვერინაო.

ეს საწესგებებასა რომელ ქართულ ლექსიკონში სწერიაო. დავითის ფსალმუნებს აწერია საწინებელთასა და დედანშიაც ასრე იქნებაო. ამას ყოველი კაცი, თუნდაც დედანში სიტყვა ცოტათი წაბლალული ყოფილიყო, მაინც მიხვდებოდაო.

ან ტანს ჯაჭვი როგორ ეცმევა კაცსაო, აქაღბად სხვა სიტყვა ეწერებოდაო. ნეტავი თუ ჯაჭვის მაგიერ ქაჭვ წერებულიყოო, რადგან ქაჭვი შეიძლება კაცს ეცვასო და ჯაჭვი-კი ზედ ეკიდოსო. *)

ან ეს კარგისეა ნეტავი რომელი ეპისკოპოსი

*) მართლაც ბერაჲ ქაჭვისა სწერს. ეს სიტყვა დღესაც იხმარება საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში და აღნიშნავს ჩაჩს, პერანვის მსგავს ჩასაცმელს. ქართლის ცხოვრებაში სწერია ჯაჭვი და ჩვენს აღმადგენელსაც იქილგან პირდაპირ გადმოუწერია უმეტესაკლოდ.

იყო. ერთშეთი დიად განთქმული ადგილი იყო საქართველოში და დღესაც ეს ერთშეთი მესხეთში ბალღმაც-კი იცისო. აქაც ალბად გადამწერს ასოები უ და ბ შეურევენია და ერთშელი ერუბნელად გამოუყვანიაო.

ან ღაბაზღნა რა არისო? დაბარღნას თოვლის შესახებ იტყვიან და დაიბლარღნას ტანისამოსის ჩამოცმასა და მასში შეხვევასაო.

ან ზეს როგორი აზრია ,,ფსალმუნნი დასწერნა კალამმან ლუთისამან, ზეს სულისა მიერ წმიდისა“... აქ მძიზე ნეტავი რად დაუსვია ბერაჲს? ეს წინადადება როგორღაც ღვთის-მეტყველების სახელმძღვანელოს, თითქმის ყოველ გვერდზე, მოხსენებულ წინადადებასა ჰგავს. ამ წინადადებაში მეფე დავითი, ფსალმუნთა მწერალი, იხსენიება კალამად ლუთისად, სულისა მიერ წმიდისა მწერლად. იქნება ეს ბერაჲმა არ იცოდა, იუცხოვა და იფიქრა: ამოტელა კალამი როგორ იქმნებაო! დავითის სისქე-სიმაღლე კალამი ვის გაუგონიაო! არა, ბერაჲს, იმისთანა განათლებულ მწერალს, ამას ვერ შევწამებთო. აქ ალბად საწყალ ბერაჲს, სიბერის გამო, ასოები შეეშალა და ქარაგმის ღთ-ს მაგიერ დასწერა კავშირი ,,და“ და ამის გამო წინადადება: ,,დასწერნა კალამმან ლუთისამან დავით სულის მიერ წმიდისა“, მთლათ აირია და ისეთი სახე მიიღო, რომ სრულიად გაირყვნაო.

დიად, ვისაც სუნიც-კი მისღენია ღვთის-მეტყველებისა და საეკლესიო ისტორიისა, იგი ამისთანა-

ნა სიტყვებს, თუნდაც ვსთქვათ, ცოტათი წაბლალუ-
ლიყო, მარტო აზრობა ალაღგენდა. მაგრამ ეს სიტ-
ყვები ხომ, როგორც უკვე შევნიშნე, ასოების თა-
ვისა, წელისა და ფეხის მოუტეხელად სწერია დე-
დანში, ცხადად და ნათლად. აქ იმდენად აზრი არ
იყო საკირო მართლ-წერის დასაცავად, რამდენა-
დაც თვალები და გულმოდგინება.

საწყალი ბერაჲ! რა იცოდა, რომ სხვის მიზე-
ზით ამდენს უსაყვედურებდნენ და ასეთ ცეცხლში
ჩაწვდებოდა. საცოდავი ვერც მისმა ვედრებამ დაი-
ფარა საყვედურისაგან. „გვედრები ყოველთა, ვინცა
იმსახურებდეთ წმინდასა ამას წიგნსა, რომელი დავ-
წერე და ამისთვის არა დავფარე სწრაფაჲ სულისა ჩე-
მისაჲ მიზეზითა ნაკლულევანებისაჲთა და შეუდეგ
კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარ-
ჩვევისი ყოველთა მეწესეთაჲ, შემინდოთ, თუ რაჲმე
დამეკლოს, ან უსწოროდ დამეწეროს“. წმინდა ბერი,
თუ სცოდნოდა, რომ მის სათაყვანებელ მოციქუ-
ლებს მეტოქელებად, წინასწარმეტყველ დავითს ღ-დ,
სიმაღლეს სამოთხედ გაურყვნიდნენ, აგრეთვე სხვა სი-
ტყვებს შესცვლიდნენ, ან მთელს პერიოდებს გამოა-
კლებდნენ მის დაწერილს, — კალამსაც-კი ხელში არ
აიღებდა, რომ ცოდვის მიზეზად არ გამხდარიყო.
საფლავში ბერაჲს ძვალნიც-კი, თუ მათი ნატამალი
აქამომდე დაშთენილა, ალბად ირყევიან და ღმერთს
შეჰლაღადებენ ამ ბაბილონისებურ ენათა შერევნით
დამძიმებისაგამო.

კიდევ ვიკითხოთ, სადღაა საფილოლოგია, თუ სალინგვისტო მიზნით დედნის მართლ-წერის სასტიკად და უსასტიკესად აღსრულებული „წაშლილიც-კი აღვადგინე არა თუ წაუშლელიო“?

წაბლალული და წაშლილი რა თქმაა, როგორც ზევით დავინახეთ და ქვემოთც ვიხილავთ, წაუშლელი-წაუბლალავებიც მრავალი-აღმოჩნდა გარყვნილი და დამახინჯებული ან სრულიად გამოტოვებული; და კვლავ რაოდენი არ მოვიხსენიეთ ამ წერილში, ეგეთნი „არიან სხუანიცა მრავალ, რომელი ჰქმნა მოკამათებან, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვგონებ, ვითარცა უსტარმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები“.

დასკვნა. აქ საჭირო იყო კვლავ თვალი გადაგვევლო ყველა ზემოთე თქმულისათვის, მაგრამ საგანი ნათლად გამოირკვა. თქმულიც საკმაოა იმ აზრის მისახვედრად, რომ ძვირფასი ძეგლი მე IX-X საუკუნისა არა თუ ძვირფასად აღუბეჭდიათ, არამედ ხაზვის ნაფტკვენის საღირალად გაუხდიათ. და ამის ოსტატი,-ერთი დამავალეთ და ხელახლა წაიკითხეთ მისი წერილი ივერიაში (№ 139)-როგორის გამბედაობითა, რიხითა ზე რისხვით იწერება ამ წერილს! როგორის ორმუზდისა გინა ბოლდინხანისებურ სიმალლით გადმოიხედება სამყაროსკენ ზე აქ არც-კი ნებულობს, რომ თვალი მაინც მოჰკრას და სადმე კუნძულში შეამჩნიოს ჩვენისთანა ჭია-ლუა! როგორ ეკა-

დრება იმისთანა კაცის დანახვა, რომელიც, თურმე, ქინძის თავის ოდენა საგნებს იალბუზის ტოლად აზვიადებს! აი მაგალითებრო, იმ თვალუწედენელ სიმალლიდგან იგი გასძახის თავის მკითხველებს (იხ. ივერია № 139), ამ წინაზედ ვილამაც „წერა-კითხ. საზოგადოებას“ წარმოუდგინა საფლავიდგან ამოღებული ნაგლეჯი ვახტანგის მიერ დაბეჭდილის წიგნისა და ერთს ფურცელზე ვახტანგის სურათი იყო გამოხატული. ჯანაშვილმა აღწერა ეს სურათი ივერიაში და ისეთ აღმოჩენად ჩასთვალა, რომ გვეგონებოდაო, ამერიკა ახლად აღმოუჩენიათო, მაშინ როდესაც არა თუ ასეთს ნაგლეჯებს, არამედ მთელს წიგნებსაც ვახტანგის სურათით არა ერთობით და არა ათობით მოულწევია ჩვენამდეო“. წყალ წაღებული, ხვესს ექიდებოდაო, სწორედ ასრე მოსდის ჩვენს, ზე-ჰაერთა შინა გამეფებულს, ხელმწიფეს. ივერიის იმ №-ში (106), რომლის შესახებ გვიკვირებს მოკამათე, საფლავში ნაპოვნ ქალღვრების შესახებ დავბეჭდეთ: „სულ 6 ფურცელია, მათ შორის ორი ვახტანგ მე VI-ს მიერ დაბეჭდილი სახარებისა და 4 ჯამნ-ტიბიკონებისა (ხელნაწერი). მათ შორის უფრო საყურადღებოა ორი პირველი ფურცელი. ერთზედ ჰხატია მეფე (შემდეგ მოგვყავს აღწერა ამ მეფის სურათისა და ასო მთავრულით დაწერილ წარწერის შინაარსი) და მეორე გვერდზედ ვკითხულობთ: დაიბეჭდა ქტფილისისასა: ხელითა მესტამბე სტეფანეშვილსა ონგროვლახელისა. ქ-ნსა ქეს აქეთ 1710“. ეს არის და

ეს ჩვენი ნათქვამი. არც მეტი და არც ნაკლები. აბა აქ სად არის ან ამერიკა, ან ოზურგეთი! სიმართლე ძალიან სძულდება მოკამათეს.

მაგრამ ეს რაა! ჩვენი ხელმწიფე იმასაც-კი ველარა ჰხედავს, რაც მას თავისივე პირით წარუწერია შესანიშნავს სამს ფიქალზედ (№ 17, № 18 და № 19).

ფიქალი № 17: აზრი გამგეობის წევრის (სახელი და გვარი), რომ გამგეობამ გადასდოს თვეში 15 მანათი მწერლისათვის, რომელიც საჭიროა სამეცნიერო კატალოგის გადასაწერად.

ფიქალი № 18: აზრი გამგეობის წევრის (სახელი და გვარი), რომ გამგეობამ მისცეს მას მწერალი სამეცნიერო კატალოგის შესადგენად.

ფიქალი № 19: (აწერია იგივე, რაც № 18-ს).

ეს „სამი ფიქალი, სამად შეკრული, ვერც მეფე გახსნის ვერც მისი ჯარი“ ჩვენს მოკამათეს მძლავრად გაუხსნია და შეუმუსრავს სრულიად. ივერიის № 134-ში ამათ შესახებ იგი სწერს: „კატალოგს, რომლის შედგენა მე მომანდეს, სამეცნიერო უწოდეს. ჩვენში კარგა მოგეხსენებათ, სახელი დიდი კიდეით“. (№ 134).

აკი მოგახსენეთ, თავისივე წარწერასაც ველარა ჰხედავსო. თუ მართო სხვებმა „უწოდეს სამეცნიერო“ და ამ სხვებმა გაზვიადებული სახელი დასდეს ამ შესანიშნავს კატალოგს, მაშ რატომ ხსენებულს ქვებზედ ეს ვილაც სხვები არ იხსენიებიან და

იგინი არ ითხოვენ, რომ მიეცეთ მათ მწერალი, ე. ი. **писець**-ი სამეცნიერო კატალოგის შესადგენად?

განა თუ ამაზედ უთქვამთ: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო“. გაზვიადებაც, თუ გნებავთ, ეს არის, რომ გუშინდელი ვალლაჰი-ბილაით გამეცნიერებული კატალოგი, დღეს უხარისხო კატალოგად დასახო და შენ ხელთ მყოფი საქმე და შენ მიერ მისთვის მინიჭებული ხარისხი, როცა საჭირო იქნება, ახლა „სხვებს“ მიანიჭებინო და თანაც ბრალი დასდო ამ სხვებს და უკიყინო, „სახელი დიდი იციან და აზვიადებენო“.

ჩვენი შურიანობის დასამტკიცებელ ერთ უმთავრეს წვლილად მოკამათე აი ამ სამეცნიერო, უკაცრავედ, სხვების მიერ გამეცნიერებულ, კატალოგს ასახელებს. ჯანაშვილს „არც ის ეპიტნავა, რომ გამგეობამ მე მომანდო კატალოგის შედგენა“ (ივერია № 138). ამის მთქმელი იმას-კი აღარ ფიქრობს, რომ ჯანაშვილს როგორ ეპიტნავებოდა ანუ არ ეპიტნავებოდა, როდესაც იგი ჯერ არც-კი იყო ამორჩეული მდივანდ და ზემორე აღნიშნული ქვების წარწერანი-კი უკვე ღრმად ამოჭრილი იყო!

ღმერთთა მოწამე, მე არავისი შური არასდროს არა მქონია. არასდროს არ მიფიქრია, რატომ მე არ მანდობენ არა თუ ხარისხიან, არამედ უხარისხო კატალოგის შედგენასაო. გულ-წრფელად ვამბობ, რომ თუნდაც გამგეობას ჩვენთვის მოენდო ეს საქმე, მაინც ვერ გავებედავდით და ხელს ვერ მოვკიდებდით სამე-

ცნიერო კატალოგის შედგენას. ამ გვარი კატალოგი მეცნიერმა უნდა შეადგინოს და ჩვენ-კი აბა რა მეცნიერი ვართ. წიგნების კითხვა ჯერ კიდევ მეცნიერებას არ ნიშნავს. აი ამიტომაც არას ღროს არავისთან ერთი სიტყვა არ წამომცდენია, რომ მე ან ისტორია, ან არქეოლოგია ან სხვა რომელიმე დარგი მეცნიერებისა ვიციო. სხვა იმის მეტი დანაშაული არ ჩამიდენია, რომ გაზ. ივერიაში ხშირად ვაბეჭდინებ ჩემ ნაჯღაბნ-ნაცოდ-ილარს, რომელსაც, როგორც მესმის, თურმე საქართველოში ჰკითხულობენ (ამასაც აკაკისა, გ. წერეთლისა, სამს. ყიფიანისა, ნ. მთვარელიშვილისა, განსვენებულ ვახტანგ ორბელიანისა და სხ. სიტყვას მოგახსენებთ). ზე-ჰაერთა მცხოვრებნი დანაშაულად მითვლიან და ზრალად მდებენ: „ჯანაშვილის სტატიებს ხომ რიცხვი აღარა აქვს. კვირა არ გაივლის ისე, რომ მისი სტატია არ იყოს გაზეთშიო“ (ივერია № 138). და არც ჩვენი ნაწერი მოსწონთ იქაურსავე მცხოვრებთ: „თუმცა ამდენსა სწერს, მაინც ჯანაშვილს ისეთი მკვიდრი ჯადოს წრე ატყიაო, რომ ეს კაცი ჯანაშვილის როლიდამ ვერ გამოსულაო“ (ივერია № 138).

აი კიდევ ამ როლში ჰმარხია ის ქია დიადის სურვილისა, რომელიც ჩვენს მოკამათეს დღე-ღამ მოსვენებას არ აძლევს. მაშ, შე კაიკაცო, ჯანაშვილი მელიქიშვილისა ან ყაფლანიშვილის როლში ხომ არ ჩადგება. ჯანაშვილი მხოლოდ იმას დასწერს, რაც იცის და ეყურება თავისებურად. ან იმას გაასწორებს,

რაც საოსრუად უბეჭდიათ და დედანში საოცარი კია. მხოლოდ ამგვარ სანუგებრო ნაბეჭდის გემოს გასაღებლადაც ჯანაშვილმა ითხოვა „უკეთუ შესაძლებელ არს, მე დამნიშნეთ მდივნადაო“. გვსურდა ჩაგვეხედნა დედანში, მართლა ჰირიცკა ეწერა, თუ ტირაცყუა, კრუხნელი, თუ კრუშნელი, სხსა, თუ სცხა, დაჯითი, თუ და, ჟამის თუ ჟამის. დღეს ამითაც კმაყოფილია ჯანაშვილი. შემდეგ რა იქნება, ან ხვალინდელი დღე რას მოიტანს, ეს ღმერთმა უწყის. ვამბობ, ჯანაშვილის ჯანაშვილობით დღეს ჩვენ ფრიად კმაყოფილი ვართ. და თქვენთვის-კი დამილოცნია ყაფლანაშვილობა ანუ დაჯანაშვილობა და მის მერმეთ ბაგრატიონობა. მე ხომ არა, თქვენ, ალაგასა და ულაგოს, გაკერიათ პირზედ: როლიდგან გამოსვლა, მეცნიერული კატალოგი, აღკაგისე, დაჯამტკიცე, კიდუაწე, დიდის დაწლით დამიწყვიეს და სხ.-და-სხ. ღმერთმაც ხელი მოგიმართოთ. კარგა მოგახმარებინოთ თქვენი „ლუაწლები“ და თქვენი მომზენობა. იარეთ მალლა-მალლა, ზე-ჰაერთა შინა, და ეცადეთ კია, რომ სადმე სრკულესისებურ სვეტებს არ შეეფეთოთ და ისევ სამყაროსკენ პირი არ იბრუნოთ. მანდ, ზე-ჰაერთაშინა, კარგია, მანდ ია და ნარგიზია. ოლიმპზედ ღმერთნი ღმერთობენ და სურნელოვან ამბროზით და ნექტარით იკვებებიან. მოგვთას მოგვნი მოგვობენ. მოგვთა რად შეედრება მა-

ღალს ოლიმპს. ჩვენ ეს მოგვთაც გვეყოფა. თქვენ ოლიმპს (ულუმბო), გეფიცებით, არ შევიშურებთ და არც აპალონის მეცნიერებას. ორმუზდი, აპალონი, მომზენი, ღუაწლები, მეცნიერება; მეცნიერება, ღუაწლები, მომზენი, აპალონი და ორმუზდი! ოჰი, *mania grandiosa*! ოჰი, დიადის წყურვილო!

აღდგენილის აღდგენა

კარი მეორე.

VII

აღდგენილის აღდგენა ანუ რიგსა და წესზედ დაწყობილი სრული სრული შეცდომათა და გამოტოვებულ სიტყვა-ფრაზათა.—შენიშნვა.—მაგალითები, რომ შატბერდის კრებულის მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ხელ-ახლა დაბეჭდვა საჭიროა აუცილებლად.—მცირე დასკვნა.

ა) მოქცევაჲ ქართლისაჲ

- | | |
|------------------------------|------------------------|
| 1) იკილნა (დაბეჭდილის გვ. 1) | ისილნა დედნის (ტ. 493) |
| 2) ოძრახისა (2) | ომრაჲისა |
| 3) უკვირდა | უკურდა |
| 4) უფლისაგან (3) | ოფლისაგან |
| 5) ქეყანა | ქეჲანაჲ |
| 6) რუისაჲთა | რუჲსაჲთა |
| 7) მეფობდ ლადამი (10) | მეფობდა... |
| 8) მირვანისი (11) | მირვანისი (435) |
| 9) აღმაღლებიღვან (12) | აღმაღლებითგან |
| 10) ბრძოლისა | ბრძოლისაჲ |
| 11) აქეს (13) | აქუს (436) |

- | | |
|------------------------|--|
| 12) მწრათლ აღაშენა ეკ- | მწაიფელ აღაშენა ეკლესიაჲ |
| ლესიაჲ ქუემო სა- | ქუემო სამოთესესა შინა და |
| მოთხესა შინა, რო- | სიუეტი იგი იყო ძე- |
| მელი თვთ აღემარ- | ღისაჲ, რომელი თხო- |
| თა (16) | აღემართა (436) |
| 13) მღვდელთა | მღვდელთა |
| 14) იოანე | იოჰანე |
| 15) ცხოვრებისაჲ | ცხოვრებისაჲ |
| 16) სახლან | სახლმან |
| 17) და ხსნაჲ (17) | დაკსნაჲ (438) |
| 18) იესჲ (იჲ) | იესო (იჲ) |
| 19) მალალოთაჲ | მალალოთათ |
| 20) სჯულისამან (18) | სჯულისამან |
| 21) წყალისა | წყლისა |
| 22) ზეგარდამო | ზეგარდამო |
| 23) მოსული | მოსული |
| 24) შიშით (19) | შიშითა (439) |
| 25) 0 (გვ. 19) | და სინო შთავიდა კხოესა
და დადგა კაწარეთს: და მო-
ნათლნა კხოულნი და სოჰსი
კაითუაით მათით: და გარდა-
ვიდა კასეთა: დადგა ქცელ და-
ზას: და მოჰყუნსა კაცნი მთა-
კარნი: და მონათლნა: |

შენიშ. ეს სტრიქონები ჩაემატოს „სამი ისტ. კრონიკის“
მე 19 გვერდის „ტრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“-ს
შემდეგ.

26) კტოეთა (19)	კ ტ ო ე თ ა ს
27) ეპისკოპოზი	ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი
28) კუბოა (22)	კ უ ბ ა ა (440)
29) კილართ (94)	კ ი ღ ა რ დ (441)
30) დამოთაულეს (25)	დ ა მ ო თ ა უ ლ ე ს
31) ძე	ძ ე
32) ამიერ (26)	ა მ ი ე რ
33) ქვემო (27)	ქ ვ ე მ ო (442)
34) მიიცვალა	მ ი ი ც ვ ა ლ ა
35) სვეტი	ს ვ ე ტ ი
36) მერმე (28)	მ ე რ მ ე
37) ერისთავადცა	ე რ ი ს თ ა ვ ა დ ც ა
38) მიაშხვა (29)	მ ი ა შ ხ ვ ა
39) იქაფთვან (31)	ი ქ ა ფ თ ვ ა ნ (443)
40) ეფთათს (32)	ე ე ლ ა ლ ს
41) შუა	შ უ ვ ა
42) ამის (33)	ა მ ი ს (444)
43) ერისთავობდა (35)	ე რ ი ს თ ა ვ ო ბ დ ა
44) უხმო	უ ხ მ ო
45) წავიდა	წ ა ვ ი დ ა (445)
46) მეშვიდესა	მ ე შ ვ ი დ ე ს ა
47) ეკლესიასა (36)	ე კ ლ ე ს ი ა თ ა
48) ნერსე ი (37)	ნ ე რ ს ე (446)
49) რომელნი (38)	რ ო მ ე ლ ნ ი
50) ევონისთვან	ე ვ ო ნ ი ს თ ვ ა ნ
51) დედოფალმან (გვ. 1)	დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ (447)
52) გვექმნა	გ ვ ე ქ მ ნ ა

53) მისი	მისა
54) რომელთაცა	რომელითაცა
55) სარწმუნოებით(გვ.2)	სარწმუნოებით
56) ქუცყანასასა	ჭუჭყანასა (448)
57) მხსნელო	მესნელო
58) გვისწავიეს	გვსწავიეს
59) მისა	მისა
60) ჰინდოვის	ჰინდოეთს
61) სიყვარულსა (3)	სიყვარულსა
62) კორკსა	კორკად
63) აქ	აქა
64) უფალმან	ოფალმან
65) თვალთა	თვალთა
66) მოიხუნეს	მოხლოიხუნეს (449)
67) ცხოვრება წმ. ნინოსი (4)	ცხოვრება წმ. ნინოსისი
68) მიღებად	მოღებად
69) ჰაბუკი	ჰაბუკი იგი
70) პიხალანისასა	პიტალანისასა
71) თქუწნისა (5)	თქუწნისასა (450).
72) მისცეს	მოსცეს
73) ბაბილონისასა	ბაბილონისასა
74) სამკუდრო	სამკუდრო
75) სიკუდილისა	სიკუდილისა
76) მყვანა	მყენა
77) ქრისტს	ქრისტსს
78) უკუნიითი უკუნისამდე	ოკ. ოკ.

79) პატრეარქსა (6)	პატრეარქსა (451)
80) მიკელა	მიკელა
81) აღმართნეს (7)	აღმართნეს
82) და (4)	და.ფ. (452)
83) სიტყვაჲ	სიტყვაჲ
84) ქალაქსა	ქალაქად
85) დამლუარნა	დამალუარნა
86) მოგითვალავ	მიგითვალავ
87) ესრეთ (9)	ესრეთ (453)
88) ეგრეთ	ეგრეთ
89) ემსახურებდ	ემსახურებდ
90) ვკითხვევდი	ვკითხვედი
91) შჯულისა	შჯულისა
92) ყოველთ	ყოველთ
93) მას	მას
94) წინამძღვარებითა	წინამძღვარებითა
95) უყარმელისაჲ	უყარმელისაჲ
96) შეიშუნეს	შეიშუნეს (454)
97) არტაკრად	არტაკრად
98) წილი	წილი
99) წილი	წილით
100) სადაჲ (11, ბოლო- დან მე 4 სტრ.)	სადა (455)
101) ლუთისა (11, ბოლ. მე 4 სტრ.)	ლუთისა
102) მარქუა	მარქუა
103) სომხითსა	სომხითისა

104) ბერძენთა	ბერძენთა.
105) თაყვანისცემელ (12)	თაყვანისცემელ
106) უკულს	შემდეგ
107) ამან	მან
108) აღსავალს	აღსავალსა
109) ლთებისა	ლთებისა
110) ჯუარი მე (13)	მე ვიუარო (456)
111) დედოფალ	დედოფალი
112) კელთა	ქელთა
113) დასაბამითგან	დასაბამითგანთა
114) მსუძე (14)	მამული (457)
115) ყვოდა	ყვოდა
116) აღმოვიდოდეს	აღმოვიდოდეს
117) სასაკუთველს ^{ჰქ}	სასაკუთველს
118) აღმოსავლით (15)	აღმოსავლით
119) წიალთა (19)	წიალით (458)
120) მოგუთასა	მოგუთას
121) მოგუებსა (20)	მოგუებსასა
122) ურიცხვ	ერიცხვ
123) კაცისა	კაცისა (459)
124) ჰრქუა (21)	მრქუა
125) მთაწნი	მთაწნი
126) დავდექ	დავდეკ
127) სპილენძისა	სპილენძისა.
128) ჯაჰვ	ქაქვ
129) ვა	ვა (460)
130) ჩრდილომხათა (22)	ჩრდილომხათა

131) ქუათა	ჭკათა
137) მოვიხსენე	მოვიკსენე
133) მრავალთა ძალთა შენთა	მრავალთა ძალითა შენითა
134) საუფლის (23)	სუფლის (სოფლის) (461)
135) ჰპოეთა (26)	ჰპოეთ (462)
136) წარყუნება	წარყუნებაჲ
137) მიემართს	მიემართს
138) ვხედავდ (27)	ვხედედ (463)
139) მოისთვლებდიან	მოისთვლებდიან
140) დიდება (28)	დიდებაჲ (464)
141) არათუ (29)	არათუ
142) ებერისთაგან	ებერისთაგან
143) აბრაჰამისთაგან	აბრაჰამისთაგან
144) გამცდელისაგან	გამცდელისაგან (465)
145) სმენით	სმენილი
146) წელნი კრ (30)	წელნი ჭფ
147) კონსტანტინე	კონსტანტინე
148) (ვე) ქცეოდეთ	ვიქცეოდეთ
149) აქუნდეს	უხნდეს
150) წყაროელთა (31)	წყაროელთა (466)
151) მცირს	მცირედრს
152) დავითისასა	დავითისასა
153) გარემდგომთაჲ	გარემდგომთაჲ
154) თაყვანის-ცეს	თაყვანის სცეს
155) შესწირეს	შეწირეს
156) ჰეროდე	ჰეროდე (467)

157) იყუნეს	იუენეს
158) დამოკიდენ	და მოკეკიდენ
159) თვსასა (33)	თვსსა (468)
160) სიტყუა	სიტყუამ
161) ნინოამსა	ნინოამს
162) ურიათაო	ურიათაო
163) მოჰკალით	მოჰკალთ
164) მხსნელი	მკსნელი
165) იქმენით	იქმენით
166) მოეკვა	მოეხვა (469)
167) თვსისა	თვსისსა
168) წარკდეს	წარჰკდეს
169) უმეტეს	უმეტეს
170) სიკუდილისა	სიკუდილსა
171) წაღებამ	წარღებამ
172) კელთა (35)	და კელთა
173) შვიდნი (36)	შვიდნი (470)
174) ნანამსისა	ნანამს ზედა
175) ხელოვნებამან	კელოვნებამან
176) ხუარასნეული იყო, სულითა უკეთური- თა	სურასნეული იყო სუ- ლითა უკეთური- თა (471)
177) მაწოვნებელთაგან (37)	მაწოვნებელთაგანი
178) სახუმილისაგან (38)	საკუმალისაგან (472)
179) ზღვისამ	ზღვისამ
180) ჰაერისათამ	ჰაერისამთა

181) მოპგვარეს (39)	მოჭგუარეს (473)
182) წარიყუნა	წარიყუნა
183) და დაადგინა	დაადგინა
184) სხნა	სცნა
185) მაყულოვანსა (43)	მაყლოვანსა (474)
186) უკუს	უქუე
187) გარდამოვიდა	გარდმოვარდა
188) მოსწრაფებით (44)	მოწრაფებით
189) მნებაეს	მინებს (475)
190) ვრიდო	ვწრიდო
191) საკვრელო	სამირკველი
192) საქს	საქმს
193) გულდებულ	გულდებული
194) შულამე	შუკლამს
195) ძალისა (46)	ძალისა (476)
196) ლოცვიდა	ლოცვიდა
197) მეყუსეულად (ასრე მრავალგან)	მეყსეულად
198) მეფსთ-მეფს (47)	მეფეთ მეფს
199) კმა	კმა
200) ადგილსა	ადგილისა
201) კელთა	კელისა (478)
202) ერისა	ერისა
203) ჰენატრიდით	ჰწნატრიდით
204) ამათ	მათ
205) კელ-აღპურობილი	კელაღპურობილი
206) მიებარდნა (48)	მიებარდნა

207) კაბუკმან	ჭაბუკმან მან
208) სამოთხესა	ს ი მ ა ლ ლ ე ს ა
209) იყუნესვე	იყუნესვე
210) იყო	ი წ ყ ე (479)
211) მოსლულად	მოსლუად
212) ბრწყინვალი	მბრწყინვალს
213) ხორცითა (50)	კორცითა (480)
214) ცხოვრებისათჳს	ცხოვრებისათჳს
215) ვითარცა ზემო წე- რილ არს	ვითარცა ზემო წერილარს ე ე ლ ი ს ა ე რ ი ს ა
216) ნინოჲსა (51)	ნინოჲსსა
217) განვიბნენით	განვიბნენით (481)
218) ვხედავ (52)	ვ ხ ე დ ა ვ
219) ჯურღმულმან	ჯურღმულმან (482)
220) განმადვიებდა	განმადვიებდა
221) მე და ასული (53)	მე, ასული
222) რომელსაც	რომელსაცა
223) პატრიარქისაჲ (54)	პატრიარქისაჲ (483)
224) მოწვენილ (55)	მიწვენილ
225) მოკუეთა	მოკუეთა (484)
226) შ (ალვი)და ფურ- ცელ(თა) გვ. 56	შალვიდა ფურცელსა
227) მოკუეთეთ	მოკუეთეთ
228) შეიმკუნეს	შეიმკუნეს
229) თთჳსასა	თჳსასა
230) (ყოვლად)	ყოველმან
231) (ბნელთა)	ყოველთა

232) ეგრელვე (57)	ეგრევე (485)
233) წმიდის	წმიდისა
234) განთენდებოდა (58)	განთენებოდა
235) მთა	მთაჲ
236) ვარსკვლავი	ვარსკვლავი
237) აღმართენ	აღმართენ (486)
238) აღმართოს	აღმართოს
239) გვიბრძანა	გვიბრძანა
240) ფარვიდეს (59)	ფარვიდეს
241) ქუასა	ქუასა
242) ჯუარცმული	ჯუარცმული
243) აიძულებდა (60)	აიძულებდა (487)
244) შესძრან	შესძრან
245) (ნა)შენები	ნაშენები
246) დიდებული	დიდებული
247) აღმართება	აღმართებაჲ
248) პატროსანისა	პატროსანისა
249) მოსრულიყვნენ	მოსრულიყვნეს
250) შეეჭმენით ჩუენ ჯუარი მღდელთა მათ	შეეჭმენით ჩუენ ჯუარი იგი, კითარცა მღდელთა მათ ტუასწაკეს (488)
251) და უკვირდა (61)	და დაუკვირდა
252) განიზრახვდა	განაზრახვდა
253) აღმალლდი (62)	აღმალლდი (489)
254) ღმერთო, ღმერთო	ოფალო ღმერთო
255) აღმართოთ	აღმართოთ
256) ჰრცხვენოდის	ჰრცხვენოდის

257) აჩუნა	უჩუნა
258) რომელი (63)	რომელი
259) საზღვართა	საზღვართა
260) ზატიკისა	ზატიკის ზატიკისა (490)
261) მოიქცეოდეს	მოიქცეოდეს
262) სახუმილსა	სახუმილსა
263) ანგელოზნი	ანგელოზნი
264) წარსვლით	წარსვლით
265) თაყვანს	თაყვანის
266) ჟამისა	ჟამისა
267) მოწვეულ (65)	მოწვეულ (491)
268) ესვა	ესვა
269) უკეთუ	უკეთუ
270) მომიშორო	მომიშორო
271) აღასრულებად	აღასრულებად (492)
272) პატროსხისა (66)	პატროსხისა
273) ჯუარისა	ჯუარისა
274) დღეულითგან	დღეულითგან
275) არ	არა
276) სასოებაჲ	სასოებაჲ (493)
277) ალახილნა	ალახილნა
278) წარიყუნა	წარიყუნა
279) შესცვეს (67)	შესცვეს
280) განკურნებიედ	განკურნებიედ
281) ჯუარისათა	ჯუარისათა
282) დღეინდელად	დღეინდელად
283) დღემდს	დღემდს

284) სულსა აწ	სულსა, რომლისადა არს დიდებაა, აწ
285) ამინ	ამენ
286) მოიხსენა (58)	მოიკსენა
287) ქუეყანა	ქუეყანა
288) ვიყუენით	ვიუკენით
289) მეთექუსმეტს	მეთექუსმეტს
290) ჩემთადმდე	ჩემთამდე
291) მსხვერპლად	მსხვერპლად
292) კერპათუს	კერპათუს
293) ქუანიცა	ქანიცა
294) პირ-იცვა	პირკელ
295) ჩუენთასა (69)	ჩემთასა (494)
296) რომელიც	რომელიცა
297) მხებულ	მიხებულ
298) ბორცუსა (70)	ბორცსა
299) შევქმენ	შევქმენ (495)
300) მიერ	მიერი
301) გამოვახუ	გამოვაკუ
302) ხარისხთა	ხარისხთა
303) შევიხუენ	შევიხენ
304) ზემო	ზემოა
305) მღუდელთასა	მღუდელთასა
306) მიხედვაცა	მიხედვადცა
307) ცოდვსა	ცოდვისა
308) ჩრდილოაჲსა (71)	ჩრდილოაჲსა
309) მოველ (72)	მოვკელი (496)

310) მკედრეთით	მკუდრეთით
311) მოცადებაჲ	მოცალეზაჲ (497).
	ბ) სუჲბატის ქრონიკა *)
312) სალა შუა (დაბეჲდ.	შუა (დედნ. კვ. 294)
	გვ. 41)
313) ღღემდე (43)	ღღემდე (295)
314) ბაგრატონიანნი	ბაგრატონიანი
315) სხვანი	სხვანი
316) გურამ (44)	გურამ
317) დასაველის (47)	დასაველის (296).
318) ციხისა	ციხისა
319) ტფილისისა	ტფილისისა
320) ღმერთისა (49)	ღმერთისა
321) მთავრობდა	მთავრობდა

*) მოკამათე ამ სიტყვას ხრონიკად სწერს. მაგრამ შეუდგომია, რადგან ეს სიტყვა ძველადგანვე იხმარება ქრონიკად და არა ხრონიკად. და ასრე იხმარება იმიტომ, რომ თვით ჩვენი ენის თვისება მოითხოვს ბერძნულ ხ—ს შეუვლას ქ—დ. მაგალითები: *xaragma*—ქარაგმა, *xristos*—ქრისტე, *xristofphoros*—ქრისტეფორე, *xristokinos*—ქრისტეს—მკინებელი, *xronologia*—ქრონოლოგია, *xronikos*—ქრონიკა და მრ. სხ. თუ *xronikos*—ქართულადაც ხრონიკად უნდა ითქვას, ბარემ ქრისტეც ხრისტოსად ვსთქვათ, ქარაგმაც ხარაგმად! ესრეთი გრეხა სიტყვებისა მაგონებს ახალგაზღვებს, რომელნიც ერთხელე ქართულის ენის მიერ შეთვისებულ სიტყვებს-პარიჲი, ლენერალი, პეტერბურლი და სხ. სწერენ პარიზად, გენერლად, პეტერბურგად. მაშ თუ საკიროა უცხო ენის სიტყვების გამოთქმის დაცვა, რა-

322) ბართოლომე	ბართლომე
323) კათალიკოზნი	ქათალიკოზნი
324) შემდგომად მოკუ- და (ადარნასე მთა- ვარი ღ ღ დაჯდა) სტე- ფანოზ	შემდგომად სტეფანოს
325) ვარაზბაქურ (50)	ვარაზბაქურ
326) კურატპალატ (51)	კურატპალატ (297)
327) უმრწემესი ძე (სა- ხელით) გუარამ	უმრწემესი ძე გუარამ
328) განსვენება (52)	განსვენება
329) სიხარულით (53)	სიხარულით
330) შემდეგ (55)	შემდეგი (298)
331) კელმწიფობასა (56)	კელმწიფობას
332) კურატპალატ (57)	კურატპალატ (299)

ტომ მაგალითებზე ფრანგები არ ამბობენ ხრონიკოს, არამედ კრონიკ, არ ამბობენ ხრისტოს, არამედ შრისტ; ან და, თუ ეს უცვლელია ბაძირეულ სიტყვის კანონი, სხვადასხვა ენებში როგორღა იბარტყა, თუნდა მაგალითებზე, სიტყვამ „მე“ (მეგრულად მა, სვანურად მი, ძველ ინდიურად აჰამ (შემასმენ. ბრუნვა *me*), ძველბაქტ. აზემ (*ma*), ბერძნულად ეგო (*eme, em*), ლათინ. ეგო (*me*), ბულგარიულად აზუ (*me*), ლიტვურად აზ (მანე), გუთურად იკ (მიკ), თათრულად მენ). ბარემ მოდით და აქაც ვსთქვათ აჰამ, რადგან ძველი ინდიური ენა ყველაზე უძველესად ითვლება. ბარემ პურიც დავწეროთ პუროსად, რადგან ბერძნულად ასრე იხმარება, ან აკვანი (მეგრულად არკვანი, სვან. აკუან, ინგილოურად აკუან)—კუნედ, როგორც ლათინნი ამბობენ, პეტრე-პაველე პეტროს-პავლოსად და სხ.

333) ქორანიკონსა	ჭორანიკონსა
334) გუარამისა	გუარამისსა
335) გარდაიცვალა გუარამ მამთალი (58)	გარდაიცვალა გუარამ მამთალი ფელი
336) შეკრიბა	შეკრიბა
337) ბანელისათა	ბანელისათა (300)
338) ეპისკოპოზ	ეპისკოპოს
339) მამთალი	მამთალი
340) მოისრა	და მოისრა
341) ღიდათ (63)	ღიდათ (301)
342) მეფისი (64)	მეფისა
343) (იმიერ ტაო). იმართაო (65)	იმართაო
344) სახლეველთა (66)	სახლეველთა
345) ამის (67)	ამის
346) მოუდგა (69)	მოუდგა
347) მოაკრა	მოაკრა
348) მიმდგომელნი (70)	მიმდგომელნი
349) მზაკუარნი არა მიეშუნეს (71)	მზაკუარნი იგი არა მიეშუნეს (303)
350) მოსრულ (72)	მოსრულ
351) მოისრენ (73)	მოისრენს
352) რომელნიმე	რომელნი
353) პირველისავებრვე	პირველისავებრვე
354) დაზაენეს	დაზაენეს
355) კურატპალატისანი	კურატპალატისა
356) გარდახდეს	გარდაკდეს

- 357) ქორონიკონსა სიზ ქორონიკონსა სმ ზ თვესა
თუესა (75) (305)
- 358) მეფედ მეფე
- 359) ბასალი (76) ბასილი
- 360) მოძღუართა (77) მოძღუართათა
- 361) პარკიმანოსსა (78) ჰარკიმანოსსა
- 362) შიქცეს შიქცეს
- 363) ამისა ამისა
- გ) მესხური დავითის ქრანია
- 364) იანვარსა (დაბეჭდ. იანისსა (დედ. გ. (9)
გვ. 81)
- 365) ოდიში ოდიში
- 366) შახთამაზ (84) შახთამაზ
- 367) პატრონმან ქ: ჰატრონმან
- 368) ღვთის-მოყვარულ-
თა ღ.-მოყვარულია (10)
- 369) მისებრ მისებრი
- 370) მაისსა კზ (83) ქ: მაისსა კზ (11)
- 371) ოთხშაბათსა ჟამსა ოთხშაბათსა, ჰორეკლას
ჟამსა
- 372) უკანდელი უკანანდელი
- 373) აღმოცენებულთათა აღმოცენებულთა
(84)
- 374) აღმოსავლიდგან აღმოსავლიდგან (12)
(85)
- 375) დასავლამდე დასავლამდე
- 376) განთქმულისა განთქმულისა

377) აღმალლებულისა	აღმატებულისა
378) სასუფეველთასა წმიდათასა	სასუფეველსა წათასა (13)
379) ყვევილსა (86)	ყუჯვილსა (14)
380) ნებითა ღუთისათა	სებითა ღუთისაჲთა
381) ქორონიკონსა ს.ა.	ქორონიკონსა ს.ა.
382) ქათმისა	ქათმის
383) იმავე მაისსა (87)	ამავე მაისსა
384) მივიდა	მივიდა
385) ბიძაშვილი (88)	ბიძა შვილი
386) სეხნია	სეხნია (15)
387) ჯარასონ (89)	ჯირასონ
388) აიკიდეს	აჭკიდეს
389) შეეკაზმეთ (90)	შეკაზმეთ (17)
390) ალაფი, და (91)	ალაფი გამოვიღეთ და
391) კოკოლა (94)	კოკოლას (18)
392) ღვთისსა	ღვთისსა
393) იქეთ (95)	აქეთ
394) წავიდა (96)	წავიდა ბატონი
395) ქორონიკონსა ს.მ.	ქ: ქორონიკონსა ს.მ.
396) ერუბნელი (98)	ერუბნელი (21)
397) დაგერჩა	დაგერჩა
398) გაემარჯვა	გამარჯვა
399) გამოაქცია (99)	გამოაქცა (22)
400) ქოიარ	ქოარ
401) უქუსით	უქუსით
402) გამოჰგვარეს	გამოგვარეს

403) ხერთვისა	სერთვისი
404) ორავეუანდისშვილი	ორავეუანდას შვილი
405) შარმანზე (102)	შარკანზე
406) მივიდა	მოვიდა
407) გამოუშვა (103)	გამოუშვა
408) მანუჩარ მივიდა (105)	მ. მოვიდა
409) მეფემან	მეფემა (26)
410) თათარხანიცა (106)	თათარხანცა
411) კარი (107)	კარი
412) ორივ (111)	ორნივ
413) წარვიდეს (113)	წავიდეს
დ) წინასიტყვაობანი.	
414) ღვთივ შემოსილნო (დაბეჭდ. გვ. 128)	ღმერთშემოსილნო (გვ. 7)
415) უძღურებითა (128)	იძულებითა (7)
416) უკვე	უკუნ ^ს (8)
417) შეუცვალებლად	შეუცვალელებლად
418) კელ წავყოფ (XI)	კელკაყოფ .
419) ვიცნა	ვინა
420) სასყიდლათ	სასყიდელი
421) ბრალობად	ბრალობაჲ
422) დიდ	დიდი
423) ფსალმუნთა	ფსალმუნთაჲ
424) თარგმანი ასერგა- სისთა მათ ფსალმუნ-	თარგმანი ასერგასისთა *) მათ ფსალმუნთაჲ, რომელ-

*) ერგასი ნიშნავს 50, მაშასადამე ღუთის კალამს დავითს დაუწერია სულ 150 ფსალმუნი.

- | | |
|--------------------------|---------------------------|
| თა, რომელნი და- | ნა დაწესნა კალამის დაუთი- |
| წერნა კალამან | სამის დაკითხვის დაუთი |
| ლუთისამან, და სუ- | წმიდისა |
| ლისა მიერ წმიდისა | |
| 425) (საწინებეთათსა) გვ. | საწინებეთათსა (516) |
| XII | |
| 426) ვითარცა იგი მე- | ვითარცა იგი მოციქულ- |
| ტოქელთა (მტკლ- | თა (მოციქულთა) წმიდათა |
| თა) წმიდათა უფ- | ოფლისათსა ისადაღეს კი- |
| ლისა თანა ისაღი- | დესა ტბისა მის ტიბერიის- |
| ლეს კიდესა ტბისა | სასა (516) |
| მის ტიბერიისასა | |
| (XIII) | |
| 427) გვედრები სიწმი- | გვედრები სიწმიდისა შესისა |
| დესა შენსა (XIII) | (576) |
| 428) ელოძენოსად | ელოძენოსად |
| 429) სახელითა წმიდისა | სასკელისა წმიდისა სამკიბ- |
| სამებისა სამქადაგე- | სასა მქადაგებულნი |
| ბელისა (XIV) | (579) |
| 430) ძმაო (XIV) | ძმაო (579) |
| 431) გამოუთქმელთა | გამოუთქმელთა |
| 432) ლუთისად | ოფლისად |
| 433) გამოუჩინებულნი | გამოუჩინებულნი |
| 434) იყო (XIV) | იყო |

ნიშგვედრებთ, აჯა მარე საკვრელ მარე-ლი, რომ ამდენ გარყვნილ და დამახინჯებულ ადგილებს ტექსტისას სულ 4—5 შეცდომად სთვლის!

შესწავება.

- № 183 სხნა (დაბეჟდ.)—სცნა (დედანი). აქ შეც-
დომა წარმოსდგა ხუცური ასოების ხ-სი და
ც-ს შერევისაგან.
- № 270 მომიშორო-მომიბოძო { ხუცური შ ზ ბ მო-
კამათეს შეურევია.
ამის პასუხი იხ. მო-
- № 326 ერუბნელი-ერუშნელი { კამათეს წინასიტ-
ყვაობაში გვ. 106.
- № 285 ამინ-ამენ: ხუცური ი და ე ურთიერთს მიემ-
სგავსებინ.
- № 424 და—დავით. ეს ზ—დ წაკითხული სიტყვა
დედანში სწერია ქარაგმით: დთ.
- № 426 მეტოქელთა—მოციქულთა. ტ და ც ერთმა-
ნერთს ჰგვანან.
- № 427 გევედრები—ვევედრები. აგრეთვე გ და ვ.
- № 428 ელოძენოსად—ელომენოსად { აგრეთვე ძ ზ მ.
- № 130 ძმაო—მამაო
- № 344 სახლეველთა—სახლეულთა. აგრეთვე ე | ვ
ღ უ.
- № 388 აიკიდეს—აჰკიდეს. აგრეთვე ი და ჰ.
- № 414 ღვთივ—ღმერთ. დედანში სწერია: ღთ.
და სხ.-და-სხ.

შენიშვნა. აქ ამოწერილია მხოლოდ ისეთი სიტყვანი,
რომელნიც დედანში ცხადად და ნათლად სწერია.
ხოლო იმისთანა სიტყვებისთვის, რომელნიც ოდნავ

მინც ექვს ბადვენ,—ჩვენ ხელი არ გვიხლია. თვით ნათლად დაწერილ სიტყვათაგანაც აქ ყველა ვერ ამოვწერთ, რადგან ბევრს დროსა და შრომას ითხოვდა. ზოგიერთი ადგილი, რამდენათმე გადალექული, დაძველებული და ქამთა ტრიალისაგამო გაცვეთილი, თუმცა ძნელად იკითხება, მაგრამ მინც შიგა და შიგ ამისთანა ადგილებიც შეიძლება სისწორითა ნიშნისაჲთა აღადგინოს კაცმა, რადგან წამალ გადასულ ასოებს თვისი კვალი დაუტყვიათ ეტრატზე. დიად, ვიმეორებ, თუმცა ამისთანა ადგილებიდან მე სიტყვები არ ამომიწერია ამ სრელში, მაგრამ მინც აქაც შეიძლებაოდა ბევრი რამ გვეჩვენებინა, რომელიც ხშირად მოკამათეს უკულმართად გაუგია და „სამქადაგებელისად“ უქადაგნია. თუნდ ავილოთ პირველი გვერდის მინაწერი კრებულისა. ამ მინაწერს ბ-ნი მოკამათე ასრე ჰკითხულობს:

„ქრისტე ღმერთო, აღიდე დიდებითა საუკუნოჲთ ერისთავთ ერისთავი კვირიკე, რომლისა ბრძანებითა და (საფასითა) შეიმოსა წიგნი ესე კელითა მათისა მიწა მლუდელის ცოდვილის მიქაელისათა“ . (წინასიტ. გვ. XVII, შენიშნ.).

დედანში-კი ასრეა:

ქ: ქრისტე ღმერთო, აღიდე დიდებითა საუკუნოჲთა ერისთავთ ერისთავი კვრიკე, რომლისა ბრძანებითა და ნე(ბითა) შეიმოსა წიგნი ესე კელითა მათისა მწი(რ) მლოცველის მიქელისითა.

ამას გარდა გამეორებული შეცდომანი მხოლოდ

თითო ჯერ ამოგვიწერია. არ მივიხსენიეთ კიდევ წერიმალის შეცდომაც, ვითარცა ასო **ჟ**-ს ტრიალი მრავალ სიტყვებში, ან და წერტილ-მძიმეებით დედნის პირვანდელი აზრის დაბნელება.

ამიტომაც ჩემ მიერ ნაჩვენები „დაკლებული“ მაინც ვერ აღაფსებს და ვერ აღადგენს ტექსტს სისრულით. რისგამო საჭიროა ეს შესანიშნავი ძეგლი ასოდე ცალად მაინც ხელახლა დაიბეჭდოს მარცვალ-მარცვალ, სტრიქონ-სტრიქონად, ბერაის წესრიგისა და მართლ-წერის შეუცვლელად. ასრეთი გამოცემა საჭიროა იმიტომ, რომ ხშირად ერთი რამ მკერე ნიშნის გამოტოვებით ბერაის ნათქვამი ორაზროვანი ხდება. რომ ცხადად გავაგებინოთ მკითხველს ჩვენი აზრი, თუნდ ამოვწეროთ ერთი ადგილი ჩვენი მოკამათეს დაბეჭდილიდამ და მერე იგივე ადგილი მოვიყვანოთ ბერაის მართლწერით.

დაბნები მათი:

სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაკე და ციხენი მათნი: ციხს-დიდი, სარკინისაჲ, უფლისციხეს, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა.

ესევე ადგილი ბერაჲს მართლწერით:

დაბნები ნათი:

სარკინე ქალაქი: კასპი:

ურბნისი: და ოძრაკე:

და ციხენი მათნი: ციხს' დიდი

სარკინისაჲ: უფლისციხს'

კასპისა: ურბნისისა:

და ოძრაკისა:

ბერაის ნაწერიდამ გამოდის, რომ დაბნეები ყოფილა 4 და ციხე 4 ან 5 (ციხს დიდი სარკინისაჲ, ე. ი. რკინის დიდი ციხე, უფლისციხე კასპისა, უწბნისისა და ოძრაკისა). ხოლო მოკამათეს დაბეჭდილიდამ-კი სჩანს, რომ ციხეთა რიცხვი ყოფილა ექვსი, რადგან ბერაის ნათქვამი „ციხს დიდი სარკინისაჲ“ გაუყვია ორად და ზედშესრული „სარკინისაჲ“ დამოუკიდებელ ცნებად აღუვიარებია. რომ „სარკინისაჲ“ მართლაც ციხე არ ყოფილა, არამედ მხოლოდ „ციხს დიდი“ ყოფილა „სარკინისაჲ“, ესა სჩანს შემდეგის მაგალითებიდამ: „ციხე დიდი სამშვილდისაჲ“ (სიტყვიდამ მშვილდი), „წყალი სწრაფი საცხენისაჲ“, „კაცი ჩინებული საქართველოჲსაჲ“, „დაბა თამარაშენი სამაჩაბლოჲსაჲ“, „ქულბაქი დიდი სავაქროჲსაჲ“, „კაცი მეცნიერი საოსურგეთოჲსაჲ“. და ასრეც „ციხს დიდი სარკინისაჲ“.

დიაღ, შეუცვლელად უნდა დაიბეჭდოს ჩვენი საეროვნო ძეგლი, უშენიშნვებოდ. შემდეგ ამისა ყველას ნება აქვს თავისებურად გაიგოს და ახსნას ეს, თუ ის ადგილი ტექსტისა. მაგალითებრ, პავლემ „ციხს დიდი სარკინისაჲ“ თუნდ სამად გაყოს და სამი ციხე გამოიყვანოს (ციხე, დიდი, სარკინისაჲ) და თუნდ პეტრემ ორ ციხედ აღიაროს ეს სამივე, ამით არც ბერაის და არც არავის რა დააკლდება, რადგან გამოჩნდება მესამე ანუ მეოთხე პირი, რომელიც ჭეშმარიტებას აღადგენს.

ამას გარდა აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ: ა) მოკა-
მათე ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ ხმარობს sic-ს,
ე. ი. მდაბიურად ნუთუ-ს. „სიკ“ თუმცა ლათინურად
ნიშნავს ნუთუს, მაგრამ ქართულს კილოებში დიდ სა-
მარცხვინო სიტყვად ითვლება. მიუხედავად ამისა, ჩვენს
მოკამათეს ძალიან ჰყვარებია ეს სიკი, რომ ალაგასა
და ულაგოს მით აქრელებს ნაბეჭდს. მაგალითები:
ჯვარის (sic), აღრნესე (sic), არმაზნი (sic), მეუ-
ფოჲ (sic), თქუა (sic) და სულ sic და sic, და ბ)
მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ეტრატის „ცხვირ-პირი“
აღმადგენელის ხელით ხშირად გათხუზნულია. რაც
აღმადგენელს თავის ქუაში აღუდგენია, ის იქვე
ეტრატის პაგინაციაზე მიუწერია. თავის ქუაში იმი-
ტომ ვამბობთ, რომ ეს მინაწერებიც უმეტეს ნაწი-
ლად შეცდომით არის შესრულებული. მაგ. ტექსტში
სწერია „ველაღს“, ხოლო აღმადგენელს ეს სი-
ტყვა ეფთათს-დ აღუნიშნავს; დედანში ერთი ადგილი
წაბლალულია და მიწერილი-კია „დიდი (ანუ თვისი)“,
მეორე წაბლალული ადგილისთვის მიუწერია ნარევად:
„—|—თვი“ (დედნ. გვ. 448), და სხ.-და-სხ. განა შეც-
დომა იქნება, რომ ვსთქვათ, ამ ნარევ ხელს ეხლავე
გარჩევა-გაცხავება და აღდგენა სჭირიაო! მომავალი
დგმა რას იტყვის, რომ ამ ნარევით ათასწლოვანი,
მრავალ ქარიშხალთა და ქარტეხილთაგან თავდახსნი-
ლი და ჩვენამდე გამოხწეული ტექსტი ბ-ნ აღმად-
გენელს გაუმორევებია და გაუსიკებია? ყველა რა-
გინდარამ რომ ჯღაბნოს ეტრატის ფურცლები, იგი

რალს დაემგვანება ათიოდე წლის შემდეგ? თუ რა გვარი სიფაქიზით დაცვა უნდა ამ გვარ ნაშოს, ესა სჩანს თუნდ მურიეს სიტყვებიდამ. „ბეთანიის ტაძარში ვიყავი. განეცვიფრდი, როდესაც წავიკითხე ერთის ველურისა და ბარბაროსისაგან თამარის ბეთანიის სურათის ცხტირზე მიწერილი: „მე (სახელი) ეს სურათი ვნახეო“. ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ.

მორჩა ჩვენი სათქმელი ნაცოდლილარ ტექსტის შესახებ. თუმცა მოკამათემ თავის პასუხში სასტიკად აღგვიოქვა, რომ ჩვენ აღარ გვიკადრებს და არასგზით აღარ შემოგვეკამათება, მაგრამ მაინც იქნება ოდესმე ინებოს და აღალოს პირი თვისი შესამუსრაყად ჩვენის ნათქვამისა. დიად, თუკი მთელს საზოგადოებას ფიცით აღუთქვა შატბერდის დედნის მართლწერის სასტიკად დაცვა და ეს აღთქმა ჩვეულებრივადაც ვერ შეასრულა; თუკი თვის მიერ სატეხით ამოჭრილ-ამოყრილი წარწერა გადახეხა, აბა, რალა თქმა უნდა, ჩვენს „სამი ისტორიული ქრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტის შესასწორებლად შედგენილ სახელმძღვანელოსაც სულ ბრეს აადენს. ვიმეორებ, თუ თავისი ფიცი გატეხა და ინება опровержение-ს წერა, იმ შემთხვევაში, მინამ გამოაქვეყნებდეს თავის ნაწერს, ჯერ პირველად მიიწვიოს ძველი ხელის კარგა მკითხველთაგანი ვინმე და გააშინჯოს თავისი ამოწერილიცა და ტექსტიც, და შემდეგ ამისა გამოაქვეყნოს. თორემ, ვინ იცის, კა-

ცნი ვართ, მოსალოდნელს, რისხვა-ქუხილით დაწერილს, პასუხში კიდევ ვრს-ის მაგვარი სიტყვები (მაგიერად ვდს-სი) არ მოჰყვეს და მით ჩვენი კამათი სიზიფის დაუსრულებელ შრომად არ გადაიქცეს. უკეთესი-კი იქნებოდა, თუ ჩვენი ნათქვამი მოკამათეს არა სჯერა, ამ ნათქვამისა და აღნიშნულს დედანთან შედარება მას მიენდო თავის საყვარელ მეგობრისათვის, რომელიც, მისისავე თქმით, მას მიუწვევია სამეცნიერო კატალოგის შესადგენად ამ სამი-ოთხი თთვის წინად. რასაც ეს მეგობარი, თუ სადმე არსებობს ამგვარი კაცი, იტყვის, მისი ნათქვამი იყოს. ამინ და კირიელეისონ.

მწერლობა

მე-IX—X საუკუნისა

გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა.

ტფილისი
სტამბა მ. შარაძისა
1891

Дозволено цензур. Тифлисъ, 12 Августа 1891 г.

მწერლობა

მე-IX—X საუკუნისა

I

შატბერდის სამეცნიერო ქრისტომატიიდან ამოღებული
სამკურნალო ტრაქტატი *)

თვი: და თჳოჳა: ოსდაათსა: თ
: ლ : ავსა: სიტჳჳ მკოჳრნალთა:
გან: რი: მოასწავებს: ასოთა:
გოჳამთა: ქასთასა: და:
გადეგასა: შინა: მათსა: და
არს: იგი: სიტჳჳ: გამოკრებოჳლი:

ბ დაბადებასა კორცთა ჩნ
თასა ¹): ჳეშმარიტითა გამო
ძიებითა შემძლეგელარს ყი ²)

*) ნიმუშად იმისა, თუ რა გვარ გაუკეთესებულ და განვი-
თარებული ენით უწერიათ ჩვენთა მამა-პაპათა და რა გვარი მა-
სალა უძლევიათ მე-IX—X საუკუნის სამეცნიერო ქრისტო-

კაცი. გოვლისხმის იყო
ფად. ძალისა მისგან რი ³)
მოესწავების. ბოვნებისა
გან თვისისა გამოცნობაში
თა მით. და ცხოვრებითა
გრძნობითა მით: . :
ღა რ ⁴) ბოვნებაჲ ყოვლისა კა
ცისაჲ არს მოძღოვარ
მისავე. აღ ⁵) შესაძლებელარს
გამოვაცხადოთ. რი ⁶) იგი
კოვალყვეს. ბრძენთა მათ
მეცნიერებისა მისისათჳს.
წიგნთა შინა ზა მიწვევით
რლითა იგი რიმე იცნობა. ვრ ⁶)
არს ადგილი ყლთა ასოთაჲ
რნი არიან ჩნ შს ⁷): .: .:

მატიის შემადგენელთ დაქაბუკებულ და დავაჟკაცებულ მკითხველთათვის,—მომყავს, ავტორისავე ნაწერის წეს-რიგითა და ქარაგმის გაუხსნელად, ამ ქრისტომიტიის (შატბერდის კრებული) ერთი ადგილი, სახელდობრ, მე-30-თე თავი წერილისა ეკაცისა შესაქმნა. ღედნის ტექსტი ასომთავრულით დაწერილია. ქარაგმიანი სიტყვები: ხ (ხოლო), რ (რამეთუ), ლი (ღმერთი), რა (რათა), კა (ხმაჲ), რი (რომელი), მთ (მათ), ზა (ზედა), ჩნ (ჩვენ), შლთა (ყოველთა), შლი (ყოველი), რნი (რომელნი), ში (ყოველი), ჯეროვნ (ჯეროვან), რიმე (რომე-ლიმე, რაიმე), რლარს (რომელარს), ქლდ (კვალად), მკკო-ვეთოვ (უკუეთუ) და სხ. (იხ. ბოლოს).

რეს⁸⁾ იგი გამოიძიეს მას შინა
გამოცხადებითა. კორ
ცთაჲთა. და განპებითა
წყლოვლთაჲთა. და რიმე
გოვლისხმაყვეს თოვ რაჲსა
თვს. დაებადა ყი ასოჲ.
გოვამისაგანი. და იყო იგი
მოლოვაწეთათვს მათწ
ყებელ. განმარტებითა რლ⁹⁾
სა შინარს სროვლი გოვლის
ხმაყოფაჲ: . :

ბ ოვკოეთოვ ვისმე ენებოს
რა¹⁰⁾ ეკლესიისაგან მიიღოს
სწავლაჲ მისი. რა არა ოვ
კმდეს. გარეშთა მათგნ
რაჲმე. რ ესრსთ ჯეროვნ
ებით თანააც. სამწყსო
თა მათ სოვლიერთა. სიტ
ყვსაებრ მაცხოვრისა. ვდ¹¹⁾
არა ისმინონ კჲ ოვცხოჲ
საჲ მის. ხ¹²⁾ აწ მივჰმართოთ
სიტყოვასა მას. და ვთქოვ
ათ. მსგავსად ძალისა.

სამთა ამათ ვხედავთ. ბოვ
ნებასა შინა კორცთა ჩნ
თასა. რლთათვს დაბადე
ბოვლარიან ყნი ასონი ჩნნი

რამე სიცოცხლისათვის. და რამე
სიმდიდრისათვის. სიცოცხლისა
და რამე დადგრომისათვის
შობისა. და დამტკიცებისათვის
ნათესავობისა. ხ რნი არიან
ჩნ შს ასონი შემდგომნი
ამათნი. ვერეგების მათგან
ცხორებაჲ კაცისაჲ.

აღ სამთა მათ შინა ვხედა
ვთ. თავსა. გოჯლსა. და
ღვძლსა. ხ შემატებაჲ ბოჯ.
ნებისაჲ. კეთილთა შინა იქმ
ნების სიმდიდრისაგან. სიცო
ცხლისა. რი მოენიქა კაცსა
რლარს ჳოჯრჳერი. რლსა შინა
არიან საგრძნობელნი:

ა ესენი ვერ მოგოჯცემენ სიც
ოცხლესა. რ თვნიერ ამათსა
ცა შესაძლებლარს ცხრბჲ
ჩნი. დაღაცათოჯ არაარს
ცხორებაჲ ჩნი. გემოჲ ვნებ
ითი. თვნიერ მათსა:

ბ მესამჳ იგი ესეარს. რლისა
გან იქმნების დადგრომაჲ
შვილიერებისაჲ. და დამტკი
ცებაჲ ნათესავობისაჲ:
და სხოჯანიცა არიან გოჯ

ამსა შინა. რნი ეზიარებიან
ამათ. შემატებასა შინა
და სარგებელსა. ვა ¹³⁾ მოუცელი
და ფირტვი: რ ფირტვი არს. რი ავ
რძნობს. ცეცხლსა მას გოვლისა
სა. და მოუცელი მიიღებს
ქამადთა. ქოჯრქერთა მათ
თესთა შინა. აწოდეს ამათ
ზა განყოფილარს. აგებოვ
ლებამა. ბოჯნებისა ჩნისამა
ჩას რ ძალი იგი ცხოველი. არა
ხ ერთსა პირსა ზა არს ჩნ
შს. აღ განოჯყენა. მიზეზ
ნი იგი ბოჯნებამან. თითო
ვეოჯლოთა ასოთა. და თი
თოვეოჯლი მათგანი. იძოვ
ლებოჯლოარს შეწეენასა. ოჯ
რთიერთას. ხ რი ძიებოჯლოარს
კრძალოჯლებისათეს. სიცი
ცხლისა. და განშოჯენებისა
თეს ბოჯნებისა. მრავალარს
და დაწვალებოჯლო. განყოფ
ასა შინა თესსა:

აღ მნებავს. რა ¹⁰⁾ პირველად გნ ¹⁴⁾
ოჯყო შემოკლებით. რლსა
შინაარს. დგომამა ცხორ
ებისა ჩნისამა:.

ბ ნივთი იგი გოჯამისაჲ ყლი ¹⁵⁾
თოჯრთ. სამრდისოარს
ყლთა ასოთა. და აწ თნა ¹⁶⁾
წარეჰკდეთ. სიტყუსა მისთჳს

რ სიტყოჯაჲ ბოჯნებითი არას
გოჯარგებს. აწ გამოკოჯლ
ევისათჳს. შემოკლებით. რ
ცხადარს ყლთათჳს. ვდ
ბოჯნებასა შინა ჩნსა: პო
ენილარიან. სტჯქისნი ესე.
ამის სოფლისანი:

პიტყჳ ნაწილსა სიტფოჲსა
სა. და ყინელისასა. ნო
ტიისა. და სიკმელისასა
და რ ვხედავთ ვდ. სამნი
არიან ძალნი. რნი განაგ
ებენ. სიკოცხლესა: ერთი
მათგანი განატფობს. გოჯ
ამსა სიციხითა
თჳსითა. და მეორჳ იგი ძალი
ნოტია ჰყოფს. სიმკოჯრ
ვალესა. რა ¹⁰⁾ იყოს განსწო
რებით შეზავებაჲ მისი.

და რა ¹⁰⁾ არა წარწყმდეს ნო
ტიაჲ. სიმძაფრითა მკოჯრ
ვალეებისაჲთა. და კლდ რა ¹⁰⁾
არა დაშრტეს სიმკოჯრვალს

გარდარეოვლებითა მით.

ნოტიობისაჲთა:

ღა ძალი იგი მესამს. შემკ
რებელარს განზნეოვლთა
მათ შეერთებითა იოგთაჲთა
რნი შენაწევრებოვლ
არიან. ყლთა ასოთა და
ლითა მია მოძრავითა.
თავით თუსით. ხ ოდეს ძალი
მოაკლდეს. იქმნეს ასოჲ
იგი მკოვდარ. და დაკლებ
ოვლ. სოვლისა მისგან მო
ძრავითა თავითუსით.

ღა ჯერარს პირველად
ამისა. რა ¹⁰) განვიცადოთ.
სიმტკიცით დაბადებაჲ.
ბოვნებისა მის ჩნისა
კორციელისაჲ. აწ რაჲსა
თესარს ასოჲ ესე მაგარი
და კოვრივი. არა შემწნარებე
ლი. ბოვნებისა მის მგრ
ძნობელისაჲ. რლარიან
ძოვალნი ჩნ შს:

ღა ვა ¹³) იგი მცენარენი ქყნისა
ნი. რლთა აქოჲს ნაწილი
რაჲმე სიკოცხლისაჲ რ ⁴) იზ
არდების და იპოხების. და

არა სიკოვრივი იგი რლარს
მას შინა. მიმღებელი არს
გრძნობისაჲ: ამისთვის ჯერ
არს. რა¹⁰⁾ იყოს მას შინა და
ლი. სიჩოჲსაჲ. შემ

წყნარებელი კოვალისაჲ:

მა¹³⁾ იგი ცკლმან რაჲ შეიწყნა
რის. ტვფარი ბექლისა გან.
რ სწორებით აქოვს. შეზავე
ბაჲ. ნოტიისა და კმელისაჲ

რ დიდად ნოტიებამან არა
შეიწყნარის ტვფარი ბექლი
საჲ მის. და არცალა კლდ
სიკოვრივემან შეიწყნარის
მსგავსად მისა. და ესე
ამისთვის იყო. რა¹⁰⁾ აკლდეს.
ცხოველთა. ოვპატიოსნ
ესი იგი საგრძნობელი. ვიტყ
ვთ. შეხებასა:

და რ გოჲამნი იგი ჩივლნი:
ნაკლოვლნი სიკმელისაგან
არიან განოვმარტველ და
ოვძრავ: ვა იგი ღროვბე
ლი ზღჲსაჲ. რი იპოხების
და იზარდების ზლოვასა
შინა. დიდად ნოტიობისა
გან. და არა აღიძრვის:

ამისთვის შეიძინეს ძოვალნი
ესე მაგარნი. და კმელნი
და შეიხვნეს ნოტიითა კორ
ცთაჲთა. და იქმნნეს შედ
გმოვლ. და შენაწვერებოვლ
ერთი ერთსა. და შეძერწოვლ
ლართა. და ამისგამო შე
იერთა გოვამი. და განსროვლ
და. და დადგა. განს
წორებოვლი ძლიერი. და იქმ
ნნეს ძოვალნი იგი კმელნი
და მაგარნი. მტვრთველ კორ
ცთა მათ მძიმეთა. ნოტი
ისაგან. და მას შინა
არა არიან ძოვალნი გან
შოვრებოვლ. და განყოფვილ
კორცთაგან:

მკვკოვეთოვ არა იყომცა
კაცი ოვძრავ. მდგომარს
ერთსა ადგილსა. მსგავს
ად ხეთა. და არამცა იყო
მიმო მავალ ფერკითა.
და არცა მოქმედ კელითა
შესაწვენელად ცხორებისა
ამისთვის არს კაცი. ქოვრი თვთ
მოძრავი. სოვლითა კელმწი
ფს. ნებასა თვსსა. შეძერწ

ოვლი. ლართაგან. მრავა
ლთა. ამის გამო იქმნეს
ლონენი კელთანი. და მრ
ვალ სახენი მსახოვრებანი
მისნი შოვნიერნი.

ყლთა ლონეთა შინა:

ღა მისგამო იქმნა. ძრვაჲ
კელისაჲ. და მიმო ღრეკაჲ
თაეისაჲ. და საქმს ლაწ
ოვთაჲ. და დაწოვხვაჲ
და ახილვაჲ თოვალთაჲ.

ღა სხოვანიცა ძრვანი

იოვთანი. ლართაგან რნი
შეიოჰებიან. და განიმარ
ტებიან. და ძალსა მას
მეველსა აქოვს. მოძრა
ვობაჲ სრბისაგან სოვ
ლისა ნებსით განგებთა
ყლთა ასოთაჲთა. ხ ძირი
ლართაჲ მოძრავობისაჲ
ყი აჰკაჲ არს თაეისაჲ:

ამიერითგან არღარა გვკმს
ძიებაჲ ასოთათჳს ცხო
ველთა. ვინაჲთგან გან
ცხადებოვლოარს. ძრვაჲ
საქმეთა მათთაჲ:

ღა რი ¹¹) გოვოვწყებს. ვდ ტუნარს

- მიზეზი სიკოცხლისაჲ საქმს
ესე რი გამოჩნდის ვნებისა
გან მისისა. რ ოდეს იგი ეცის
რადმე აპკასა ტუნისასა
წყლოვლებაჲ. მწრაფლ მო
იწიის სიკოვდილი. და არლა
რა დაშთის ცოცხლებით წყ
ლოვლებისა მისგან. რლარს
იგი საძირკოველისა. რლსა
ზა აღშენებოვლარს გოდოლი
- ბ** რეს მიდრკის საძირკოველი
დაირღვს ზა კერძოჲცა
მისი. რ ჰეშმარიტად ტუნიარს
მომცემელი სიკოცხლისაჲ
- და კლდ ვხედავთ ვდ ¹¹⁾ ყი ²⁾ რი ³⁾
განეშოვრის სიკოცხლესა
მიიქცის საქმს მისი ყინელ
ად. და წარვიდის მისგან
მკოვრვალებაჲ: ამითცა
კლდ ოვწყით ვდ სიმკოვ
რვალსცა მიზეზი არს. სი
ცოცხლისაჲ. რ რლსა იგი
მოაკლდეს იგი მკოვდარ
იქმნეს. და მისითა არსებითა
არს სიკოცხლს ცხოველთაჲ.
- ბ** დაწყებაჲ და ძირი ამისი
გოვლი არს. რლისაგან გამ

ოვლენ. ნესტოვნი მრავალნი.
და განეზავების სოვლი
ცხოველი მათ მიერ. ყლსა
გზასა. სიმკოვრვალითა
ცეცხლებრითა:

- რ სიმკოვრვალესა ოვკმს
საზრდელი ბოვნებითი. დგო
მისა მისისათვს. რ ვერ მღვ
ომარს არს ცეცხლი თავით
თვსით. გარნა შემოსლვითა
შს მისსა. რლითა იზარდე
ბოდის. ამისთვს ნაკადოვ
ლნი სისხლისანი. გამოვლენ
ღვძლისაგან. ვა სოვლი ლარ
თავან თვნიერ წყლისა. შეკ
რებოვლი სოვლითა მკოვრ
ვალითა. ყლისა მიმართ გოვა
მისა. რა ¹⁰) არა განიყენენ
ორნი იგი. და წარწყმდეს
ცხორებაჲ:.
- რ განმრავლებაჲ ერთისაჲ
ერთსა ზა. განმრყოვხელი
არს ცხორებისაჲ. ხ მდიდ
არი. და რლსა არა რაჲ.
ოვკმს. არარაჲარს გარნა
ლი მხოლოჲ. ხ კაცსა
ოვსოვსოვრებისა. და ოვღონო

ვებისა მისისათჳს ოჴკმან
მიზეზნი მპყრობელნი ბოჴ
ნებისა მისისანი.

ამისთჳსცა სამნი იგი ძალნი
რნი. მოვაკსენენით. ეღ მთ
გამო დგას გოჴამი. ოჴკმს
ოჴკოჴე მათ ნიეთი. მისა
ღებელი დგომისაჲ. და სიმტ
კიცისა მათისათჳს:

ბ წყაროჲ იგი სისხლისაჲ. რღ არს
ღჴძლი. ნიეთიარს მზრდელი
საჴმელთა. და სასოჴმელთა
მიერ. ვა ¹³⁾ თოელირაჲ და
ღვის მწოჴერვალთა ზა
მთათსა. და ნოტიობამნ
მისმან. აღღგინის. და გა
ნამრაველნის წყარონი
წყალთანი. კეენებსა ოს
მთათსა. და სიღრმისაგნ
მისისა შეიწოჴრის და შეიწ
რღის. ნოტიებაჲ იგი ეღს ¹⁴⁾
გამოსკის ნესტოჴთა მრ ¹⁵⁾
და აღღგიან წყარონი წყ
ალთანი:.

ბ სოჴლი იგი მყოფი გოჴლსა
შინა. მოიღებს საზრდელ
სა თჳსსა. ასოჴსა მისმრ

მოძმისა თვისისა. რლარს
ფირტვ. რლ იგიარს ქოვრი აე
რისა მომყვანებელი ნეს
ტვსა მის მიერ. რი ³) შეადგს
პირისაგან. და მით მოიზი
დავს საშოვმინველსა: აერი
საგან გარეშტთ:

ღა შს მისსა მყოფარს გვ
ლი. სახსდ ყოფისა ცეც
ხლისა მის მოძრავისა მდს ²²):

ღა ¹³) ვა საბერველითა
მქედელთაჲთა. შემოიკრების
ნიაფი წოჯლილი. აერისაგან
მახლობელით. აღავსის.
ქოვრი თვისი. და აგრილ
ობნ სიმკოჯრვალესა
მას ცეცხლის სახესა.

ღა მერმე მისცის ნესტოვთა
გოჯლისათა. მკრთომალეთა.
ამას დაოჯცხრომელად
იქმს. რლსამე მოლ
ებით. მოიღებს გარეშტთ.
და რლსამე განგდებით.
განავდებს შინაგანით:

ხ მე ვჰგონებ. ვდ ¹¹) ესეარს მი
ზეზი სოვლთქოვმისაჲ
რი ³) იგი მოოჯკდის კაცსა

არს სახისაგან.

ბ ოდესმე ოკცალო რაასა
განმე იქმნის გონებაჲ გინა
თოჲ დაყოჲდნის ჟამ
სა ძილისასა. განსოჲენები
სათჲს კორცთაჲსა:

ბდ ⁵) საშოჲმინველი არაჲვე
დასცხრების. დალაცათჲ
არა შეოჲდგის ნებაჲ.
და მე ვჲგონებ გოჲლისა
თჲს. რჲს იჲოს იგი შეცჲ
ოჲლ ფირტჲსაგან. ოჲკოჲ;
ანაჲთ ²¹) კერძო. ვდ ¹¹) შემო
კრებაჲ და განმარტებაჲ
მისი. მიზეზიარს ძრვისა
ფირტჲსაჲ:

ბმისთჲს ფირტჲ აგებოჲლიარს
თხელად. ღროჲბლის სახედ
მრავალ სადინელ შეძერწოჲლ
ყიასა თანა. და რჲს
მოკრბის. და შემოიოჲკის
შეიწრდის სოჲლი იგი მას
შინა. გამოჲკრთის ჰირი
საგან. ხ რჲს განიჲსნის
და განემარტის. მოზიდვით
მოიზიდის. არისაგან
სოჲლი და ესე არს მიზეზი.

- რლითა სოკლსიღებს კაცი.
მრჩობლითა მით ცეცხლებ
რითა. მდს ²²) მდგომარს
- რ საკოვთრებაჲ. სიმკოვრვა
ლისაჲ არს ძრვაჲ მოქმე
დებისაჲ. და გვხილავს.
დაწყებაჲ მისი გოკლსაშინა
და დადგრომითა ძრვისაჲ
თა. ესე ასოჲ რი ³) არნ მოღე
ბითა ფირტუსაჲთა აერი
იგი მდგომარს მისთანა მს. ²²)
- ღა ამისთჳს ოდეს აღემატის
მკოვრვაღებაჲ იგი. ოვფროჲს
ზომისაარნ. სოკლის
ღებაჲ იგი მწრაფლ. ზაჲს
ზა ²³) მალლად. კოჳეთით ჟამ
სა კოვრვებისასა:
- ღა სხოკათაცა სენთა ვდს ¹⁸)
ბოკნებაჲ იგი აზმნობნ.
დაშრეტასა აღსა მას. მკ
ოვრვაღებისასა. მოღები
თა მით ჰაერისაჲთა. ახ
ლად ზაჲსზა. ²³) და რ ბოკნე
ბაჲ ჩნი გლახაკარს. და
ოკმან მას მიზეზნი მრავ
აღნი. დგომისა მისისათჳს.
არახ ²⁴) ჰაერითა მით მაგრილ
ობელითა:

სიმკოვრეალესა გარეშტო
მსგაესად ცხოველთა დგო
მისა. ად ⁵) ოკემს მას სა
ზრდელი მპყრობელი. და მო
მგებელი. და ამისთვის საქ
მლითა. და სასოვლითაგან
სროვლდების ნაკლოვლევ
ანებაჲ იგი. რლარს კორ
ცთა შინა ჩნთა. ძალისა
მისგან მომყვანებელისა
და არს შეწყენაჲ ამის
მკოვრეალებისაჲ რლ
არს გოჯამსა შინა საქმი
თა მით ბოვნებისაჲთა
რ ოკზეშთაესი იგი ასოთაჲ
და ოკმთაფრესი გოჯლი არს
ვრ ⁶) იგი ვთქოჯთ. მიმწყენელი
მკოვრეალებისაჲ მის
სოვლიერისაჲ. და ცხოველე
ბისაჲ. ყლთა შინა ასოთა
რი ³) დაჰბადა დამბადე
ბელმან. რა ¹⁰) იყოს იგი მპყრო
ბელ ძალითა თვისითა ყლი ¹⁴)
სა გოჯამისა. და ესე ამის
თვს რა ¹⁰) არარაჲ დაშთეს
განგებისაგან მისისა ოკქ
მად. და ოკრგებად.

და ამისთვის იქმნა ადგილი
გოკლისაჲ. ოკკოვანა კერძო
ფირტუსა. და დადგრო
მითა ძრვისა მისისაჲთა.
მოილის ფირტოვმან
მისა. და განავრცის შეწ
ყნარებისათს ჰაერისა
და შეაქირის. განსავალ
თა მათ ნესტოვთა. საშ
ოკმინველსა შინა განსა
ღებულად. ნეშტისა მის
დაშთომილისა მისგან:

და ადგილი სტომაქისაჲ არს
მახლობელად გოკლისა წი
ნაჲთ კერძო. რა ¹⁰) განატ
ფობდეს მას. რა ¹⁰) იყოს წარ
მართებოვლ საქმეთა
შინა თვსთა. და მითოვალ
ვასა ჰამადთასა.

რ სადინელი ჰამადთაჲ და
სოკლისაჲ. მახლობელარიან.
ოკრთიერთას. შეტყ
ოკვებით. სიგრძით ოკრთი
ერთას. ერთპირად. და შთა
სლვაჲ იგი პირველად
ორთაჲვე მათ ერთისა
გან გზისა არს:.

ბ რუს მიიწიოს შინაგან სიღრ
მესა. ნოტიებისა მის მიმართ.
რლარს ღქძლსა შინა.
დაოჯტევის ნოტიებასა მას
საკოჯტრებაჲ იგი მკოჯრ
ვალეებისაჲ მის ცეცხლებრ
ისაჲ. რი ³) იგი მსგავს არს
ფერსა სისხლისასა.

ღა ღქძლისაგან გამოვლენ
ორნი განსადინელნი.
მიმსგავსებულნი ღართა
რლთა შინა არს სოჯლი და
სისხლი. რა ¹⁰) იყოს სისხლი.
მდინარს შეწევენითა მკოჯრ
ვალეებისაჲთა. მისლვად
და განფენად ყლსა შინა
გოჯამსა. და ყლთაგან
ძარლოჯთა განიყვის. და
განიბნიის ყლთა შინა ასოთა

ღა არნ ესე შეერთებითა.
ორთა მათ ძალთაჲთა
რნი იგი არიან განმაცხოვე
ლებელ და მთავარ. ვიტყუ
მკოჯრვალეებასა. რი ³) მიაწ
ვეს ნოტიასა განგებასა
მას ძალისა ცხორებისა
სა. რლ იგი არს აჯკაჲ თა
ვისაჲ:

ბრისაგანარს ძრვაჲ ყლთა
იოგთაჲ. შეოჴვაჲ. და
განმარტებაჲ ლართაჲ რი ³⁾)
ძრავს ყლთა ასოთა გოჯ
ამისათა. და მით იზარდე
ბინ. და ორძინ შეერთებითა
ორთა მათ ძალთა წოჯლი
ლადთაჲთა. რლარს ტჯნი.
და ზრდითა მისითა კლდ ¹⁷⁾)
იზარდების აკაჲცა. რი ³⁾)
იგი ჰმოსია ტჯნსა. და აკ
კაჲ ესე ნიეთიარს. რი ³⁾)
აწოვებს, ზსთგან ვე ²³⁾) ქოჯსდ
მდს. შემცველ მრავალთა
მათ. რლ არიან გოჯნი.
ზოჯრგისანი. და ზრდაჲ იგი
კლდ აწოვებს ტჯნთაჲცა მთ
რნი არიან ყლთა შინა ძოჯ
ალთა იოგთა. და ლართა
განიყენიან. და თითოვეოჯლმან
მიეღის გზაჲ თჯსი:
და ვრ ⁶⁾) შთაეიდის იგი სტომ
აქად. არა დასცხრის ვდს ¹⁶⁾) და
აღნვის იგი მკოჯრვალეებითა
თჯსითა. ვა ¹³⁾) ბრძმედმან. და
შიავლინის იგი მისადინელთა
მათ რლ შეოჯდგან. და გან

იყვის ყშირი (?) წოკლილისაგან
და წოკლილი იგი მიიწიის სადი
ნელთაგან. თვსთა ღვძლად
ხ ყშირი იგი განვიდის. ადგილ
თა მათ ვრცელთა ნაწლე
ვად. და დაადგრის ჭამადი
იგი ჟამ რაოდენმე. ადგილ
სა თვსსა. რა ¹⁰) არა მწრათლ
განვიდეს. ზ დაოკადებე
ლად ოკმდეს კაცსა ჭამაჲ
და ოკცალო იქმნეს მისგამო
შსგავსად პიროკყოკთა.

და საკმარ არს ღვძლისაგან
შეწვენაჲ საქმითა მკოკრ
ვალეებისაჲთა. რა ¹⁰) შეცვალ
ნეს. ნოტიანი იგი მიმავ
აღნი და შექმნეს სისხლად

ბ ადგილი ღვძლისაჲ შორავს
გოკვლსა. რ ⁴) ვერეგებოდა ვრ
მცა იყო ასოჲ იგი მთავ
არი. რლარს ძირი ძალისა
მის ცხორებასაჲ. შექყლე
მოკლ სხვსაგან. და განმცარ
ყოკნა. გოკნებაჲ მკოკრ
ვალეებისაჲ. შთასად
ინელმან მან ლარჲანმნ
რლსა ჰრკჲან კოკი:

ამისთვის იქმნა მისავალი
გოკლისაგან ღუძღლად. რი ³⁾ მი
აწევს. სოკლსა მას ცეცხ
ლებრსა. და იგი არს განშეგე
ბელი ყლთა ძრვათაჲ და
სლვათაჲ. ამისთვის ღირდა
რა ¹⁰⁾ აქოვნდეს მათ საფა
რეელად კემზაჲ. რი ³⁾ იგი შედ
გმოკლარს ძოჯალეებითა
და იოგებითა მრავლითა
და მას შინა არს დამტკიცით
და დაცვოვლ ვა ¹³⁾ მეოჯფს.
შინაგან კრეტსაბმელსა მას.
დამკვდრებოჯლარს. და ეგ
რსთვე სახედ ვხედავთ გოჯ
ლსა რ შეცვოკლარს იგი ვა ¹³⁾
სახლსა შინა. დამყარებ
ოკლსა. მოცვითა მით ფერ
ცხალთაჲთა. გარემო
ჲს მისა და ოკკოჯანა
ჲთ კერძო. მომტკიცებ
აკლარს. ზოკრგის ძოჯა
ლთაგან. შეზლოჯდგილ ორ
კერძოვე. წინაჲთ კერძო
გარდართხმოჯლარს მკერ
დი და ოკლელნი საფა
რეელად მისა ვნებათაგნ

და ვა ¹³) იგი გიხილავს ქუჩის
მოქმედთაჲ. განაგნიან რაჲ.
სადინელნი წყალთანი
რა ¹⁰) ნოტია ყონ ქუჩაჲ. აღ ⁵)
მტილსაცა მივამსგავსოთ
რლსა შინა არიან. მრავალ
ფერნი ხენი. და თითო სახე
ნი. ნერგნი. დაწვალეზოვლნი.
ფერითა და სახითა.

და გემოჲთა. თითოვეოვლი
საკოვთრებითა თუსითა. იზ
არდების ერთისაგან წყლისა.

და ძალი იგი ნოტია მყოფელი
ყლთაჲ მათ ერთი არს ბოვ
ნებით. და საკოვთრებაჲ
მიმღებელთა მათ ზრდის
ათაჲ. განიყოფვის მრა
ვალ ფერად. ვრებითა ³¹) თი
თო პირითა. და იქმნის იგი
სიმწარს ხესა მას ში
ნა. პავოვრეცისასა. და
მაკოვდინებელ ხსსა მას
შინა მათოვსსა. რლისა
ნიგოზი მაკოვდინებელი წა
მალი არს. და სხა ²⁸) არს ძა
ლი მისი ზათრანსა შინა
და სხა არს ბარსაბონსა შინა

და სხე ²⁸⁾ არს ნერგსა შინა.
რლსამე შინა ყინელ. და რლსამე
შინა ტფილ. და რლსამე
შინა განზოგებითარნ ძალი.

და შროშანსა. და ვარდსა
აქოვს სოვლი ნელი. და ლელ
ოვსა და სხალსა აქოვს სიტ
კბოვებაჲ. და ვაზსა გამო
აქოვს ყოვრძენი. და მის
განარს ძალი ღვნისაჲ

და სხოვანიცა რნი აღმოს
ცენდებიან. ერთისაგან
მიწისა და ერთისაგან ნოტი
ისა გამოვალს და აღმო
აცენებს თითოფერად და
წვალეზოვლთა. ვრებასა ³²⁾
შინა მათსა:.

და ამას სახესა ვხედავთ
მტილსა მას შინა ჩნსა სოვ
ლიერსა. ბოვნებისაგან და
ოვფროჲს ოლისაგან. ³³⁾ ბოვ
ნებისა. ძოვალთა და ღრტ
ილთა. და ძარღოვთა. და
ლართა. და იოვთა. და კო
რცთა. და ცმელთა. და თმ
ათა. და ფრჩხილთა. და
თოვალთა მხედველთა.

მრავალთა ფერთა. და ყოვ
რთა. მსმენელთა თითო პი
რთა კმათა. რი ³⁾ შეეტყოვების
ამათ საყოვთრებითა.
განწვალეობოვლითა. განშოვრ
ებოვლითა. ოვრთიერთას
ერთისაგან საზრდელისა
რი ³⁾ შეიცვალეების თითოვეოვლ
თა შინა ასოთა. საყოვთ
რებისაებრ მათისა. რ ⁴⁾ რი ³⁾ მი
იწიის თოვალად შეეზავის
ასოსა მას მხედველსა.
და აპკათა მათ განრჩ
ოვნილითა. გოვგათასა
და რი ³⁾ მიიწიის სასმენელად
შეეზავის ბოვნიებასა მას
შინა სმენისასა. და ბავე
თა შინა განემარტის საზ
რდელი. ძოვალთა შინა შეშა
გრდის (?). და განფიცხნის.
და ტუნთა შინა დალბის.
და დაჩჩვს აღმოცენებისა
თვს. თმათა ოვრთქლითა.
მით განმწვალეებელითა.
და ოვყოვთოვ განვიდის იგი
სადინელთაგან მრგოვალ
თა. გროვ იქმნის თმაჲ იგი

. . .
. . .
. . .
. . .
. . .

ორი სვეტი დე-
დნის ტექსტს
აკლავ.

მისგან კაცობრივისა. და
შექმნა იგი კერპად. ვა ¹³⁾ იგი
მთლელმან მან. ჟამად
ჟამად განასროვლის სახს
იგი ნიეთსა მას შინა. პირ
ველითგან. დასასროვლადმდს
ეგრეცა გამოთლად. ბოვნე
ბისა მის ჩნისაჲ. სოვლისაჲ
არს. პირველად დაწყებაჲ
ოვსროვლად. განსროვლებ
ასა სროვლ. და იყოცა ოდ
ესმე. სროვლ. ოვკოვეთოვ
მცა არა შემთხოვევასა
მას ბოროტისასა. დაეპრ
კოლა მადლისა მისგან
სროვლისა. და დაკლებოვლ იქმ
ნა. დაბადებოვლობაჲ იგი
რამცა ³⁴⁾ მბრწყინვიდა მის
.. ხატებაჲ იგი ღე: ²⁶⁾
.. იქმნა შრომით. და მოგზ
აოვრეპით. მიმავალ სოვლი

კაცისაჲ. მასვე სისროვლე
სა. ამას მოვწერს დბლი ²⁷⁾
მცქლი ჰაველს კორინთელთა
მათ და იტყვს.

ოდეს ყრმა ვიყავ. ვიტყოდი
ვრ ⁶⁾ ყრმაჲ. ხ ოდეს ვიქმენ
მამაკაც. დაოვტევე სიყრ
მისაჲ იგი. რ ⁴⁾ არა სხჲ ²⁸⁾ სოვლი
არს ყრმისაჲ. და სხჲ მამ
აკაცისაჲ. აღ ⁵⁾ ოვსროვლ
არს ყრმისა შინა. და სროვლ
მამაკაცსა შინა.

და ვა ¹³⁾ იგი მცენარსთა. მოზ
არდთათვს ვიტყვთ. აღ ⁵⁾ ცხო
ველარიან. რ რლსა აქოვნდ
ეს. ნაწილი ცხოველებისაჲ.
და ძრვისაჲ: არა ერქოვმის
მას ოვსროვლო. და არცა
ოვსროვლ. ოდეს აქოვს ცხ
ოველებაჲ: რ ოდეს იქმნა
მცენარს მოზარდცა არს

აღ ⁵⁾ ვერ მიწევენოვლ საქმესა
გრძნობისასა. ეგრეცა ჰი
როვტყოვთა შინა არს სლი ²⁵⁾
ჰიროვტყოვებრი მგრძნობე
ლი. და ვერ მიწევენოვლარს

სისროვლესა. რლარს მად
ლი მეტყოველი. და გოვლის
ხმის მყოფელი:..

ამისთჳს ვიტყვთ. ვდ ¹¹) სოჳლი
განსროვლებოჳლი ჳეშმარიტი.

კაცობრივიარს საცნა
ოჳრ. ყლთაგან საქმეთა მისთა

b რი ³) გარეშს არს მისა. სახელის
დებით ხ იწოდების სოჳლ.

და არა ჳეშმარიტი. ვინაჲთ

გან ოვსროჳლარს იგი. ად ⁵) არს
მას შინა ნაწილი მოჳმედი

მშოჳმინეოერი. ვრ ⁶) იგი გოჳესმა
მოსსგან დბდბისათჳს კაც

ისა. ვდ ¹¹) არს იგი კაცსა შინა
მიდრეკითა მით მისითა ბოროტად

რლისათჳსცა მცქლი ³⁷) ასწავებს
და იტყჳს. განიძარცოჳით.

კაცი იგი ძოჳელი. და შეიმოსით
კაცი იგი ახალი. განახლებოჳლი.

მსგავესებითა დამბადებელისა
თჳსისაჲთა: ად ⁶) იჳოს

ჩნდა. რა ¹⁰) კლდ ვეგნეთ. მად
ლსა მას. მსგავესებისა ღთი

სასა. რლითა დაჳბადა

ღნ კაცი. პირველ ოდეს თჳა ²⁶)

მქმნეთ კაცი ხატად და
მსგავსად ჩნდა. რლისაჲ
. : არს დბჲ ³⁰) და ძლიერე
. : ბაჲ. აწდა : .
. : მდს და : .
. : ოკი : .
. : ოკე : .
. : ან : .

მსე კაცისა შესაქმს დაიწერა დედითა იშხნი-
საჲთა. ვინიკითხვდთ მწერლისათჳს ლოცვა ყავთ.

(დედნის გვ. 121).

II.

სასწავლო წიგნი

ძ: ნ
. ძ
. :
. :

თ : *)

ამას შენდა პატიოსანო: ჩნ შეესწ
ირავთ. რლისა მადლისათჳს ჰკით
ხს. მოკსენებაჲ მისთჳს იყვნ. ³⁸)
არიან მრჩობლ წერილთა მათ
წარმოღება. პირველად დაბა
დებოვლთა მათ ღთისა მიერ
ექოვსთა მათ ღღეთა ქმნოვლი

*) წაბლალულია ღღდანში. მიხედვისამებრ სამეცნიერო ქრისტომატიის დანარჩენ წერილებისა, აქ უნდა ყოფილიყო მოხსენებული ავტორის სახელი და აგრეთვე სახელი იმ კაცისა, ვისადმი მიმართულია ანუ ნაძღვენი ეს ეპისტოლე. ავტორი რომ ყოფილა ქართველი, ეს ცხადად სჩანს თვით მის ნაწერიდგან. თუ რა დროის ძეგლია „სამეცნიერო ქრისტომატია“, საიდანაც ამოვიღეთ ეს „სასწავლო წიგნი“ და „სამკურნალო ტრაქტატი“, ნახე წიგნში „მწერლობა მე IX-X საუკუნისა“.

და სხოვანი რნიმე წთაგან ³⁹⁾ წიგ
ნთა. თავდგმოვლნი. შემდგომდ
ქმთა აღწერილნი: . :

ბდამისიტგან პირველ შექმნოვლი
საჲთ. ვე ²⁵⁾ თევდოღი ღთის მოყოვ

არისა: ბ: და აბოვდანტის მბ

რწყინვალისა. მერმე კლდ რაო

დენი იქმნა სოფელსა შინა: ლ:

წვალეებისა სახელები. და განმ

არტებაჲ მათი. შემოკლებოვლი

თა და ოვზეშთაესითა გოვნებ

ითა თითოვეოვლისა მათისათჳს

რაოდენი შექმნა ღნ. ექოვთა (?) დღე

თა სოფლის შესაქმისათა. რლ

სა იგი ითხოვდა. და მიგიწერეთ შნ: ⁴⁰⁾

მ: და არიან ესე ბ სა დღესა ცანი

ზესკნელნი და პირველსავე დღესა

ქო;ესკნელნი: ბ: ქყნა: ბ: წყა

ლნი. რლისაგან არს. თოვლი მყინ

ვარი. სეტყოვანა. თრთვლი და ცოვ

არი. და სოვლნი მსახოვრნი. რლ

არიან ესე: ლ: ანგლზთა პირნი:

ანგლოზნი მადიდებელნი. ანგლზნი

ქართანი. რნი ჰბერვენ. ანგლზნი

ღრო;ბელთანი. და ნისლისანი. და

სეტყუსანი. და თოვლისანი. და

თრთვლისანი. ანგლზნი კმისა ქოვ

- ხილისანი. და ელვისანი. ანგლზნი
ცივისანი. და ცეცხლისანი: .
ანგლზნი ზამთრისანი. და თევისანი.
ანგლზნი არსისანი. და ზაფხოვ
ლისანი. და ყნი ⁴¹⁾ სოვლნი დბდბლ
თა მისთანი. ცათაშინა და ქუ
ნსა ზა. ოვფსკროვლოთანი. და
ქოვეშს ქენისანი: მ:
ჯჯხთისა ⁴²⁾ და წარსაწყემედელისა
ნი. და ბნელისანი. ზა ოვფსკროვლ
თა წყალოთანი. რლ ოდესმე ქენ
სა ზა. რლისაგან ბნელი მწოვხრი: მ:
ზ: ლამს და ნათელი დლისაჲ და განთია
დისაჲ. ესე შვდნი ძლიერნი საქმენი
ქმნა ღნ დღესა მას პირველსა:
ძ: ხ მეორესა დღესა პირველ სამყ
აროჲ შს წყალოთა და წყალოთა: ამას
დღესა განიყენეს წყალონი. ზოგი
მისი აღკდა ზა სამყაროჲსა და
ზოგი მისი დაადგრა ქოვეშს სამ
ყაროსა მას. შს ყლსა ზა პირსა
ქენისასა. ესე ხ ქმნა ღნ დღესა: ბ სა
ძ: ხ მესამესა დღესა. ზლოვები მდინა
რები. წყაროვები ტბები. მეორედ
თესლი სათესაეი. მესამედ მცენარ
ენი. ხს ნაყოფიერი და ოვნაყოფოჲ
დ: მალნარნი. ესე ოთხი საქმს

- ძლიერი ქმნა ღნ დღესა მესამესა:
ძ: **ბ** მეოთხესა დღესა. **ა:** მზს და მთ
ოვარს. **ზ:** ვარსკოვლავნი ესე სა
მნი: დიდნი საქმენი ქმნა ღნ დღე
სა :**ღ:** სა
- ძ: **ბ** მეხოვთესა დღესა. **ა** ვეშაპი დიდი
ბ თევზნი და სხოვანი. **ზ** მფრინვე
ლნი ფრთოვანნი წყალთა შინა
ესენი ქმნა ღნ დღესა მას: **მ:** სა:
- ძ: **ბ** მეექვსესა დღესა. **ა:** მკეცნი საც
ხოვარნი. ქოვეწარმავალნი ქენი
სანი და კაცი. ესე დნი ⁴³) დიდნი
საქმენი ქმნა ღნ დღესა მე: **მ:** სა:
და იყო ყი ²) ქმნოვლი ღმ **პბ:** **მ** თა დღეთაჲ
- ძ: **ღა** აღასრუვლა ყივე ⁴⁴) საქმს თვისი
დღესა მას მეექვსესა რაოდენ
არიან ცათა შინა და ქენსა ზა ზღ
ოვთა შინა და ოვფსკროვლთა
ნათელსა და ბნელსა და ყლსა შინა
ღა განისოვენა ღნ ყლთაგან საქმ
ეთა მისთა. დღესა მას მე: **ზ:** სა:
და აკურთხა და განწმიდა იგი
და აოჴწყა იგი ანგლოზისა მიერ.
მოსსს. რ ⁴): **პბ:** მამათმთავარ
ნი აღამითგან ვე ²⁵) ისლისამდს ⁴⁵)
- ღა** გამოვირჩიო თავისა ჩემისა
ნათესავეისაგან მისისა. ერი მო
გებოვლი ყლთაგან წარმართა.
- ბ** იყენის თავნი ესე. და არიან ნა

- თესაენი. რლთათვს თქა ²⁹⁾ ონ ⁴⁶⁾ ესრეთ:
- ძ: ადამ: სტო: მნოვს: ქაინან:
მაღალელ: იარედ: მნოვქ: მათ
ოვსალა: ლამექ: ნოვს: სსმ:
ართაქსად: სალა: ხ კაინან
არა მოაკენა რიცხოვსა შინა
მბერ: შალეგ: რაგავ: სეროვქ:
ნაქორ: თარა: აბრაჰამ:
ისაკ: ღა: ისლ: ერთბამად: კბ:
ნათესავ. : ამისთვსცა: კბ: არიან
ანბანნი: ებრაელთანი: რლ ⁹⁾:
არიან ესენი: ანბანი მბრაჰამბრი.
- ძ: ალეთ *) : ო: ბტო: : გიშელ: : ღალს: ლს:
შავ: : ზანავ: სო: ტტო: იოთ:
ჭათ: ლამედ: მემ: : ნონ: სამექ:
აინ: შს: : წადს: : ქოფ: : რს: შინ:
თავ: ამისთვს: კბ: წიგნარიან.
ძოველისაგან შჯოვლისა : .
ესე მოვკლნი ებრაელთა შს: კზ
რაამე არიან: ხ კბ აღირაცხები
ან: რ ხოვთნი იგი ასონი მთ შს
ორკეც არიან: ქათ მრჩობლარს:
მემ: ღა ნონ: ღა ფს: ღა წადს
მსრეთცა წიგნნი აღირაცხებიან
ა აბესით რლარს შობაჲ სოფლისაჲ:

*) დედანში ყოველი ასოს სახელის შემდეგ თვით ასოც
სწერია.

- ბ მლისმოთ რლსა ჰქვან გმსლეთაჲ ⁴⁷⁾):
გ მდოისკრა: რლარს ლევიტელთაჲ:
დ მდოდაბირ: რლარს რიცხოვთაჲ:
ე მეედებარიმ რლარს მეორს შჯოვლი
ვ დიიზ ⁴⁸⁾ რლარს ისოვ ნავესი: წიგნი
ზ დიიზ: რლარს იოზი: . . :
ც დასოპტიმ: რლარს მსაჯოვლთაჲ
თ დიროვთ: რლარს როვთისი:
ი სფერთელიმ რლარს დავითი: . . :
იპ ღვბდრიაშია რლარს ნეშტთაჲ პ:
იზ ღვბდმიამინ: რლარს ნეშტთაჲ ბ:
იზ დისმოვლ: რლარს მეფეთაჲ: პ:
იღ დიდთოვდისმოვლ ⁴⁹⁾ რლარს მეფთაჲ: ბ:
იშ დმალაქიმ რლარს მეფეთაჲ: ბ:
იშ დმალაქიმ რლარს მეფეთაჲ: დ:
იზ დმასალოთ რლარს იგეთაჲ:
იხ ტოჯელსთ რლარს ეკლესიასტს:
ით სირამ რლარს: ქებაჲ ქებათაჲ:
ი ღათარიასარა რლარს იბ წწყლთაჲ:
იპ დიესაია: რლარს ესაია წწყლისაჲ: ⁵⁰⁾
იბ დიიერემია: რლარს იერემიასისი:
იბ დიეზეკიელ: რლარს ეზეკიელისი:
იღ დიდანიელ რლარს დანიელისი:
იშ დიეზდრა: რლარს ეზრაჲ: პ:
იშ დიეზდრა რლარს ეზრაჲ: ბ:
იზ დიესთერ რლარს ესთერისი: . . :
ქ: არიან სხოვანიცა მკირენი წიგნ

ნი: რლსა ჰრქჳან: ძინოთ: რლარს გოდღა:
ესე იერემიასა შეერთჳს: რლარს
რიცხჳსა მაგის მეტი: და იერემია
სავე შეერთჳს: რა ¹⁰) ოჳკოჳვე რიცხ;
ცა ესე წიგნთაჲ გოჳწყოჳ ქეშ
მარიტითა სიტყჳთა: . :

ძ: ხ სიტყჳსა შემოღებისაჲ ამის არს
სახს ესე: ოთხად და ხოჳთად
განჳყოფენ. ებრაელთა ყრმნი ⁵⁴):
ძოჳველისა შჯოჳლისა განთა:
ხოჳთეოჳლად დააწესებენ მოს
ეს წიგნთა: რ შემდგომთაჲცა მათ
ესრსთევე დაწესეს. რლარიან
წიგნნი ესე: შობათაჲ: გამოს
ლვათაჲ: ლევიტელთაჲ: რიცხთა:
მეორისა შჯლისაჲ: მეორედ:
ხოჳთეოჳლად: სტიქერონნი: რლარ
იან: წიგნნი ესე: იობი: ლვთი: იგეთა:
ეკლესიასტს. ქებაჲ ქებათაჲ: . :

ძ: ხ სიბრძნს სოლომონისი. და ზირ
აქი. იგიცა სტიქერონვე არიან:
და სარგებელნი არონაჲსანი
რლარს კიდობნისანი. ხ ებრაელთა
არა დადვეს ძოჳველისა შჯლისა
ძ მესამედ ხოჳთეოჳლად წნწყლოჲ
რლარიან წიგნნი ესე: იბ თა წნწყლ
თაჲ: ისაიაჲ: იერემიაჲ: მზეკიელი

ღანიელი: რნ იწყო წწყლებად.

ოვწინარს ეზეციელისა:

- ბ ცხოვნდა ცხოვრებასა მისსა.
მრავალყამ. და მიიწია ვე ²⁵) მეორად
წლადმდე. დარიოს მეფისა.
რი ³) იყო ოვწინარს პირველსა წელ
სა კვროს მეფისასა:

- ძ: ხ შემდგმდ ჟმთა წწყლთა ამთ
წწყლებდა ანგეოზ. დასაბამსა
მეორედ შსნებასა მის ტაძრისასა
იშმს ⁵²): წწყლებდა ზაქარიაცა
შემდგმდ: მე ღლისა ანგეაჲსა
დასასროვლსა შსნებისათჲს.
მის ტაძრისა. ხ ჟმთა მათ წწყ
ლებდა მალაქიაცა: . : .

- ძ: ხ ზოგად აღიწერნეს. ესე: იზ ნი წწყლნი

- ძ: მეოთხედ ხოჯთეოვლად დააწესეს
წიგნსა: რლსა ჰრქვან. ლექთობინ
რლ გამოითარგმანების. დაწერილად.
ესე წიგნნი არიან ისოჯ ნავესი.
პირველი წიგნი. მსაჯოვლთაჲცა მასვე
შეერთვის. და როვთისი. ამისთს
ერთი იგი ასოჲ ორკეცარს. რლარს
ქათ: ნეშტთაჲ: ა: და მე ბ: ამი
სთჲს. რ ორკეცარს მემ: . : .

ღა მეფეთაჲ წიგნი. რ ორკეცარს
ნონ. მე: ბ: და მე ღ: მეფეთაჲ

რ ორკეცარს: ფს: ესე არიან: ოთ
ხნი იგი ხოვთეოვლნი: რნი იგი
ალირაცხებიან: : ძ : წიგნად არიან
: ძდ : თავ რიცხვთ: ამისთჳს რ ორ
კეცარიან: ღ ნი: იგი ასონი: :

ძ: ხ შემდგომად ღ თა ამათ ხოვ
თეოვლთა : ძპ : პირველი და მე : ბ :
წიგნი ეზრახსი. ერთ წიგნად
შეირაცხების. ებრაელთა შს. ამის
თჳს. რ წადეცა ორკეცადვე შე
ირაცხების რლარს: ძმ: თავი: წოვ
ლილ წოვლილად თქოვმოვლი:

ძ: ხ ესთერისი წიგნი: ძბ: შეირაცხების
: ძზ : თავად იპოვების: ესე ძბ ნი
სადავე იპოვებიან. და მრავალ
ფერითა სახითა აღრაცხნი:

ძბ თა მათ საქმეთათჳს. რლ
ქმნნა ღნ: მ თა მათ დღეთა სო
ფლის შესაქმისათა. ძბთა მთ
თჳს ნათესავთა ადამითგნ
ილლისამდს. ძბთა მათთჳს
ასოთა: ალფითგან ვე ²⁵) თავად
მდს: და ძბთა მათთჳს წიგნთა
შობათაჲთგან ვე ²⁵) ესთერისა. და
საწყაოვლიქმნა: ძბ სა ქსესტსა
ჰრქვან ებრაელთა მოღ. ხ მოღი
ბერძენთა გამოთარგმანეს და

მოღალე სახელსდებენ:

მგრევე სახელ მეგვპტელნი. სახელ
სდებენ **მეპტ**. ეგრევე სახელ ასოჯ
რნი. და არაბიელნი. **მოღალე**
სახელსდებენ. რი ³⁾ გამოითარგმა
ნების აღსარება. რლარს **მოღიმ**:

ოჯკოჯეთოჯ არა აღიესის **მოღი**

იგი არა აღიარის ვღ ¹¹⁾ საესს არს:
და სხოჯასაცა აღგილსა გა
მოთარგმანებაჲ ორკეცად
ჰხოვო: რ ჰრქვანცა გნომონ
რლარს საწყაოჯლი: სახელედე
ბის აღსარებაცა. და აღსარებ
ოჯლი და აღმარებელი:

რ რიცხვ იგი საქმეთა მათ ლთისა
თაჲ დასაბამითგან **ჰბთა** მათ
ასოთა სიტყუს შეთოღებაჲ (?) რლი
სათუს შჯოჯლი ჩნდა მოიწია. და
ლთისა მოძლოჯრებითა ყივე ⁴¹⁾ ჩნ
სახელ გოჯექმნა: რლისაგან შჯოჯ
ლი. და საიდოჯმლონი. მას
შინა. **ქს იჯ** ⁵³⁾ მოსლფასა მას მის
სა გჯწამა. და გამოგჯცხადნა

რი მოვიდა და სახარებითა მით
აღგჯესო ჩნ. საზომი იგი ცხოჯ
ებისაჲ. **მოღისა** მისგან ესე იგი
არს აღსარებისაჲ. ყნ რნ ⁵⁴⁾ აღიაროს

მისა მიმართ. ცხრბჲ მისგან
შეიმოსოს. საწყაოვლითა მით
სიწმიდისაჲთა. რ ებრაელთა თქვ
ან. რლარს ძბ: ქსესტი: პირველ მო
კსენებისა მისებრვე. აღრაცხილი
სა. რნი მრავალ სახედ თქოვმ
ოვლარიან. რ მრავალთა სხოვ
ათა ნათესავთა. გინათოვ შეპ
მატეს. გინათოვ გამოაკოვეს
საწყაოვლისა მისგან. რი ³⁾ კეშმა
რიტად ებრაელთაგან აღირა
ცხა. აღ ⁵⁾ ჰრომთაცა შს იპო
ვა. ენისაებრ მათისა: . :
მოღსა საწყაოვლ ჰრქჳან. ვა ¹³⁾
ებრაელთა შს. აღეფ ყრმასა
სწაველასა შინა ჰმოძლოვრინ
ღა ბერძენთა შს აღფინ ძიებად
იპოვა. და სახელედების. ხ მე ვის
წავე. ებრაელთაგან. ცხადად
იპოვნეს. სხოვასაცა ენასა შს
აღ დავითსაცა: **ი** წიგნადვე განპ
ყოფენ: პირველით: ფნით ⁵⁵⁾: გან. რლ
არს. **მსრიბა**, რი გამოითარგმანების.
ნეტარ არს კაცი რი არა მივი
ვე ²⁵⁾ რლისა თავი: **მრმეს ძილალ ღაჯო**
მპიონ. რლარს ნეტარარს რნ
გოვლისხმა ყოს გლახაკისაჲ.

ხ აზილას თქა ²⁹). ნეტარ არს სახს
კეთილი მიცემად: **ბ:** წიგნად: **მა** ⁵⁶)
რლისა თავი. **ჰიალთა** **აროგალა**
ზისიგაინ: რი გამოითარგმანების.
ვა ¹³) სოჯრინ ირემსა ვე ²⁵) **ოა** ⁵⁷)
თავადმდს: რლისა თავი **სლოინ**
მასვატა ჰლაპელ ეჰთე რი გა
მოითარგმანების: ღო სარჩელი
შენი მეოჯფესა მიეც. **ზ** წიგნად: **ოა** ⁵⁸):
რლისა თავი: **აჰოთი ისლესოიბ**
რლი გამოითარგმანების ვრ კეთილ
არს. ისლისა ღი გოჯლი ვე ²⁵) **პს** ⁵⁹): მდს
რლითა (?) თავი. ესდიადონა. ილოჯლა
მასის. რი გამოითარგმანების:
წყალობათა შენთა **ოო** **ოკე** ⁶⁰)
ოჯვალბდე: **ხ** **ღ** წიგნად **ჰთ** ⁶¹) რლისა თავი
ადონა იმაონა თაიათა
ლანოჯ რი გამოითარგმანების
ოო შესავედრებელ მეყავ **ჩნ**. ვე ²⁵) **რე** მდს ⁶²)
რლისა თავი. **ოჯდჯლა** ადონაი
ჰიტოფ ჰელოჯლა მესდო. რი გამო
ითარგმანების: **აოჯვარებლით** **ოა** ⁶³)
რ ტკბილარს. **ხ** არს ფნთა ⁶⁴) მათ ზა
ბ: **მ:** წიგნად: **რპ** ⁷⁴): ფნი რლისა თავი
ოჯდოჯლა ადონაჲ **ჰიტობ** **ჰილოჯლ**
ამისდო. რი გამოითარგმანების

ეგრეთვე: აოკვარებდით ოა რ კეთილ
ვე ²⁵) დასასროვლაღმდღ ვე ²⁵) მეერვა
სესა ფნსა. რლისა თავი არს

აღელოველ. ბაკადისო რი გამო
ითარგმანების: აქებდით ლა სიწმი
ღეთა შინა მისთა. არს იგიცა
აზა ⁶⁵) რნსა ⁶⁶) ფნსა: წიგნი განმართლს

რ ებრაელნი ჰყოფენ. დასასროვლსა
თითოვეოვლისა წიგნისასა

მ თა მათ წიგნთა საფნეთა ⁶⁷):

და სროვლსა მას ფნისასა:

საგლობელი დასასროვლი არს წიგნსა:

მისტობაზოქ აღონაჲ სლოი

იპლი: მეალო აოდ: ლაოვლა

ამინო ამინ: რი გამოითარგმნს

ახლარს ⁷⁵) ოი ⁷⁶) ღი იპლისაჲ ამიერითგან

ოკე იყენ იყენ. მსე არს სადა

დაესროვლების თითოვეოვლი მ ვე ⁶⁵) იგი

წიგნი რიცა ⁶⁹) იგი წერილარს დასას

როვლსა: მე მ ფნსა და რა სა და

პპ და რმ სა ⁶²) ხ რ ⁷⁷) და მეერგასისა მის

ახლარს ოი ღი იპლისაჲ იყენ იყენ. ყი

სლი აქბდით ოა: რი ითქოვმის ებრა

ელებრ ქოჰანნეს: სამათე ისე

თელოვლა. აღელოვლა ითქოვმის

აქებდით: აღ ითქოვმის ოა. და

დაესროკლები მ ოკლისა ამის
სათსალმოკნისა საქმს:

ბ მიკვრს: თითოვეოკლად: აღმოამკ
ითხველთაჲ. ესოდენისა ამის
სლისა წდისა შემზადებაჲ და
გოკლის ხმის ყოფაჲ. რნი სარგებ
ელსა ამას. და ლთისა ნიქსა
მიიღებენ. რა ¹⁰) არკალა ამასზა
იქადოდინან. შს წარმართთა
ყრმათა. აღ ⁵) რა ¹⁰) ოკწყოდინან
რაჲცა იპოვოს მათ შს შემზა
დებოკლი გინათოკ შჯლისაგან
ჰეშმარიტად წთაგან წიგნთა ძოკ;
ელისაგან შჯლისა. და ახლისაგან
რი იგი მათ შს იპოვოს. მიზეზი
აქოკნდეს. პირველად წარმართთა
შს: ასოჲსა შემოდებაჲ

ძ: აღეფისაგან. რი ითარგმანების
სწავლისა მცნებაჲ. მოყვანე
ბოკლსა მას ყრმასა და იტყვს

ისწავე აღეფისაგან. და მათა
მიმსგავესებოკლად. აღთა სახელი
დასდვეს. და შეეტყოკა გამოთ
ქოკმაჲ იგი. გამოთარგმანებ
ოკლისაჲ. ბერძენთა ენასა. :
რა ¹⁰) ჰრქას ⁷¹) ყრმასა ისწავე ძიებად

აღფინ. რ აღფინსა ძიება ჰრქჳ
ან. ბერძენთა ენასა. აღ⁵) რ⁴) თავცა
არს ასოჲ იგი აღფაჲ. და
ლთისა მიერ მოცემოულარს. ნა
თესავსა კცთასა: აღებად პირი
სა. და გოკლისხმისყოფად. რლ იგი
წიგნსა ისწავებდედ. დიდითა
აღებითა პირისაჲთა ითქოჳმის:

ბ სხჲ იგი ასოჲ მცირედითა აღე
ბითა პირისაჲთა. მიეთხრობვის.
და ითქოჳმის. აღ⁵) არცალა
ასოჲ აქოჳნდა ბერძენთა. აღ⁵)
ფჳნიკისაგან ასოჲთა წერდეს
მათსა მას ბერძოჳლსა ასოსა:

რ ეგრესთვე კმითა და სახელის დებ
ითა. ვა¹³) ებრაელთაჲ. მიმსგავ
სებოჳლად. ჰებრაელთაებრვე
პინიკთა მათგანვე იპოვა: .

პალამიდის ვინმე: ოჳკოჳნაჲს .

ქნელ მოვიდა: და იწყო: აღფა:

ბეტა: **Ω** ⁷²) ხ ასოჲ ბერძენთა ოჳპო

ვა. მარტოდ. ესე იგი არს: . .

აღფა: **A**: ბმბა **B**: ბამბა **Γ**: დმბა **Δ**:

იოტა **E**: კაპა **K**: ლამდა **Λ**: მჳ **M**:

ნჳ **N**: ოჳ **O**: პი **Π**: რლ **P**: სიმა **Σ**: ტაჳ

T: შესძინა. კადმოს მილისელმნ

ასოჲ სამი. **თება** ①: **ფ** ②: **ჟ** ③: **X**:
ამისთვისცა მრავალყამ: **იზ** ⁷²) ხ იკ
მევედეს. ამისთვისცა რ პირველთა
მათ არა აქოვნდა ლიტონი.
პალიდა სახელსდევს. სიმიამსა
გან. და პისა. და აღფასა წერ
დეს. და სხოვასა მრავალსა
სიტყოვასა სხოვად სახსდ. სა
ხელსდებდეს. და წერდეს: .
ამონიდოს ჯონელმან შესძინა
ორი ასოჲ: **აება** **H**: **ჟ**: **ა**:
ეპიქარმოს სირაკელმან სამი სხჲ:
აება **Z**: **ჟნი** **Ξ**: **ფნი** **Υ**: და ესრტა:
აღესროვლა: **ქლ**: იგი ასოჲ. ამის
თვისცა მიამსგავსა ომიროს
რიცხვ იგი **ქბ** თაჲ მათ წიგნთაჲ
ებრაელთაჲ. **ქლ** სა მას ასოსა
გამოსახოვლსა. და აღრაცხი
ლსა. და მანცა თვისი იგი კელო
ვნებაჲ. სლიადოჲსი. **ქლ**: ნი და
ჩხიბოვლნი **ქლ** ითა მით ასოჲ
თა მიამსგავსა: ეგრეთვე კლდ: .
ღვსევს (?). ესევე სიტყვს შემოღებაჲ
ჩნისა მის აღთქოვმისაჲ. რლისა
თვის იგი აღეთქოვთ. ჩოვენებად
რიცხვ იგი **ქბ**: თა მათ საქმეთჲ

ლთისამიერ რი³) მ: თა მათ ღღეთა
სოფლის შესაქმისათა იქმნა
ლოცვა ყავთ ჩემთვის საყოჯარე
ღნო. აღმორაჟ იკითხვიდეთ. სი
ყოჯაროჯლით შეიწყნარსთ:

(ამ სასწავლო წიგნის მეორე ნახევარს აღარ ვბეჭდავთ. აქ მოყვანილია ქრონოლოგიური ტაბლიცა ებრაელთა, პტოლომეთა, სპარსთა, რომაელთა და ბერძეთა ისტორიიდან, —ასო მთავრულით თეოდოსიოსამდე, რომელმაც ერთი წელიწადი იმეფაო და შემდეგ ამისა წვრილი ხუცურით ჩამოთვლილია კიდევ სხვა მეფენი, ვიდრე ნიკიფორე კვირიჯანამდე).

ქარაგმის სიტყვების ახსნა:

1, ჩნთასა ჩუენთასა	31, ვითარებითა
2, ყი ყოველი	32, ვითარებასა
3, რი რომელი	33, უფლისაგან
4, რ რამეთუ	34, რათამცა
5, ად არამედ	35, სული
6, ვრ ვითარ	36, დაბადებისათვის
7, შს შორის	37, მოციქული
8, რქს რაეამს	38, იყავნ
9, რლ რომელ	39, წმიდათაგან
10, რა რათა	40, შენ
11, ედ ვითარმედ	41, ყოველნი
12, ხ ხოლო	42, ჯოჯოხეთისა
13, ვა ვითარცა	43, დიდნი, დიდებულნი
14, გნ გან	44, ყოველივე
15, ყი ყოველი	45, იერუსალიმისამდე
16, თა თანა	46, უფალმან
17, კლდ კულად	47, ჰქეიან გამოსლვათაჲ
18, ვდს ვიდრემდის	48, დედანში უზის ქარაგმა
19, მრ მიერ	49, ქარაგმა ზის დიდთოვ—ზე
20, მდს მარადის	50, წინასწარმეტყველთაჲ
21, უკუანაჲთ	51, ყრმანი
22, მს მარადის	52, იერუსალიმს
23, ზედაჲსზედა	53, ქრისტე იესო
24, არა ხოლო	54, ყოველმან, რომელმან
25, ეე ვიდრე	55, ფსალმუნით?
26, ღუთისაჲ	56, ორმოცდაერთი
27, დიდებული	57, სამოც და თერთმეტი
28, სხუაჲ	58, 72
29, თქუა	59, 88
30, დიდებაჲ.	60, ოფალო უკუნისამდე

61, 99	70, რომლისა
62, 105	71, ჰრქუას
63, ოფალსა	72, თექვსმეტი ხოლო
64, ფსალმუნთა	73, თექვსმეტი
65, აზა. ზ ქარაგმითა	74, 106
66, 150-სა	75, კურთხეულარს
67, საფსალმუნეთა	76, ოფალი
68, ხუთივე	77, ასი.
69, რომელიცა	



ფასი 30 კპ.

- P. S. ა) „საუნჯე მე X საუკუნისა“ და „აღვადგინე!“ ერთად მყიდველს დაეთმობა 40 კპ.
ბ) შემოსული ფული გადაიდება ფონდად მე IX-X საუკ. მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

